# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

13 სექტემბერი **პარასკევი** 2013

№216 (14 132) ფასი 80 თეთრი




## ანა ნახევარფინალში

წუხელ კვებეკში (კანადა) ჩემპიონ... ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი) **ანა ტატიშვილმა** ამერიკელ **ირინა ფალკონისთან** ერთად მეოთხედფინალურ პაექრობაში **ასია მუჰამადისა** და **ელი ვილის** (ორივე - აშშ) ტანდემს იოლად სძლია - 6:1, 6:1 და ნახევარფინალში გავიდა, სადაც პირველ ნომრად განთესილი ჩეხების - **ჰლავაჩკოვა-ჰრადეჩკასა** და **პაშეკ** (ავსტრია)-**ტომლიანოვიჩის** (ხორვატია) დუეტებს შორის უძლიერესს დაელოდება.

ვაჟა დანელია

# შემოდგომის მარათონი



მეხუთე ტურის წინათქმა 2

■ ზესტაფონს ჩემპიონატში ჯერ არ მოუგია

VS

■ დილამ ზესტაფონში ბოლო 4 მატჩი მოიგო

გიორგი დევდარიანი — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

რატკო დოსტანიჩი — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო




12

# ბუ ვეფხვებში



16

# საბერძნეთი ესპანეთს გადაახტა

EuroBasket SLOVENIA 2013

# ტაში! ტაში!

## სან მარინოს და ანდორას ვუსწრებთ



3

საქართველო ციფრებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანაკრებო მატჩებით გამოწვეული პაუზა მორჩა და აი, დღევანდელი შეხვედრებით საიუბილეო, XXV ჩემპიონატი განახლდება. ისე, ერთი შეხედვით უცნაურიც არის, რომ მთლიანი ტური „არასაფეხბურთო დღეს“, პარასკევს ტარდება, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს: არახალი ამბავია, რომ ერთი-ორი სტადიონის გარდა, ჩვენი ჩემპიონატის მატჩები შაბათ-კვირასაც, ფაქტობრივად, ცარიელი ტრიბუნების წინ მიმდინარეობს! თანაც, საქართველოს ჩემპიონატს ვინ ჩივის, საქართველოსა და საფრანგეთის ნაკრებების დაპირისპირების დროსაც „დინამო-არენას“ სტადიონი ხომ მხოლოდ სანახევროდ შეივსო...

...დღეიდან თვის ბოლომდე უმაღლესი ლიგის გუნდების მწვრთნელ-ფეხბურთელებს ერთობ გადატვირთული გრაფიკი ექნებათ: ნამდვილად არ არის პატარა ამბავი, 17 დღეში... 5 ოფიციალური მატჩის ჩატარება (სამი კალენდარული პლუს ორი სათასო შეხვედრა); მოკლედ, ამ „საშემოდგომო მარათონის“ დასრულების შემდეგ სატურნირო ცხრილიც მეტ-ნაკლებად „დალაგდება“ და ფავორიტ-აუტსაიდერებიც გამოიკვეთებიან: დროის ასე მოკლე პერიოდში ხუთი ოფიციალური მატჩის ჩატარება მოკლე სათადარიგოთა სკამით ნამდვილად შეუძლებელია და ისიც ნათლად გამოჩნდება, თუ როგორ მოემზადა ესა თუ ის გუნდი სეზონისწინა შეკრებაზე.

და კიდევ: სწორედ ამ პერიოდში უნდა ველოდოთ რამდენიმე საკადრო გადაადგილებასაც, რომელთაგანაც ზოგი, შესაძლოა, ერთობ „უხმაურო“ გამოდგეს, ზოგი კი, პირიქით - ნამეტნავად „ხმაურიანი“.

**13.09. რუსთავი. ფოლადი. 16:00**
**მეტალურგი-სპარტაკი**
ურთიერთშეხვედრები:
15 მატჩი, 11 მოგება, 3 ფრე, 1 წაგება. ბურ. 23-9

**13.09. თბილისი. მ. მესხი. 16:00**
**სიონი-ვიტ ჯორჯია**
ურთიერთშეხვედრები:
51 მატჩი, 11 მოგება, 15 ფრე, 25 წაგება. ბურ. 40-66

**13.09. სამტრედია. ე. მანჯგალაძე. 16:00**
**მერანი-ჩიხურა**
ურთიერთშეხვედრები:
2 მატჩი, 1 მოგება, 0 ფრე, 1 წაგება. ბურ. 1-1

**13.09. თბილისი. დინამო არენა. 18:00**
**დინამო-ზუგდიდი**
ურთიერთშეხვედრები:
21 მატჩი, 14 მოგება, 5 ფრე, 2 წაგება. ბურ. 43-13

**13.09. ქუთაისი. ტორპედო. 18:00**
**ტორპედო-გურია**
ურთიერთშეხვედრები:
23 მატჩი, 14 მოგება, 2 ფრე, 7 წაგება. ბურ. 53-29

**13.09. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 18:00**
**ზესტაფონი-დილა**
ურთიერთშეხვედრები:
18 მატჩი, 12 მოგება, 0 ფრე, 6 წაგება. ბურ. 33-18

# საშემოდგომო მარათონი

## მერანი-ჩიხურა

მოგეხსენებათ, რომ ეს ორივე გუნდი საშინაო მატჩებს ნეიტრალურ სტადიონზე ატარებს, თუმცა პირობითი მასპინძლის როლში „მერანმა“ ორივე მატჩი მოიგო; აი, „ჩიხურას“ კი გასვლაზე აქვს ასპროცენტიანი შედეგი. შეგახსენებთ, რომ დღესდღეობით „ჩიხურა“ ერთპიროვნული ლიდერია, თუმცა საჩხერელთა გუნდის გამოცდილ თავკაცს **სოსო ფრუიძეს**, ალბათ, არ დაავიწყდებოდა წინა სეზონის სტარტი: შარშან „ჩიხურამ“ ჩემპიონატის დასაწყისში ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო და მერე, პირველი მარცხი სწორედ „მერანთან“ განიცადა...

## მეტალურგი-სპარტაკი

ერთწლიანი პაუზის შემდეგ ეს გუნდები ჩემპიონატში კვლავ ხვდებიან ერთმანეთს, თუმცა სტატისტიკას თუ გადავხედავთ, აშკარა უპირატესობა რუსთაველთა მხარესაა. „სპარტაკმა“ მხოლოდ ერთადერთხელ მოახერხა „მეტალურგის“ დამარცხება, ოღონდ ისიც უნდა ვთქვათ, რომ 2009/10 წლების სეზონის ბოლო ტურში ჩატარებული ის შეხვედრა რუსთაველებმა ნახევრადექსპერიმენტული შემადგენლობით ჩაატარეს (თანაც, **თემურ მახარაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „მეტალურგი“ ამ მატჩში უკვე ჩემპიონის რანგში გამოვიდა).

თუმცა, სტატისტიკაზე „აქტუალური“ დღევანდელი მატჩის შედეგია: **გელა სანაიას** დამოძღვრილმა „მეტალურგმა“ ბოლო ორ შეხვედრაში მხოლოდ 1 ქულა აილო, „სპარტაკი“ კი ერთადერთი გუნდია, სეზონის სტარტზე ყველა მატჩი რომ წააგო!

## სიონი-ვიტ ჯორჯია

ამ გუნდების დაპირისპირება უმაღლეს ლიგაში 15 წელია გრძელდება და უპირატესობა „ვეტერინართა“ მხარესაა. სამწუხაროა, რომ ბოლო წლებში ორივე გუნდს მოკრძალებული მიზნები აქვს; არადა, ბევრს ემახსოვრება ის ორი სეზონი, როცა (2004, 2006) საქართველოს ჩემპიონის ვინაობა სწორედ „სიონისა“ და „ვიტ ჯორჯიას“ პაექრობებში ირკვეოდა.

ისე, წლევანდელ ჩემპიონატში დღევანდელ მეტოქეებს ურიგო სტარტი ნამდვილად არ აულიათ: **ზურაბ ბერიძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე ახალგაზრდული „ვიტ ჯორჯია“ საკუთარ მოედანზე „აუცილებელ“ ქულებს აგროვებს. ჩვენი პირველობის კვალობაზე არცთუ ურიგო ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „სიონს“ კი მართლაც რეალურად ხელეწიფება ზედა ექვსეულში ადგილის დამკვიდრება.

## ტორპედო-გურია

ორი დიდი ტრადიციის მქონე გუნდი 11-წლიანი პაუზის მერე დაუპირისპირდება ერთმანეთს უმაღლეს ლიგაში და, წესითა და რიგით, ძველისძველი მეტოქეების პაექრობა საინტერესო უნდა გამოდგეს. წარსულს თავი რომ დავანებოთ, „ტორპედომ“ ზედიზედ ორი საგარეო გამარჯვებით ბევრი სკეპტიკოსიც გააოცა და, რაც მთავარია, ესპანელი სპეციალისტის **ჟერარდ სარაგოსას** გუნდის თამაშის ხარისხიც აღსანიშნავია.

აი, „გურიამ“ კი ახალი სეზონის ყველაზე „ხმაურიანი“ სენსაცია მოახდინა: ფაქტობრივად, ჩემპიონატის დაწყების წინ ჩამოყალიბებულმა გუნდმა (რომელსაც არც შეკრება გაუვლია) თბილისის „დინამოს“ მოუგო! აქედან გამომდინარე, **დავით მახარაძის** შეგირდებს, დღესაც მოხსნილი ექნებათ ფსიქოლოგიური წნეხი და, ალბათ, უსიამოვნო ტრადიციის დარღვევასაც შეეცდებიან: „გურიას“ ყველა, 12-ვე მატჩი აქვს ქუთაისში წაგებული!

## დინამო-ზუგდიდი

...საქართველოში არც ერთ გუნდს არა აქვს ისეთი პირობები, როგორიც თბილისის „დინამოს“ (აღარაფერს ვამბობთ სეზონისწინა უცხოურ შეკრებაზე, სადაც დინამოელებს სოლიდურზე-სოლიდური სპარინგპარტნიორები ჰყავდა), თუმცა, ბევრისთვის მართლაც მოულოდნელობაა ჩვენი ჩემპიონატის „მარადიული ფავორიტის“... მეცხრე ადგილზე ყოფნა! რა თქმა უნდა, ჯერ სეზონის სტარტია. თანაც გუნდს ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული, მაგრამ ასეთ დასაწყისს „დინამოს“ ერთგულ ქომაგთაგან ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა. მოკლედ, ადვილი მისახვედრია, თუ როგორი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იქნება დინამოელთა ჩეხი თავკაცი **დუშან უჰრინი**, მით უფრო, „გურიასთან“ წაგების მერე...

## ზესტაფონი-დილა

2011 წლამდე „ზესტაფონისთვის“ თუ რომელიმე გუნდს ეთქმოდა „სასურველი მეტოქე“, ეს გორის „დილა“ იყო! თავად განსაჯეთ: 2011/12 წლების სეზონამდე „ზესტაფონი“ ათჯერ დაუპირისპირდა „დილას“ და ათივე მატჩი მოუგო (აქვე, ბურთების შეფარდებასაც გაახლებთ: 26-3)! თუმცა, ამის შემდეგ „დილაში“ ბევრი ვინმე თუ რამე შეიცვალა, იმ დროისათვის უგავლენიანესი პატრონის ხელშეწყობით, გორელებს თასის ფინალამდე გზა გაუხსნეს (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) და 2012 წლის თასის მართლაც სამარცხვინო ფინალში რაც მოხდა, ვფიქრობთ, ამის გახსენება აღარავის სურს...

...საბედნიეროდ, „დილას“ წლევანდელ წარმატებულ ასპარეზობას ველარავინ დაუკავშირებს როგორც „ნაცების“ იდეოლოგიის ერთ-ერთ სეგმენტს: გონიერი მენეჯერის, საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის, **ლევან სილაგაძის** (მუდამ „ჩრდილში“ რომ ამჯობინებს ყოფნას) დიდი მცდელობით გორელთა გუნდი ამ ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად „ზემოდან“ მხარდაჭერის გარეშე ჩამოყალიბდა!

თუმცა, **გიორგი დევდარიანის** გუნდს დღეს უმძიმესი მატჩი ელოდება „ზესტაფონში“ - იმერლებს ხომ ამ ჩემპიონატში თამაში არ მოუგიათ! ისე, ამ გუნდებს შორის ზესტაფონში ჩატარებული ბოლო ოთხი დაპირისპირება „დილამ“ მოიგო...

**გია ტუხაშვილი**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ |
| | | | | | | გატ | გაშვ | | | | | | გატ | გაშვ | | | | | | გატ | გაშვ | |
| 1 | ჩიხურა | 4 | 3 | 0 | 1 | 8 | 4 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 3 | 3 | 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 5 | 1 | 6 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 6 | 2 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 6 | 2 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 |
| 3 | დილა | 3 | 2 | 1 | 0 | 6 | 2 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 4 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 1 | 3 |
| 4 | ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 5 | 3 | 7 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 4 | 2 | 6 |
| 5 | სიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6 | 4 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3 | 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3 | 2 | 3 |
| 6 | მერანი | 4 | 2 | 0 | 2 | 4 | 5 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 4 | 1 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 4 | 0 |
| 7 | გურია | 4 | 2 | 0 | 2 | 3 | 6 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 3 | 1 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 5 | 0 |
| 8 | მეტალურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 4 | 6 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 4 | 6 | 4 |
| 9 | დინამო (თბ) | 3 | 1 | 1 | 1 | 4 | 4 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 2 | 3 | 1 |
| 10 | ზუგდიდი | 4 | 1 | 1 | 2 | 3 | 6 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 3 | 4 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 |
| 11 | ზესტაფონი | 4 | 0 | 1 | 3 | 3 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 2 | 3 | 0 | 3 | 0 | 1 | 2 | 1 | 3 | 1 |
| 12 | სპარტაკი | 3 | 0 | 0 | 3 | 1 | 5 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 2 | 0 |

ზესტაფონი-დილა

# სანდრო გურული:
# მოიგებს ის, ვინც უფრო მეტად მოინდომებს

დიდი ხანი არ არის, რაც 27 წლის შემტევი სანდრო გურული „ზესტაფონის“ ფეხბურთელი გახდა. მას საქართველოს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებშიც აქვს ნათამაშები, ბოლოს გორის „დილასა“ და ბათუმის „დინამოში“ იყო, მანამდე კი ოთხი სეზონი ლვოვის „კარპატიში“ გაატარა. ის გია გურულის ვაჟია, რომელმაც ფეხბურთელის კარიერის ბოლო წლები საფრანგეთში გაატარა და სანდრომაც იქიდან დაიწყო საფეხბურთო გზა.

დღეს „ზესტაფონი“ გორის „დილას“ მასპინძლობს და, ალბათ, გურულსაც მიეცემა ყოფილ გუნდთან თავის გამოჩენის შანსი, მანამდე კი ის „ლელოს“ კითხვებს პასუხობს...

**- წინა სეზონის დასრულების შემდეგ ახალ გუნდში მყისვე არ გადასულხართ. რა იყო ამის მიზეზი?**

- ერთ-ერთმა აგენტმა შვეიცარიული „სიონის“ ვარიანტი შემომთავაზა, ერთკვირიანი სინჯები იყო. წინა სეზონს რომ ვამთავრებდი, ტრავმა მივიღე და ბოლომდე მოშუშებული არ მქონდა, ამის გამო არ ვიყავი კარგად მომზადებული. „სიონში“ რომ მივედი, ამ გუნდის ფეხბურთელები უკვე კარგად იყვნენ მომზადებულები და ჩემთვის მათთან ერთად თამაში ძალიან ძნელი გამოდგა - ვარჯიში ხომ ახალი დაწყებული მქონდა. ტრანსფერიც ამიტომ არ გამოვიდა.

**- „ზესტაფონი“ რითი აღმოჩნდა მიმზიდველი თქვენთვის? რატომ აირჩიეთ ეს გუნდი?**

- მომწონს ის პირობები, რაც „ზესტაფონს“ აქვს, მწვრთნელთანაც ვისაუბრე და ამის შემდეგ გადაწყდა, რომ ერთწლიან კონტრაქტს მოვაწერდი ხელს.

**- გია გურული რას აპირებს? საფრანგეთში დაბრუნებას გეგმავს თუ ისევ საქართველოში სურს მწვრთნელობა?**

- მამაჩემი ჯერ ისვენებს, ადვილი სეზონი როდი ჰქონდა. საფრანგეთში წასვლას აპირებს... ვნახოთ, ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არაფერია.

**- „ზესტაფონში“ ჯერ ერთხელ ითამაშეთ, წინა ტურში შეცვლაზე შეხვედით „ჩიხურასთან“...**

- საქმე ისაა, რომ ჯერ არ ვარ ასი პროცენტით მზად. „სიონიდან“ რომ წამოვედი, ერთი თვე მხოლოდ ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი, სირბილი და ტრენაჟორი კარგია, მაგრამ გუნდთან ერთად ვარჯიში და თამაში სულ სხვა არის. ერთი სიტყვით, ადაპტაციისთვის დრო მჭირდება.

**- ახლა გორის „დილასთან“ გიწევთ თამაში. ალბათ იმის მოლოდინში ხართ, რომ მწვრთნელი ისევ შეცვლაზე შეგიყვანთ...**

- არ ვიცი... შესაძლოა, მეორე ტაიმში შევიდე მოედანზე. ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გველის. „დილაში“ გატარებული დრო კარგად მახსენდება. ახლა კი იმის სურვილი მაქვს, რომ „ზესტაფონისთვის“ ვიბრძოლო.


სანდრო გურული

**- ამ დაპირისპირებაში ფავორიტად „დილა“ მოჩანს. ფაქტია, რომ გორელებმა სეზონი კარგად დაიწყეს, ევროსარბიელზეც რიგიანად ითამაშეს...**

- მე „ზესტაფონის“ მჯერა, რადგან ჩვენს გუნდს კარგი მწვრთნელი და ფეხბურთელები ჰყავს. ვფიქრობ, შანსები 50/50-ზეა. მოიგებს ის, ვინც უფრო მეტად მოინდომებს.

**- მიმდინარე სეზონში „ზესტაფონის“ ცუდი სტარტი რისი ბრალი უნდა იყოს?**

- ზუსტად ვერ გეტყვით. თუმცა ფაქტია, რომ „ზესტაფონში“ ბევრი ახალი ფეხბურთელია, მწვრთნელიც ახალია და გუნდის ჩამოყალიბება ასე უცბად არ ხდება.

**- „ზესტაფონის“ სერბი თავკაცი რატკო დოსტანიჩი რომელ პოზიციაზე ხედავს სანდრო გურულს?**

- ალბათ, უფრო ფლანგებზე. „ჩიხურასთანაც“ შეტევის მარცხენა ფლანგზე ვითამაშე.

**- ზესტაფონში ცხოვრება ზოგ ფეხბურთელს უჭირს. თქვენ როგორ ეგუებით ამ ქალაქს?**

- ზესტაფონთან ახლოს ჩემი სოფელია - საზანო. შეიძლება ითქვას, რომ აქაურობა ჩემთვის უცხო არ არის. საფეხბურთო პირობები კი ზესტაფონში მართლა ძალიან კარგია. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა აქაურ გულშემატკივრებს, მათ ძალიან კარგად მიმიღეს. ჩემი თხოვნა იქნება, ქომაგმა ყოველთვის დაგვიჭირონ მხარი, უფრო მეტი გულშემატკივარი მოვიდეს „ზესტაფონის“ მატჩებზე და ერთად მივაღწიოთ სასურველ შედეგს.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაკრები ციფრებში

# სად გაქრნენ კარგი ქართველი ფორვარდები?

## ვინ დაეწევა კობიაშვილს და როდის

**ახლახან** შემოგთავაზეთ სტატია „ფიფას ასიანთა კლუბის“ შესახებ, რომელშიც ეროვნულ ნაკრებებში 100 და მეტი მატჩის ჩამტარებელი ფეხბურთელები მოხვდნენ. გამორჩეულთა შორის მხოლოდ ერთი ქართველია - 100-იანთა კლუბშია ლევან კობიაშვილი, ბერლინის „ჰერტას“ ქართველი ლეგიონერი. ვნახოთ, კიდევ რომელი ქართველი ფეხბურთელები არიან ახლოს „ასიანთა კლუბთან“.



შოთა არველაძე დღემდე რჩება საქართველოს ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირად

### 10 მატჩი და წელიწადნახევარი მიზნამდე

**თემურ ქეცბაიას** გუნდის 6 და 10 სექტემბრის ბატალიები ჩავლილია. საქართველო მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპს (და ამით მუნდიალსაც) 15 ოქტომბერს დაასრულებს, როცა მსოფლიოს ჩემპიონ ესპანეთის ნაკრებს ესტუმრება.

საქართველოს ნაკრების თავკაცი, მას მერე, რაც **ლევან კობიაშვილმა** მე-100 კეპი „მოირგო“, მას აღარ იძახებს ნაკრებში. კობიაშვილის უახლოესი „მდევარი“ კი **ზურაბ ხიზანიშვილია.**

31 წლის მცველის ანგარიშზე 90 საერთაშორისო მატჩია. ასე რომ, „ასიანთა კლუბამდე“ მას მხოლოდ 10 შეხვედრა აშორებს. ხიზანიშვილი ეროვნულ გუნდში 1999 წლიდან გამოდის - 5 ივნისს საბერძნეთთან მატჩის (1:2) 64-ე წუთზე შევიდა მოედანზე. თეორიულად, ზურაბს აქვს შანსი, 2015 წლისთვის „ასიანთა კლუბში“ შევიდეს, კობიაშვილის შემდეგ თითქმის 4 წლის თავზე.

90 მატჩიდან 29 ხიზანიშვილმა მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპზე გამართა (4 სხვადასხვა მუნდიალის - 2002, 2006, 2010 და 2014).

### მიზერული შანსები

უახლოეს ხანებში „ასიანთა კლუბს“ სამწუხაროდ, სხვა ქართველი ვერ შეავსებს - მესამე ადგილზე **კახა კალაძეა**, რომელიც უკვე პოლიტიკოსია და თავის 83 კეპს (ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მატჩი) ველარაფერს შეჰმატებს. ტოპ-5-ში მესამე-მეხუთე ადგილებზე მოქმედი ფეხბურთელი მხოლოდ ალექსანდრე იაშვილია (67 კეპი), რომელსაც ეროვნულ ნაკრებში აღარ იძახებენ.

ნაკრების მოქმედ ფეხბურთელთა შორის ყველაზე მეტი მატჩი ხიზანიშვილის შემდეგ **დავით კვირკველიას** აქვს. თუმცა 33 წლის კვირკველიასთვის 54 კეპი იმას ნიშნავს, რომ მას „ასიანთა კლუბში“ მოხვედრის პრაქტიკული შანსი არა აქვს. მეტი პრაქტიკული შანსი ნაკრების კაპიტან ჯაბა კანკავას (45 კეპი) აქვს, რომელიც 27 წლისაა. მოკლედ, ჩვენი გამოთვლით, უახლოეს 5 წელიწადში ხიზანიშვილის გარდა 100-იანთა კლუბს ალბათ ვერავინ შეავსებს.

### კატასტროფული მდგომარეობა

2014 წლის მუნდიალის შესარჩევ ციკლში (ევროპის ზონას ვგულისხმობთ) საქართველოს ნაკრები გოლებით მხოლოდ ორ ნაკრებს უსწრებს - ანდორას (ნული გოლი) და სან მარინოს (1 გოლი). ჩვენსავით 3-3 გოლი გაიტანეს ლიხტენშტაინმა და ფარერის კუნძულების ნაკრებმა.

მთლად კატასტროფული მდგომარეობაა ნაკრების ყველა დროის საუკეთესო მეგოლეებში. ყველა დროის ბომბარდირი კვლავ **შოთა არველაძეა,** რომელმაც ეროვნული გუნდის მაისურა ბოლოს 2007 წელს მოირგო! მიუხედავად ამისა, ტყუპისცალს კიდევ კარგა ხანი ვერავინ დაეწევა. შოთამ 61 მატჩში შეძლო 26 გოლის გატანა (0,42 შეხვედრაში), რაც შეიძლება ზოგადად დიდი ვერაფერი შედეგიანობაა, მაგრამ ჩვენთვის დიდებული მაჩვენებელია.

მეორე ადგილზე 16 გოლით თემურ ქეცბაია გახლავთ, ნაკრების ამჟამინდელი თავკაცი, რომელიც მხოლოდ 1 გოლით უსწრებს ალექსანდრე იაშვილს, რომელსაც ქეცბაია წინა შესარჩევი ციკლის შემდეგ აღარ იძახებს. 12-12 გოლი აქვთ **გიორგი დემეტრაძეს** და ლევან კობიაშვილს. 10 გოლზე მეტი ნაკრებში კი მხოლოდ ამ ხუთ ფეხბურთელს აქვს გატანილი, იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს ნაკრები უკვე 23 წელიწადია, არსებობს!

დღევანდელი ნაკრების მთავარი მეგოლეები ჯაბა კანკავა და **ვლადიმერ დვალიშვილი** არიან... 4-4 გოლით!

### იცით თუ არა, რომ...

■ ■ ■ საქართველოს ნაკრებმა ყველაზე მეტჯერ ალბანეთის ნაკრებს მოუგო - ჯამში 8-ჯერ. შემდეგ მოდიან მალტა და მოლდოვა - 4-4-ჯერ.

■ ■ ■ ყველაზე მეტჯერ საქართველოს ნაკრებმა ფრედ უკრაინასთან ითამაშა - 3-ჯერ.

■ ■ ■ ყველაზე მეტი მატჩი საქართველოს ნაკრებმა იტალიასთან წააგო - 7. 6-ჯერ საბერძნეთის ნაკრებთან დავმარცხდით, 5-5-ჯერ კი ირლანდიასთან და უკრაინასთან.

■ ■ ■ ყველაზე მეტჯერ საქართველოს ნაკრები ალბანეთს ეთამაშა - 13-ჯერ.

■ ■ ■ საქართველოს ნაკრების ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით გამარჯვება სომხეთის ნაკრებთან აქვს - 7:0 (1997 წელი, ამხანაგური მატჩი).

■ ■ ■ საქართველოს ნაკრები ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით დანიასთან დამარცხდა - 1:6 (2005)

■ ■ ■ მათგან ვინც ეროვნული ნაკრების მაისურა მოირგო, ყველაზე ასაკოვანი **გოჩა ჩიქოვანია** - ის დღეს 50 წლისაა.

■ ■ ■ ყველაზე ახალგაზრდაა **მერაბ გიგაური** - 20 წლის, მასზე თვეებით უფროსია **ჯანო ანანიძე.**

■ ■ ■ ნაკრებში ყველაზე მეტჯერ შეცვლაზე შევიდა გიორგი დემეტრაძე - 17-ჯერ.

■ ■ ■ ლევან კობიაშვილმა ეროვნულ გუნდში 100 მატჩი ისე გამართა, ყოველთვის სასტარტო შემადგენლობაში იყო.

**ტოპ 20**

| კეპი | ფეხბურთელი | ასაკი |
|---|---|---|
| 100 | ლევან კობიაშვილი | 36 |
| 90 | ზურაბ ხიზანიშვილი | 32 |
| 83 | კახა კალაძე | 35 |
| 69 | გიორგი ნემსაძე | 41 |
| 67 | ალექსანდრე იაშვილი | 35 |
| 62 | გოჩა ჯამარაული | 42 |
| 61 | შოთა არველაძე | 40 |
| 58 | ლევან ცქიტიშვილი | 36 |
| 56 | გიორგი ქინქლაძე | 39 |
| 55 | გიორგი დემეტრაძე | 36 |
| 54 | დავით კვირკველია | 33 |
| 49 | თემურ ქეცბაია | 45 |
| 45 | მიხეილ ყაველაშვილი | 42 |
| 45 | გიორგი ლომაია | 34 |
| 45 | ჯაბა კანკავა | 27 |
| 42 | მალხაზ ასათიანი | 32 |
| 40 | ზურაბ მენთეშაშვილი | 33 |
| 36 | ლაშა სალუქვაძე | 31 |
| 36 | ალექსანდრე ამისულაშვილი | 31 |
| 32 | გიორგი შაშიაშვილი | 34 |
| 32 | არჩილ არველაძე | 40 |

**ტოპ 15**

| გოლი | ფეხბურთელი | ასაკი |
|---|---|---|
| 26 | შოთა არველაძე | 40 |
| 16 | თემურ ქეცბაია | 45 |
| 15 | ალექსანდრე იაშვილი | 35 |
| 12 | გიორგი დემეტრაძე | 36 |
| 12 | ლევან კობიაშვილი | 36 |
| 9 | გიორგი ქინქლაძე | 39 |
| 8 | მიხეილ ყაველაშვილი | 42 |
| 8 | დავით სირაძე | 31 |
| 6 | გოჩა ჯამარაული | 42 |
| 5 | არჩილ არველაძე | 40 |
| 5 | მიხეილ აშვეთია | 32 |
| 4 | მიხეილ ასათიანი | 32 |
| 4 | ვლადიმერ დვალიშვილი | 27 |
| 4 | ზაზა ჯანაშია | 37 |
| 4 | ჯაბა კანკავა | 27 |

*შენიშვნა: სტატისტიკაში გამოყენებულია ფიფას და ნატიონალფოოტბალლტეამს.ცომ-ის მონაცემები.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# გაში! გაში!

## ვუსწრებთ ანდორას და სან მარინოს

**მსოფლიოს** ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი დასასრულს უახლოვდება. საქართველოს ნაკრებმა მორიგი ციკლი ჩააგდო, თუმცა ჯერ არავის უთქვამს, ქუდს დავიხურავ და წავალო და არც ის უთქვამს რომელიმე ოფიციალურ პირს, ნაკრების მთავარ მწვრთნელთან კონტრაქტის გაწყვეტაზე დავფიქრდებითო. აქედან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ მომავალ შესარჩევ ციკლშიც საქართველოს ნაკრებს თემურ ქეცბაია უხელმძღვანელებს...

მიმდინარე საკვალიფიკაციოში საქართველოს ნაკრებს ერთი თამაში დარჩა ჩასატარებელი - 15 ოქტომბერს, სტუმრად ესპანეთთან. **თემურ ქეცბაიამ** ფინეთთან მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა - წინა შესარჩევში მეხუთე ადგილი დავიკავეთ, ახლა კი, შესაძლოა, მეოთხეზე გავიდეთო. სტატისტიკა კარგი რამეა, თუმცა ის ყველაფერს ვერ მოიცავს, მაგალითად, თამაშის ხარისხს, მწვრთნელის შემოქმედებით უნარებს და გუნდში შექმნილ სიტუაციას. მაგრამ თუ მაინცდამაინც სტატისტიკურად გვინდა ყველაფრის შეფასება, არც ეგ არის ურიგო საქმე. უეფას ზონაში 8 ჯგუფია და მივყვეთ თანმიმდევრობით.

**A ჯგუფის** აუტსაიდერებმა, **მაკედონიამ** და **უელსმა** ჯგუფში 2-2 თამაში მოიგეს, მაკედონიამ 6 გოლი გაიტანა, უელსმა - 7.

**B ჯგუფის** ბოლო გუნდმა **მალტამ** 1 მატჩი მოიგო და 4 გოლი გაიტანა.

**C ჯგუფის** მაჩანჩალა **ფარერებმა** 3 გოლი გაიტანა, თუმცა ერთი თამაშიც ვერ მოიგო.

**D ჯგუფის** ჯაბანმა **ანდორამ** თამაშიც ვერ მოიგო და გოლიც ვერ გაიტანა.

**E ჯგუფის** ბოლოადგილოსანმა **კვიპროსმა** ერთი თამაში მოიგო და 4 გოლი გაიტანა.

**F ჯგუფის** აუტსაიდერმა **აზერბაიჯანმა** თამაში ვერ მოიგო, ისე კი 4 გოლის გატანა მოახერხა.

**G ჯგუფში** ვერ მოიგო თამაში **ლიხტენშტაინმაც**, თუმცა 3 გოლი კი გაიტანა.

**H ჯგუფში** ბოლო ადგილზე მყოფმა **სან მარინომ** ერთი გოლი გაიტანა, მაგრამ ყველა მატჩი წააგო.

**I ჯგუფში** ბოლოდან მეორე ადგილზე დამკვიდრებულმა **საქართველომ** ერთი თამაში მოიგო და 3 გოლი გაიტანა.

გოლების მიხედვით საქართველო მაჩანჩალებიდან აღემატება მხოლოდ ანდორასა და სან მარინოს, თანაბარი მონაგარი აქვს ფარერებთან და ლიხტენშტაინთან. საინტერესოა, რას ფიქრობენ ასეთ სტატისტიკაზე ქეცბაია და მისი მომხრეები...



თემურ ქეცბაია

სამაგიეროდ, საქართველოს ნაკრებს კარგი მაჩვენებელი აქვს გაშვებული გოლების მიხედვით - ჯერ მხოლოდ 8 ბურთი მიიღო მეტოქეებისგან და ამის მიხედვით, ყველა ჯგუფის აუტსაიდერს სჯობნის. ეგ კი არა, C ჯგუფის მეორე და მესამეადგილოსნებმა - შვედეთმა და ავსტრიამაც 8-8 გოლი გაუშვეს. იგივე მაჩვენებელი აქვს F ჯგუფის მეორეადგილოსან პორტუგალიასაც.

ფინეთთან მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია რომ დასრულდა, რამდენიმე ჟურნალისტმა ქეცბაიას ტაში დაუკრა. დღეს ასეთი ვითარებაა ქართულ მასმედიაში და ყოველგვარი ირონიის გარეშე უნდა ითქვას, რომ ასეთ ქვეყანაში ძალიან ძნელია ჟურნალისტობაც. ჟურნალისტი ცნობისმოყვარე უნდა იყოს და, ალბათ, ჩემი ბრალია, ამ ჟურნალისტებს რომ არ ვკითხე, რისთვის დაუკრეს ტაში ნაკრების მთავარ მწვრთნელს?..

ფინეთთან შეხვედრაში ათასობით გულშემატკივარმა ტაში დაუკრა **ჯაბა კანკავასაც,** როცა ის არბიტრმა გააძევა და მოედანს ტოვებდა. კანკავამ გუნდი ათი კაცით დატოვა და ამის გამო ბოდიშიც მოიხადა. გასაკვირი აქაც ისაა, რისთვის დაუკრეს მას ტაში? როცა **კლაუს ტოპმიოლერი** იყო საქართველოს ნაკრების თავკაცი და შინ იტალიას ვეთამაშებოდით, კანკავა მაშინაც გააძევეს და მაშინაც, რატომღაც, ტაში დაიმსახურა.

ისე, ქეცბაია ერთ რამეში მართალია - სანამ ქვეყანა წინ არ წავა, აქ ყველაფერი ძნელია, ყველაფერი საჯახიროა...

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

# მურთაზ დაუშვილი
# არ შეიძლება, პროფესიონალ ფეხბურთელს ასეთი კონტრაქტი ჰქონდეს

**მურთაზ დაუშვილი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ლვოვის „კარპატის“ დაუბრუნდა და ახალი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ უკრაინულმა გამოცემებმა გაავრცელეს ცნობა, ვითომდა სატრანსფერო ფანჯრის დახურვის წინა დღეს, ლვოველებმა ქართველი ფეხბურთელი განაცხადში შეიყვანეს და 88-ნომრიანი მაისურაც დაუბრუნეს...**

**ამ ფონზე, მოულოდნელი იყო დაუშვილის თბილისში გამოჩენა. უგუნდოდ დარჩენილმა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა „საქართველოს პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის“ დამფუძნებელთა პრესკონფერენციაზე საკუთარი პრობლემა გაამხილა. ვისარგებლეთ შემთხვევით და დაუშვილს ინტერვიუ ვთხოვეთ...**



მურთაზ დაუშვილი

- იმის გამო, რაც „კარპატის“ ხელმძღვანელობამ გამიკეთა, ვერსად ვთამაშობ და ეროვნული ნაკრების ორი შეხვედრაც გამოვტოვე. პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის ჩამოყალიბება ძალიან გამიხარდა. ნეტავ, ცოტა ადრე მაინც მომხდარიყო, ასეთ პრობლემებს ხომ არ წავაწყდებოდი?

**- ჯერ დავაზუსტოთ: „კარპატისთან“ ახალი კონტრაქტი თუ გააფორმეთ, თბილისში როგორ გამოგიშვეს?**

- ეს ინფორმაცია ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. სინამდვილეში არანაირი კონტრაქტი არ გამიფორმებია. თბილისში კი უკვე თვენახევარია, რაც ჩამოვედი. ახლახან შევიტყვე, რომ „საქართველოს პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის“ დამფუძნებლები პრესკონფერენციას მართავდნენ და მათი მხარდაჭერა მსურდა. მიმაჩნია, რომ ეს ორგანიზაცია ქართულ ფეხბურთს ჰაერივით სჭირდებოდა.

**- „კარპატის“ საჩემპიონატო განაცხადში თქვენი შეყვანაც ტყუილია?**

- არა, ეს მართალია. თურმე, განაცხადში შემიყვანეს, მაგრამ ჩვენ შორის გაუგებრობა დღემდე გრძელდება. „კარპატისთან“ გაფორმებული კონტრაქტი ფიფას სტანდარტებს არ შეესაბამება. არ შეიძლება, პროფესიონალ ფეხბურთელს ასეთი ხელშეკრულება ჰქონდეს, მით უფრო, უკრაინის პრემიერლიგის კლუბში. სამწუხაროდ, თავის დროზე ამას დიდი ყურადღება არ მივაქციე და ახლა ვნანობ. ფაქტობრივად, ამ კონტრაქტით მე, როგორც ფეხბურთელს, არანაირი უფლება არ დამიტოვეს, მაქვს მხოლოდ ვალდებულებები.

**- როგორც ვიცით, ხელფასის განახევრებას გპირებენ...**

- დავაზუსტებ: როცა „კარპატისთან“ კონტრაქტი გავაფორმე, შევთანხმდით, რომ მზარდი ხელფასი მექნებოდა. მაგრამ კლუბს რომ გაუჭირდა, ამ პირობებზე უარის თქმა მომთხოვეს. ახლა გამოდის, რომ რა პირობებიც პირველ წელს მქონდა, მინიმუმ 2,5 წელი იგივე უნდა დამრჩეს. ასეთ პირობებზე ხელის მოწერა ჩემთვის მიუღებელია. სწორედ ამიტომ დაგვაყენეს ტრანსფერზე მე და კიდევ 18 ფეხბურთელი. დავა გრძელდება, თუმცა ამ კონტრაქტზე ხელის მოწერას არ ვაპირებ.

**- აბა, განაცხადში რატომ შეგიყვანეს?**

- არ ვიცი. ჩემთვის არავის უთქვამს, რომ განაცხადში ვიქნებოდი. არადა, როგორც გითხარით, უკვე თვენახევარია, თბილისში ვარ.

**- მერედა, ამის გამო კლუბი არ დაგსჯით?**

- ამაზე კლუბის გენერალურ დირექტორს შევუთანხმდი. გარდა ამისა, ჩემს მომავალ ტრანსფერზეც დაველაპარაკე. უნდა მოვძებნო კლუბი, რომელიც „კარპატისთვის“ მეტ-ნაკლებად მისაღებ თანხას გადაიხდის.

**- რამდენს მოითხოვს „კარპატის“ ხელმძღვანელობა?**

- ალბათ, ნახევარ მილიონს.

**- რომელიმე კლუბი დაინტერესდა თქვენით?**

- მოლაპარაკება მიმდინარეობს და ვნახოთ... მაგრამ ჯერ კლუბის სახელს ვერ დავაკონკრეტებ.

**- ევროპული კლუბია?**

- ყოველ შემთხვევაში, მე მსურს, რომ კარიერა ევროპაში გავაგრძელო.

**- ახალ ორგანიზაციაში თქვენი გამოჩენა გვაფიქრებინებს, რომ „კარპატის“ წინააღმდეგ სარჩელს შეიტანთ...**

- ჯერ არ შემიტანია. ლვოველებთან ურთიერთობა ისედაც დამეძაბა და კიდევ უფრო გამწვავებაც არ მინდა. ჯერ თავად შევეცდები საქმის მოგვარებას.

**- ...მაგრამ, თუ ეს არ გამოვიდა და თავისუფალი აგენტის სტატუსი ვერ მიიღეთ, სხვა გუნდშიც იჯარითაც ვერ გადახვალთ.**

- ამიტომაც მსურს ტრანსფერის გამოსყიდვა.

**- ახლა სად ვარჯიშობთ?**

- მხოლოდ ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, მაგრამ უგუნდოდ ფორმის შენარჩუნება ძალიან ძნელია. „კარპატის“ გარდა, სხვა კლუბში ვარჯიშის უფლებაც არ მაქვს და ამას ძლიერ განვიცდი, ისევე, როგორც ნაკრების ბოლო ორი შეხვედრის გამოტოვებას. არადა, როგორ მინდოდა მოედანზე გასვლა და ბიჭების დახმარება. ნაკრებში თამაში მაინც სულ სხვა სტიმულია.

**- მართალია, თითქოს თბილისის „დინამოში“ გიწვევდნენ?**

- ამ ხმებმა ჩემამდეც მოაღწია და ვერ ვხვდები, საიდან მოიტანეს? მოლაპარაკებაც არ გვქონია.

**- ფინეთთან თამაშზე რას იტყოდით?**

- ძალიან დასანანი წაგება იყო. ჩემი აზრით, მსაჯს პენალტი არ უნდა დაენიშნა. ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს. მარცხს არ ვიმსახურებდით.

**- ფეხბურთი რომ მხოლოდ ბრძოლა არ არის?..**

- სამწუხაროდ, მომენტები ვერ გამოვიყენეთ. არადა, ეს თამაშის ხასიათს აბსოლუტურად შეცვლიდა.

**- ნაკრების წევრი ხართ და ერთს გკითხავთ - ლამის ყველა ისეთ კლუბში თამაშობთ, სადაც ბურთის თრევას არავინ გაპატიებთ, მაგრამ ნაკრებში სწრაფად მაინც ვერ თამაშობთ. ფინელები ტემპშიც გვჯობდნენ და მოძრაობაშიც. რატომ?**

- ძნელი სათქმელია... ფინეთი ხელწამოსაკრავი ნაკრები არ არის, სულ ლეგიონერებითაა დაკომპლექტებული. მათი ბევრი ფეხბურთელი საკმაოდ ძლიერ ევროპულ კლუბში თამაშობს, ამიტომ, მათგან კარგი ფეხბურთი არ გამკვირვებია. წაგებას კი იმას მივაწერ, რომ საფრანგეთთან ძალიან დიდი ძალები დავხარჯეთ და გუნდი გადაღლილი იყო. არადა, ფრანგებთან თამაშის შემდეგ სიამაყის გრძნობა მქონდა. ბიჭებმა მშვენიერი მატჩი ჩაატარეს და ხალხის გასახარებლად გულიანად იბრძოლეს.

**- ფინელებმა საქართველოში ჩამოსვლამდე ნახევარი დღე მაინც დაკარგეს და ამ კუთხით, საქართველოს ნაკრებს უპირატესობა უნდა ჰქონოდა...**

- ესპანელებთან ფინელების თამაში ვნახე და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იმხელა ძალა არ დაუხარჯავთ, რამდენიც ჩვენ - ფრანგებთან. მეორეცაა: თბილისში ფინეთთან უნდა შეგვეტია, რასაც დიდი ძალები სჭირდებოდა. გადაღლილობის გამო გაგვიჭირდა...

**მერაბ მამულაშვილი**

ამბები

## ნერგაძე კლუბს დეკემბერში დაელაპარაკება

**გია ნერგაძე** სამხრეთ აფრიკაში თბილისის „დინამოს“ ყოფილმა მწვრთნელმა **რაინერ ცობელმა** 2010 წელს წაიყვანა. მას მერე, უკვე მეოთხე სეზონია, 31 წლის ფეხბურთელი „მოროკა სვოლოუსში“ თამაშობს.

*„სამხრეთ აფრიკას ძალიან შევეჩვიე. ქვეყანაც ლამაზი და მდიდარია, აფრიკაში ერთ-ერთი ყველაზე მოწესრიგებული სახელმწიფოა, ხალხიც თბილია და ფეხბურთი უყვართ. რაც მთავარია, საკმაოდ კარგი დონის ჩემპიონატია, საქართველოსაზე ბევრად ძლიერი ლიგაა, პირობებსაც არაფერი დაეწუნება. მოკლედ, ძალიან კმაყოფილი ვარ“,* - ამბობს ნერგაძე.

„მოროკასთან“ კონტრაქტი ნერგაძეს 2012 წლის ივლისში დაუმთავრდა, მაგრამ ახალი ხელშეკრულება გააფორმა და ამბობს, რომ სამხრეთ აფრიკაში დარჩენას აპირებს:

*„კონტრაქტი მომავალ წელს მიმთავრდება და ჯერ ადრეა ლაპარაკი, დავრჩები თუ არა. დეკემბერში ამაზე დალაპარაკება მოგვიწევს. აქ ძალიან კმაყოფილი ვარ და დარჩენის წინააღმდეგი არ ვიქნები. თუ „მოროკა სვოლოუსმა“ ახალი კონტრაქტი არ შემომთავაზა, ჯერ აქვე მოვძებნი სხვა ვარიანტს, ხოლო თუ არაფერი გამოვა, საქართველოში დავბრუნდები“.*

შეგახსენებთ, რომ თავის დროზე ნერგაძე ქუთაისის „ტორპედოს“ საყრდენი ნახევარმცველი იყო, მოგვიანებით თბილისის „დინამოში“ ცენტრალურ მცველად ათამაშებდნენ, აფრიკაში კი საყრდენად დააბრუნეს. რამდენჯერმე იყო გამოძახებული ეროვნულ ნაკრებშიც.

**მერაბ მამულაშვილი**

### I ლიგა. III ტური

#### A ზონა

| | |
|---|---|
| შუქურა-გაგრა | 2:2 |
| ალგეთი-ადელი | 5:0 |
| კოლხეთი (ფ)-იმერეთი | 4:1 |
| მეშახტე-სქური | 4:1 |
| კახეთი-მერცხალი | 2:1 |
| ჩხერიმელა-დინამო 2 (თბ) | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალგეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-0 | 9 |
| 2. კოლხეთი (ფ) | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| 3. მეშახტე | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| 4. ჩხერიმელა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 5. საპოვნელა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 6. გაგრა | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 7. შუქურა | 2 | 1 | 1 | 0 | 6-5 | 4 |
| 8. კახეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| 9. დინამო 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |
| 10. სქური | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |
| 11. მერცხალი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |
| 12. ადელი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-9 | 0 |
| 13. იმერეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-9 | 0 |

#### B ზონა

| | |
|---|---|
| სტუ-სულორი | 5:1 |
| დინამო (ბთ)-დილა 2 | 3:1 |
| ბეთლემი-სამტრედია | 0:1 |
| მაჭახელა-სასკო | 2:0 |
| ბახმარო-ჭიათურა | 1:2 |
| სამგურალი-კოლხეთი (ხ) | 2:2 |
| საბურთალო-ლოკომოტივი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბურთალო | 3 | 3 | 0 | 0 | 7-1 | 9 |
| 2. სამტრედია | 3 | 3 | 0 | 0 | 4-1 | 9 |
| 3. მაჭახელა | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 4. დინამო (ბთ) | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 5. ჭიათურა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 6. სტუ | 3 | 1 | 1 | 1 | 8-5 | 4 |
| 7. ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-2 | 4 |
| 8. დილა-2 | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| 9. კოლხეთი (ხ) | 3 | 1 | 1 | 1 | 5-7 | 4 |
| 10. სამგურალი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 11. ბეთლემი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |
| 12. სასკო | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| 13. სულორი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-8 | 1 |
| 14. ბახმარო | 3 | 0 | 0 | 3 | 2-9 | 0 |

### II ლიგა

#### აღმოსავლეთი ზონა

##### I ტური

| | |
|---|---|
| ივერია (ხაშური)-ბორჯომი | 1:1 |
| საქ. უნივერს. (თბილისი)-რუსთავი | 8:3 |
| აბული (ახალქ.)-მარკ სტარი (თბილისი) | 1:2 |
| ფორვარდი (თბ.)-დურუჯი (ყვარელი) | 0:0 |
| გურჯაანი-სასკო 2 (თბილისი) | 2:0 |
| არაგვი (დუშეთი)-ლიახვი (აჩაბეთი) | 1:1 |
| ივერიონი (თბილისი)-დინამო (სოხუმი) | 1:1 |
| გოლიადორი (თბ.)-იბერია (თბილისი) | 4:2 |

#### დასავლეთი ზონა

##### II ტური

| | |
|---|---|
| საირმე (ბაღდ.)-მარგვეთი (ზესტ.) | 0:1 |
| მერცხალი 2 (ოზურ.)-შუქურა 2 (ქობ.) | 0:2 |
| კოლხეთი 2 (ხობი)-რაჭა (ამბროლაური) | 4:0 |
| ქუთაისი-საპოვნელა 2 (თერჯოლა) | 5:1 |
| ლაზიკა (ზუგდიდი)-კოლხეთი 2 (ფოთი) | 5:0 |
| ეგრისი (სენაკი)-დინამო 2 (ბათუმი) | 1:0 |

გურია

# ვილი ისიანი: სიონიდან გაშვებამ სტიმული მომცა



თბილისის დინამოსთან ანგარიში
ვილი ისიანმა (№24) გახსნა
ფოტო: www.fcdinamo.ge

სეზონის დაწყებამდე **ვილი ისიანი** ბოლნისის „სიონმა“ ლანჩხუთის „გურიაში“ იჯარით გაუშვა. შესაძლოა, იმ დროს **გიორგი კიკნაძის** არგუმენტი მისაღები იყო - 22 წლის თავდამსხმელმა ჩემპიონატის 21 მატჩში მხოლოდ 1 გოლი გაიტანა, გუნდს კი შეტევის გაძლიერება სჭირდებოდა და ბოლნისელთა მთავარი მწვრთნელი სხვა თავდამსხმელებს დაეყრდნო.

მაგრამ ზოგი ჭირი მართლაც მარგებელია - „გურიაში“ ისიანი ისე ათამაშდა, პირადად მისი დამსახურებაცაა, გუნდმა 4 მატჩიდან 2 რომ მოიგო: გურულებმა მარტვილის „მერანი“ სწორედ მისი გოლით დაამარცხეს (1:0), თბილისის „დინამოსთან“ მოგებულ მატჩშიც ანგარიში ისიანმა გახსნა და თავისიანების წარმატებას სათავე დაუდო (2:1).

2 მატჩში გატანილი 2 უმნიშვნელოვანესი გოლით ისიანი ჩემპიონატის ბომბარდირებშია და გურულებსაც მისი ეიმედებათ - მოულოდნელად, ლანჩხუთელებმა საკმაოდ საინტერესო თავდამსხმელი შეიძინეს. და ეს იმ დროს, როცა ჩემპიონატის დაწყებამდე სამი დღით ადრე, გუნდიდან მოთამაშეთა წასვლის გამო, ელემენტარულად, პოზიციის შევსებაზე ფიქრობდნენ.

*„იცით, რამ იმოქმედა ჩემზე? მეგონა, რომ ლანჩხუთში სათამაშო პრაქტიკისთვის მივდიოდი. მოულოდნელად, საკმაოდ კარგ და მეგობრულ გუნდში მოვხვდი. „გურიაში“ ისეთი ფეხბურთელები დამხვდნენ, ერთმანეთს ადვილად რომ გავუგეთ მოედანზეც და მოედნის მიღმაც. შესაძლოა, ჩემპიონატის დაწყებამდე ჩვენი ბევრს არ სჯეროდა, მაგრამ ეს ორი გამარჯვება შემთხვევითი არაა, სწორედაც მეგობრული ატმოსფეროს შედეგია. მიმაჩნია, რომ მართლაც კარგი გუნდი ყალიბდება“,* - ამბობს ისიანი.

ლანჩხუთელთა თავდამსხმელი ამბობს, რომ „სიონიდან“ გაშვების შემდეგ ცხვირი არ ჩამოუშვია: *„პირიქით, ამან დიდი სტიმული მომცა, საკუთარი შესაძლებლობები რომ დამემტკიცებინა. როცა ბოლნისში გიორგი კიკნაძე დაინიშნა, ჩემი თავი არც გააცნეს, ისე გამიშვეს დუბლშემადგენლობაში. ცხადია, ამან ჩემს თავმოყვარეობაზე იმოქმედა - მსურდა, დამემტკიცებინა, რომ თამაში შემეძლო. როცა „გურიაში“ გადასვლის შანსი გამიჩნდა, სწორედ თვითდამკვიდრებისა და თავის გამოჩენის სურვილი მამოძრავებდა და ეს შანსი გამოვიყენე. ხოლო იმისთვის, რომ დავამტკიცო, რა შემიძლია, წინ მთელი სეზონია და იმედია, თავს გამოვიჩენ. დასაწყისი კი უფრო წარმატებული გამოდგა, ვიდრე წარმოვიდგენდი და ეს ჩვენი ბიჭების დამსახურებაა, ისინი ყველანაირად ხელს მიწყობენ“.*

თბილისის „დინამოსთან“ ლანჩხუთელთა გამარჯვება ძალზე მოულოდნელი იყო. საინტერესოა, რამ განაპირობა ეს მოგება - „დინამო“ იყო მოშვებული თუ „გურია“ - კარგად მომზადებული? „გურიას“ თავდამსხმელი ამაზეც ლაპარაკობს:

*„გუნდის კარგი თამაში მოულოდნელი ნამდვილად არ იყო, რადგან საქართველოში ასეთი სენსაციები იშვიათი ამბავი არ არის. ჩვენ თავად დავიჯერეთ, რომ ნებისმიერ მეტოქესთან თამაში შეგვეძლო, გავედით მოედანზე და ბოლომდე ვიბრძოლეთ. ასე, ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხებაც შესაძლებელია. ახლა ქუთაისში „ტორპედოსთან“ ძალიან მძიმე შეხვედრა გველის. მჯერა, ბიჭები კვლავ ღირსეულად ითამაშებენ“.*

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ. მესუთ იოზილი

# ახალი ამოცანები გერმანელის ცხოვრებაში

გერმანიის ნაკრების 24 წლის ნახევარმცველი მესუთ იოზილი „არსენალის" ბაზაზე გუშინ პირველად გამოცხადდა „მეთოფეთა" ფეხბურთელის სტატუსით. „რეალიდან" ტრანსფერის შემდეგ, მოგეხსენებათ, სანაკრებო პაუზა იყო, სადაც ფეხბურთელმა თავისი საუკეთესო თვისებები წარმოაჩინა. ავსტრიასთან მისი პასების 99% (!) ზუსტი აღმოჩნდა, ფარერებთან კი ფეხბურთელმა გოლის გარდა საგოლე გადაცემაც ჩაიწერა აქტივში. შაბათს „სანდერლენდთან" მატჩს ის იდეალურ ფორმაში ხვდება. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ფეხბურთელმა „არსენალის" ვებგვერდს მისცა.

**- მესუთ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „არსენალში". როგორი გრძნობაა ახალ კლუბთან კონტრაქტის გაფორმება?**

- შესანიშნავი. მოუთმენლად ველოდები ტურნირებში ჩართვას, ლონდონში ცხოვრების დაწყებას და თანაგუნდელებთან გაცნობას. მწვრთნელთან და გულშემატკივრებთან შეხვედრას. ჩემთვის ეს იდეალური გამოსავალი იყო.

**- რომელი ფაქტორების გამო გააკეთეთ არჩევანი „არსენალზე" და ვენგერის ფაქტორი რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამ შემთხვევაში?**

- „არსენალი" იმიტომ ავირჩიე, რომ ის ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია, რომელსაც მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული მწვრთნელი ჰყავს. ვენგერი თავის დონეს უკვე წლებია, რაც ამტკიცებს. მისი ხელმძღვანელობით ბევრმა ფეხბურთელმა იპოვა თავისი თამაში. მეც მინდა, რომ კიდევ უფრო დავიხვეწო. თანაც მომწონს მისეული სტილი. „არსენალი" ცნობილია ტექნიკური და შემტევი ფეხბურთით. ვფიქრობ, გუნდში იოლად ჩავეწერები.

**- რამდენად მნიშვნელოვანი იყო კლუბის ამბიციები და სამომავლო გეგმები?**

- მნიშვნელოვანია, თუმცა მთავარია, რომ მწვრთნელს სჯერა ჩემი. მინდა, ჩემი შესაძლებლობები გამოვავლინო და მოედანზე ყოფნა მსიამოვნებდეს. გუნდის დახმარებას ნამდვილად შევძლებ.

**- გადაწყვეტილების მიღებამდე მერტეზაკერსა და პოდოლსკის თუ ესაუბრეთ?**

- სამწუხაროდ არა, რადგან ყველაფერი ძალიან ჩქარა მოხდა. ბევრი ვისაუბრე „არსენალის" თავკაცთან. ის მიხსნიდა თავის ხედვას, თუ როგორ აპირებს ჩემს გამოყენებას. ამ ყველაფერმა შთამაგონა და სწორედ ამიტომ ვარ აქ.

**- „არსენალის" სტილზე რას ფიქრობთ და რამდენად მომხიბლავია ის თქვენთვის?**

- როგორც ვთქვი, მივიჩნევ, რომ ჩვენ ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური და დიდი პოტენციალის გუნდი ვართ. ვენგერის მიზანია, მიმზიდველი და შემტევი თამაშის ჩვენება. ამ სქემაში უნდა ჩავჯდე, რადგან მიზიდავს სწრაფი და ერთი შეხებით თამაში.

**- „არსენალის" ამჟამინდელი შემადგენლობა თუ შეძლებს ტიტულების მოგებას?**

- ეჭვი არ მეპარება. ძალიან გვინდა, რომ წარმატებულები ვიყოთ და ტიტულებს შევწვდეთ. ამას გულშემატკივარიც მოუთმენლად ელოდება. გუნდში ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშეები არიან შეკრებილნი, რომელთაც ვენგერის დახმარებით შეუძლიათ თამაშის მომატება. ვფიქრობ, რომ საკმარის პოტენციალს ვფლობთ.

**- უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სწორედ თქვენ გააკეთეთ ყველაზე მეტი საგოლე გადაცემა ევროპაში. შედეგიან პასსა და გოლს თანაბრად აფასებთ?**

- დიახ, სწორედ საგოლე გადაცემებს მოაქვს წარმატება. მე იმ კატეგორიის მოთამაშეთა შორის ვარ, ვისაც უყვარს მომენტების შექმნა. ჩემი თანაგუნდელების უმრავლესობამ იცის, რომ არ ვარ ეგოისტი ფეხბურთელი. ერთნაირად ბედნიერი ვარ, პასის და გოლის მომენტშიც. ჩემთვის მთავარია, გუნდს ჰქონდეს დადებითი შედეგი.

**- პრემიერლიგა განსხვავებული ტურნირია. მოახერხებთ ადაპტაციას?**

- პრემიერლიგაში თამაშის შანსის ბოძებითაც კი ბედნიერი ვარ. ყველამ იცის, რომ ეს მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ჩემპიონატია. აქ ყველაზე მეტი ტოპკლუბია და სწორედ მსგავს გარემოში მსურს საკუთარი ძალების მოსინჯვა. ჩემთვის ეს ახალი გამოწვევა და ახალი ამოცანაა.

**- ქუჩის ფეხბურთმა თქვენს ტექნიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. შეგიძლიათ ამაზე მოგვიყვეთ?**

- პატარა ზომის მოედანზე ხშირად ჩემზე 5-6 წლით უფროსებთან მიწევდა ჭიდილი. როცა გარეთ ვთამაშობდი, სიმაღლით არ გამოვირჩეოდი. ასაკის გარდა ჩემი მეტოქეები ჩემზე მაღლები და ფიზიკურად ძლიერები იყვნენ.

**- ამ ასაკში ვის გინდოდათ დამსგავსებოდით და რატომ?**

- ცოტა ხნის წინაც ვთქვი, რომ ჩემი კერპი, ფეხბურთელის იდეალი ზინედინ ზიდანი იყო. ის ძალიან ძლიერი იყო ჰაერშიც, დაცვით ფეხბურთშიც და შეტევაში.

**- 2009 წელს ევროპის U21 ჩემპიონატზე ფინალში ინგლისის ნაკრების განადგურებაში (4:0) დიდი როლი ითამაშეთ. თქვენ წინააღმდეგ მაშინ უოლკოტი და გიბსი თამაშობდნენ. როგორ გაიხსენებდით ამ ტურნირს?**

- შესანიშნავი დრო იყო. ევროპის ჩემპიონატი მართლა ძალიან მაღალი დონის გუნდით მოვიგეთ, რომელსაც მაღალი დონის სპეციალისტები ჰორსტ ჰრუბეში და დიტერ აილსტი წვრთნიდნენ. მახსოვს, რომ ფინალში უზარმაზარი უპირატესობა გვქონდა და დიდი ანგარიშით მოგებას ნამდვილად ვიმსახურებდით.

**- როგორ ფიქრობთ, ისეთ ქალაქში ცხოვრება როგორიც ლონდონია, რამდენად კომფორტული იქნება თქვენთვის?**

- ვფიქრობ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ამ ქალაქზე ბევრი კარგი რამ მსმენია. ლონდონი „მსოფლიო ქალაქია", სადაც მუდმივად რაღაც ხდება. ასე რომ, საქმეს ყოველთვის გამონახავ.

**- „არსენალის" ფანებს რას ეტყოდით?**

- ბედნიერი ვარ, რომ აქ თამაშის შანსი მომეცა. ჩემთვის ეს დიდი პატივია. იმედია, წარმატებული სეზონი გამოგვივა.


მესუთ იოზილი

● დერბის წინ

# პოლიცია ემზადება

22 სექტემბერს „ეტიჰადზე" დიდი მატჩი გაიმართება. „მანჩესტერ სიტი" თანაქალაქელ „იუნაიტედს" უმასპინძლებს. გულშემატკივარს წინა სეზონის მატჩი ალბათ დღემდე ახსოვს. თამაშის მიმდინარეობისას ორი სერიოზული ინციდენტი მოხდა. ჯერ იყო და, მავანი გადარეული ფანი მოედანზე გადაიჭრა, შემდეგ კი **რიო ფერდინანდს** წარბში მონეტა მოარტყეს და 34 წლის ვეტერანს ბლომად სისხლი ადინეს. იმისთვის, რომ მსგავსი ინციდენტები აღარ განმეორდეს, სტადიონის უსაფრთხოების სამსახურის გარდა, პოლიციაც საგანგებო რეჟიმში იმუშავებს. სამართალდამცავების მაღალჩინოსანი წარმომადგენელი აცხადებს: „ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სტადიონზე შეკრებილი ხალხის უსაფრთხოება მაქსიმალურად დავიცვათ. ბოლო პერიოდში კლუბებთან ინტენსიური კავშირი გვაქვს, რათა გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდეს და ხალხს ფეხბურთზე ოჯახთან ერთად წასვლის სურვილი არ დაეკარგოს. უსიამოვნებები მხოლოდ გამონაკლისი შემთხვევები თუ იქნება. ჩვენი თანამშრომლები ამისთვის მზად არიან".


პოლიცია გვპირდება, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება

## სიტის ფანები აღშფოთდნენ

„მანჩესტერ სიტიმ" ჩემპიონთა ლიგაში პლზენის „ვიქტორიასთან" გასვლით მატჩზე დასასწრები ბილეთების ერთი ნაწილი (სულ 600 ცალი) 47 ფუნტად გაყიდა. მოულოდნელად იმავე ბილეთებს მეორე დღეს 86 ფუნტი დაედო ფასი, რასაც რიგითი ფანების აღშფოთება მოჰყვა. „დეილი მეილის" მტკიცებით, გულშემატკივართა ნაწილმა კლუბის გადაწყვეტილებას მათი ძარცვის კვალიფიკაცია მიანიჭა. შეგახსენებთ, რომ მსგავსი ისტორია მოხდა შარშან „არსენალთან" ლონდონური თამაშის წინაც. „სიტიმ" მაშინ ბილეთების გაყიდვა 62 ფუნტად მოისურვა, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ფანების ნაწილმა თამაშზე დასწრებაც კი იუარა. „ემირეიტსზე" „სიტის" იმდენად ცოტა მხარდამჭერი შეიკრიბა, რომ გვერდითა არბიტრმა ფეხბურთელებს მათთვის სპეციალური მადლობის გადახდისკენაც კი მოუწოდა.

● ამბები


ტომაშ როსიცკი

## როსიცკიმ ლაზარეთში გადაინაცვლა

ტურინში იტალიასთან მატჩისას (1:2) ჩეხეთის ნაკრების ნახევარდაცვის ლიდერმა **ტომაშ როსიცკიმ** ტრავმა პირველ ტაიმშივე მიიღო და იძულებული გახდა, შეცვლა ეთხოვა. ჯერჯერობით უცნობია, რამდენად მძიმეა 32 წლის სპორტსმენის დაზიანება. პასუხი რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი, როცა მას „არსენალის" ექიმები სამედიცინო გამოკვლევას კიდევ ერთხელ ჩაუტარებენ. ამით **არსენ ვენგერის** უიღბლობას წერტილი რომ დასმოდა, ფრანგი ალბათ ყველაზე ბედნიერი კაცი იქნებოდა, თუმცა „ინდეპენდენტის" მტკიცებით, უქმეებზე შესაძლოა მოედანზე გასვლა ვერ შეძლონ **თეო უოლკოტმა, ჯეკ უილშირმა** და **აარონ რემსიმ**. ტრავმა ყველამ ნაკრებში თამაშისას მიიღო. **მესუთ იოზილის** დებიუტი კი ამხელა დანაკლისის საპირწონე ვერ იქნება. ხვალ „მეთოფეები" „სანდერლენდს" შესუსტებული შემადგენლობით დაუპირისპირდებიან.

## ჯონსონი იოლად გამოძვრა

„ლივერპულ დეილი პოსტის" ცნობით, „ლივერპულის" მარჯვენა მცველის, 29 წლის **გლენ ჯონსონის** ტრავმა ისეთი რთული არ აღმოჩნდა, როგორსაც რამდენიმე დღის წინ აღწერდნენ. ამტკიცებდნენ, რომ ინგლისის ნაკრების მოთამაშე აქტიურ ფეხბურთს დეკემბრის შუა რიცხვებამდე ვერ დაუბრუნდებოდა. ახლა კი ირკვევა, რომ ჯონსონი სრული დატვირთვით ვარჯიშს ყველაზე გვიან ოქტომბრის ბოლოს შეძლებს. ასეა თუ ისე, ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზითაც კი, უკანახაზელი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში პოლონეთსა და ჩერნოგორიასთან გადამწყვეტ შეხვედრებს დააკლდება. **როი ჰოჯსონი** ძირითადში ალბათ ტოტენჰემელ **კაილ უოლკერს** დააყენებს.

## ტრაპის მემკვიდრეთა სია ცნობილია

2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ირლანდიის ნაკრების წარუმატებლობის გამო, 74 **წლის ჯოვანი ტრაპატონი** პოსტიდან გადადგა. საპატიო ასაკის მიუხედავად იტალიელი დასვენებას არ აპირებს და შეთავაზებებს ელოდება, თუმცა ეს სხვა თემაა. ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციას უკვე ჰყავს ორი კანდიდატურა. ევფ-ის ცნობით, ერთ-ერთი ჩრდილოირლანდიელი **მარტინ ონილია**. 61 წლის სპეციალისტი მიმდინარე წლის 30 მარტს „სანდერლენდის" თავკაცის პოსტიდან წასვლის შემდეგ უმუშევარია. ბრიტანული პრესის დიდი ნაწილი სწორედ მას მიიჩნევს უმთავრეს ფავორიტად. თუმცა არსებობს სხვა ვერსიაც. მაგალითად, „ლიდსის" მოქმედი თავკაცი **ბრაიან მაკდერმოტი**. უკანასკნელი შარშან „რედინგს" წვრთნიდა, თუმცა ვადაზე ადრე დაითხოვეს და „ელანდ როუდზე" ზაფხულზე მივიდა სამუშაოდ.


მარტინ ონილი

## ყველაზე ძვირი ისევ არსენალია

BBC-მ საინტერესო კვლევა ჩაატარა პროფესიული სტატუსის მქონე საფეხბურთო კლუბებში და აღმოაჩინა, რომ ყველაზე მეტი მიზეზი უკმაყოფილებისთვის „არსენალის" გულშემატკივრებს აქვთ. უიაფესი სეზონური აბონემენტისთვის ფანებს 985 ფუნტის გადახდა მოუწევთ, ყველაზე კომფორტული ადგილებიდან ფეხბურთის თვალის დევნება კი 1955 ფუნტი დაჯდება. უბნელებს ბევრით არ ჩამორჩება „ტოტენჰემი". „უაით ჰართ ლეინზე" წლის განმავლობაში ადგილის დაჯავშნა 765 ფუნტი ღირს, ხოლო თუკი გინდათ, რომ თამაშს გემო ჩაატანოთ, მაშინ 1895 უნდა გაიღოთ. ჩრდილოლონდონელებთან შედარებით ბევრად უფრო იაფია „მანჩესტერ სიტის" მიერ დაწესებული ფასი, შესაბამისად, 299 და 765 ფუნტი.

## ადებაიორი ვარჯიშს განაახლებს

„ტოტენჰემის" 29 წლის ტოგოელი თავდამსხმელი **ემანუელ ადებაიორი** ძმის დაღუპვის გამო სამშობლოში იმყოფებოდა. ის ლონდონში დაბრუნებას ხვალისთვის აპირებს, ორშაბათიდან კი ვარჯიშსაც განაახლებს. პირველ ეტაპზე ფეხბურთელს დუბლებთან მოუწევს ყოფნა, იქამდე, ვიდრე ფიზიკურ კონდიციებს არ აღიდგენს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**


ემანუელ ადებაიორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ლიგა

# 5 ახალგაზრდა, რომელთაც ლა ლიგის გაოცება შეუძლიათ


საულ ნიგესი

ისკო, კოკე, ინიგო მარტინესი, რაფაელ ვარანი - ამ და კიდევ ბევრმა სხვა ახალგაზრდა ფეხბურთელმა, ბოლო ორი სეზონის განმავლობაში, პერსპექტიულ მოთამაშეთა რიგებიდან შემდგარი ვარსკვლავების კატეგორიაში გადაინაცვლა. ამ სეზონში ახალი სახეების გამოჩენას უნდა ველოდოთ. მოდი, ერთად ვნახოთ ის ხუთი ახალგაზრდა ფეხბურთელი, ვინც სპეციალისტების აზრით, წლევანდელ სეზონში აუცილებლად გაიბრწყინებს...

## ტიევი ბიფუმა - „ესპანიოლი“

ახალგაზრდა ფრანგ ფორვარდს ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ წელს ლა ლიგის ერთ-ერთ აღმოჩენად იქცეს. ფიზიკურად ძლიერი და სწრაფი ტიევი, „ესპანიოლის“ წამყვან ფეხბურთელად ყალიბდება. **მაურისიო პოჩეტინომ,** როდესაც ის კატალონიური გუნდის მწვრთნელი იყო, ტიევი სათამაშო პრაქტიკის მისაღებად მეორე დივიზიონში გაუშვა. „ლას პალმასის“ შემადგენლობაში ბიფუმამ 44 მატჩი ითამაშა და 13 გოლი გაიტანა.

ამ სეზონში 21 წლის ფეხბურთელმა თავი უკვე 2-ჯერ გამოიჩინა, თანაც, ამისთვის სულ 4 დარტყმის განხორციელება დასჭირდა. ისიც ალსანიშნავია, რომ ტიევის ძირითადში ერთხელაც არ უთამაშია. ფრანგს ჯერ დალვინება კი სჭირდება, მაგრამ თუ სწორად განვითარდა, წინ დიდი და ნათელი მომავალი აქვს.

## რუბენ გარსია - „ლევანტე“

**რუბენ გარსიას** შეძენა ლონდონის „არსენალს“ სურდა, რაც გასაკვირი არაა, თუ წინა სეზონს და 21 წლის ფეხბურთელის გამოსვლას გავიხსენებთ. ზოგადად, „ლევანტე“ მაყურებლისთვის მიმზიდველ ფეხბურთს არ თამაშობს, მაგრამ რუბენი ამ წესიდან იშვიათი გამონაკლისია. ტექნიკური და სწრაფი ფეხბურთელი ხშირად მარცხენა ფლანგზე გვევლინება, საიდანაც ცენტრში შეწევა და იერიშის იქიდან განვითარება უყვარს. რუბენ გარსია უნივერსალური ფეხბურთელია და ხშირად მას მწვრთნელი უკან დახეული ფორვარდის როლშიც იყენებს.

ამ სეზონში მის ანგარიშზე მხოლოდ ერთი გოლია, მაგრამ საშუალოდ ერთ შეხვედრაში გარსია 1,7 სახიფათო პასს და 1,3 დრიბლინგს ახორციელებს - ამ კომპონენტებში კი ის „ლევანტეს“ ლიდერია.

## საული - „რაიო ვალეკანო“

(იჯარით მადრიდის „ატლეტიკოდან“)

სეზონის დაწყების წინ, საულ ნიგესით „ბარსელონაც“ იყო დაინტერესებული, მაგრამ „ატლეტიკომ“ ერთ-ერთი ამომავალი ვარსკვლავის გაყიდვა არ ისურვა და ახალგაზრდა ფეხბურთელი იჯარით „რაიო ვალეკანოში“ გაუშვა. 18 წლის მოთამაშემ პირველივე ტურში შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა.

საული ერთ შეხვედრაში საშუალოდ 58,3 პასს აკეთებს, რაც „რაიოში“ მეორე შედეგია, სიზუსტე კი 90,9 პროცენტია. **ხავი ფუეგოს** წასვლის შემდეგ,


რუბენ გარსია

მადრიდულ გუნდს მოედნის ცენტრში მებრძოლი ნახევარმცველი მოაკლდა, თუმცა თინეიჯერი ფეხბურთელი „ვალენსიაში“ წასული ფუეგოს შეცვლას მშვენივრად ახერხებს. თამაშში საშუალოდ 3 ვარდნა და 3 ჩაჭრა, 2,7 მოგებული საჰაერო დუელი - ეს სტატისტიკა ყველაფერზე მეტყველებს.

საული ხანდახან **სერხიო ბუსკეტსია** - ხშირად უკან იხევს, დაცვის წინ მოქმედებს და მეტოქის შეტევების ჩაშლისკენ არის მიმართული, თუმცა ამავე დროს, შეტევაშიც ხშირად მიდის და იერიშების წამოწყება-დაგვირგვინებასაც ცდილობს.

## სუსო - „ალმერია“

(იჯარით „ლივერპულიდან“)

**სუსომ** „ლივერპულში“ თავი ვერ დაიმკვიდრა და ბრენდან როჯერსმაც ჭკვიანური გადაწყვეტილება მიიღო - ახალგაზრდა, მზარდი ფეხბურთელი პრაქტიკის გარეშე არ დატოვა და „ალმერიაში“ გაანათხოვრა. სუსოს ანდალუსიურ კლუბში გამთამაშებლის ფუნქციები ჩააბარეს, რაც მას მოედანზე თავისუფლად გადაადგილების საშუალებას აძლევს.

ჩატარებულ შეხვედრებში, 19 წლის ფეხბურთელმა 2 საგოლე პასი გააკეთა. გარდა ამისა, მის ანგარიშზეა 14 წარმატებული დრიბლინგი და ამ მაჩვენებლით სუსო საუკეთესოა ლა ლიგის მასშტაბით (მეორეზე **ლიონელ მესია** 11 დრიბლინგით). პასებზე და დრიბლინგებზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ახალგაზრდა მოთამაშე მუდმივ სათამაშო პრაქტიკას იღებს, რაც ამ ასაკში ნიჭიერი ფეხბურთელისთვის ჰაერივით აუცილებელია.

## კარლეს ხილი - „ელჩე“

(იჯარით „ვალენსიადან“)

„ვალენსიამ“ თავის დროზე გუნდიდან ისკო გაუშვა და ახლა, „ღამურები“ მსგავსი შეცდომის გამეორებას არ აპირებენ. კარლეს ხილი „ელჩეში“ მეორე სეზონს იწყებს. შარშან ის გუნდს პრიმერას საგზურის მოპოვებაში დაეხმარა, წელს კი ადგილი უნდა შეუნარჩუნოს.

ხილს სხვადასხვა პოზიციაზე შეუძლია თამაში, მაგრამ ჯერჯერობით უფრო ხშირად მას მარჯვენა ფლანგზე იყენებენ. 20 წლის ფეხბურთელის ანგარიშზე საშუალოდ ერთ შეხვედრაში 2,7 წარმატებული დრიბლინგია. გარდა ამისა, მის წინააღმდეგ თამაშის წესების საშუალოდ 4,3-ჯერ ირღვევა, რაც „ალმერიაში“ საუკეთესო შედეგია. ხილი არა მარტო შეტევაში, არამედ უბურთოდ თამაშშიც გამორჩეულია - ხშირად მიმართავს მეტოქე გუნდის მცველების პრესინგს და ამით ნახევარდაცვის ცენტრს ეხმარება.

კონტრაქტის მიხედვით, მისი „ვალენსიადან“ გამოსყიდვა სულ რაღაც 8 მილიონ ევროდ შეიძლება და არაა გასაკვირი, რომ „ღამურებს“ ახალი, გაცილებით უკეთესი პირობების შემცველი ხელშეკრულების გაფორმება სურთ.

**ტატო ბაციკაძე**


ტიევი ბიფუმა

კვირის ფრაზები

# ვინ არის პა მოდუ კა?

**გთავაზობთ წინა კვირის ყველაზე საინტერესო და გამორჩეულ ფრაზებს...**

■ ■ ■ *„გინდათ იბრას შემადაროთ? ჰმ... ეს დიდებული კომპლიმენტია... მისთვის“* - განაცხადა **მარიო ბალოტელიმ,** როდესაც ჟურნალისტმა ის **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** შეადარა.

■ ■ ■ *„თუ ბეილი 100 მილიონი ევრო ღირს, მაშინ მე შეუფასებელი ვყოფილვარ. მე არ მახსენდება, რომ ინგლისელ ფეხბურთელს ესპანეთში წარმატებით ეთამაშოს,“* - აღნიშნა **ხრისტო სტოიჩკოვმა,** რომელიც თვლის რომ **ბეილი** ზედმეტად გადაფასებული და ამავე დროს, ინგლისელი ფეხბურთელია.

■ ■ ■ *„ნეიმარი ციკლონია. ბუნების სტიქიას ვერავინ შეაჩერებს. ის „ბარსელონაში“ აფეთქდება და ეს საკმაოდ მალე მოხდება,“* - მიაჩნია კარლოს **ალბერტო პარეირას.**

■ ■ ■ *„პეპს და მოურინიოს ესპანეთში საინტერესო ბრძოლა ჰქონდათ, რომელშიც გამარჯვებული, თანაც დიდი სხვაობით, ჩვენი მწვრთნელი გამოვიდა. მათ შორის გარკვეული დაძაბულობა ყოველთვის არის. პეპთან მოურინიოს შესახებ არ მისაუბრია, მაგრამ გასაგებია და ნათლად ჩანს, რომ ისინი საუკეთესო მეგობრები ნამდვილად არ არიან. მათი შედარება არ მსურს. ის ფაქტი, რომ ჩვენ მოურინიოს გვარდიოლა ვამჯობინეთ, ყველაფერზე გასაგებად მეტყველებს,“* - განაცხადა **ული ჰოონესმა.**

■ ■ ■ *„რამდენად კარგია პოლი? ის ბეილზე მეტი ღირს. თუ ბეილის ფასი 100 მილიონი ევროა, პოგბა ამაზე ორჯერ მეტად ფასობს. პოგბა სალვადორ დალია, რადგან ის ძალიან ძვირფასი და მნიშვნელოვანია“* - **მინო რაიოლა,** „იუვენტუსის“ ნახევარმცველის აგენტი.

■ ■ ■ *„რატომ არ მაქვს მეტსახელი? იმისთვის რომ ჩემი შეგეშინდეთ, საკმარისია ჩემი თამაში ნახოთ,“* - განაცხადა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, მას შემდეგ, რაც მას ჰკითხეს, თუ რატომ არ აქვს ისეთი მრისხანე მეტსახელი, როგორიც **ედინსონ კავანის** (მატადორი) ან **რადამელ ფალკაოს** (ვეფხვი).

■ ■ ■ *„ის MLშ-ის საუკეთესო ფეხბურთლია? თუ ის საუკეთესოა... მოკლედ, მე ევროპაში გაცილებით უკეთესი მოთამაშეები მინახავს. თუ ის ასეთი მაგარია, ისევ „ტოტენჰემში“ იქნებოდა“* - **პა მოდუ კა,** „პორტლენდის“ ფეხბურთელი, რომელიც „სიეტლთან“ შეხვედრაში, რომელიც მისმა გუნდმა 0:1 წააგო, **კლინტ დემპსის** მეურვეობდა.

■ ■ ■ *„ვინ არის კა?“* - **სიგი შმიდი,** „სიეტლის“ მთავარი მწვრთელი

■ ■ ■ *„პირველი გოლი ჩემს მეუღლე მარტას მივუძღვენი, მეორე კი შვილს, ბიანკას. მესამე აღარ გავიტანე, რადგან არ ვიცოდი ვისთვის მიმეძღვნა,“* - იხუმრა **ლუკა ტონიმ** მას შემდეგ, რაც „ვერონას“ „მილანთან“ მოაგებინა (2:1).

■ ■ ■ *„რა თქმა უნდა, ჩემთვის ეს კომპლიმენტია. დიახ, მე თავს ცოტათი ბრაზილიელადაც ვგრძნობ. ფაქტია, რომ ყველაზე მეტი ძლიერი ფეხბურთელი სწორედ ამ ქვეყნიდან არის და მსოფლიოშიც ბრაზილიას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. მახსოვს, როდესაც 1986 წლის მუნდიალს ვუყურებდი, ბრაზილიის და საფრანგეთის მატჩის შემდეგ მამამ გარეთ გამიყვანა, რადგან გაუჩერებლად ვტიროდი. ძალიან გაბრაზებული ვიყავი, რადგან ეს ზიკოს ბოლო ტურნირი იყო. ჩემთვის ის გახლდათ მისაბაძი მაგალითი, მოთამაშე, რომელიც თვით ფეხბურთის განსახიერება იყო,“* - განაცხადა **კლარენს ზეედორფმა,** როდესაც მას ბრაზილიაში შერქმეული მეტსახელის, „ყველაზე ბრაზილიელი უცხოელი ბრაზილიაში“, შესახებ ჰკითხეს.

**ტატო ბაციკაძე**

ამბები

## მალდინი: ანჩელოტი საკის და კაპელოს ნაზავია

„მილანის“ ლეგენდარულმა ფეხბურთელმა პაოლო **მალდინიმ** განაცხადა, რომ ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე საუკეთესო მწვრთნელებს შორის **არიგო საკის, ფაბიო კაპელოსა** და **კარლო ანჩელოტის** დაასახელებდა.

*„ეჭვს გარეშეა, ეს სამეული დიდებულია. ისინი წერდნენ ფეხბურთის ისტორიას. საკიმ მასწავლა, როგორ ვითამაშო დაცვაში და შევუტიო ორგანიზებულად. ამის გარდა, მან მასწავლა თავგანწირვა მოედანზე. კაპელომ მასწავლა ყველაფრის ავტომატიზმამდე მიყვანა. ეს ერთდროულად იოლიც არის და რთულიც. ანჩელოტი ამ ორი დიდი მწვრთნელის სინთეზს წარმოადგენს. ანჩელოტიმ ფეხბურთელობისას ბევრი ისწავლა საკისაგან“,* - განაცხადა მალდინიმ.

## რანიერი: პსჟ არა ვართ, მაგრამ...

„მონაკოს“ იტალიელმა თავკაცმა **კლაუდიო რანიერიმ** ფრანგულ პრესასთან საუბარში კლუბის სამომავლო გეგმები დასახა. რანიერის თქმით, ლიგა 2-დან დაბრუნებული გუნდის ნომერ პირველი ამოცანა მედლებისთვის ბრძოლა იქნება ელიტაში.

*„მონაკო“ არ არის „პარი სენ-ჟერმენი“, თუმცა ჩვენც გვსურს პოდიუმის უმაღლესი საფეხურისთვის ბრძოლა. „მონაკო“ ისეთი გუნდია, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანის მიღწევა შეუძლია. „მონაკო“ იმიტომ ამოვარჩიე, რომ გუნდში ყველაფრის ჩემებურად აწყობა მსურდა, თავიდან ბოლომდე. კარიერაში ყოველთვის ისეთ კლუბებს ვარჩევდი, სადაც გუნდის მშენებლობისთვის დრო და უფლება მეძლეოდა“,* - განაცხადა რანიერიმ.

## პასტორე პსჟ-ს დააკლდება

ფრანგული პრესის ინფორმაციით, „პარი სენ-ჟერმენს“ უახლოესი 2 კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება არგენტინელი შემტევი ნახევარმცველი **ხავიერ პასტორე.** სანაკრებო პაუზის დროს (24 წლის პასტორე ნაკრებში არ იყო გამოძახებული) პსჟ ამხანაგურ მატჩში გაეჯიბრა „კრეტეის“, არგენტინელმაც იქ დაიშავა ბარძაყი. მას ორი ძალზე მნიშვნელოვანი შეხვედრის გამოტოვება მოუწევს ლიგა 1-ში „ბორდოსა“ და „მონაკოს“ წინააღმდეგ. ამასთან, პასტორე არც ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში იქნება ბერძნული „ოლიმპიაკოსის“ წინააღმდეგ.

## რეალს ვარანი უბრუნდება

მადრიდის „რეალს“ 20 წლის მცველი **რაფაელ ვარანი** უბრუნდება, რომელმაც ტრავმის გამო ბოლო 4 თვე გამოტოვა. ვარანმა ვალდებების ბაზაზე ბურთთან ერთად ვარჯიში დაიწყო, პირველად ამ ხნის განმავლობაში. თავიდან ფრანგის დაბრუნებას სეზონის დასაწყისისთვის ელოდნენ, მაგრამ ზაფხულში მას ტრავმა გაუმიზეზდა.

*„გახარებული ვარ, რომ ვარჯიში განვაახლე და ბურთის „გემო ვიგრძენი“, კვირის ბოლოსკენ უკეთ მეცოდინება, როდის შევძლებ დაბრუნებას მოედანზე“,* - დაწერა „ფეისბუქზე“ ვარანმა.

## იოზილის ოჯახი მადრიდის რეალს უჩივლებს

**ფლორენტინო პერესმა** ერთ-ერთ ესპანურ გამოცემასთან საუბარში განაცხადა, ბოლო დროს **მესუთ იოზილმა** ფორმა იმიტომ დაკარგა, რომ გადაყვა მის ვენესუელას დევნასო. სწორედ ეს განცხადება შეიძლება გახდეს საფუძველი სამართლებლივი „ომისა“, რომელიც იოზილის ოჯახსა და მადრიდის „რეალს“ შორის დაიწყება.

საქმე იმაშია, რომ, როგორცმესუთის მამა **მუსტაფა იოზილი** აცხადებს, ის აპირებს სასამართლოში ჩივილს. საუბარია ყოფილი მის ვენესუელის, **აიდა იესპიკას** შესახებ.

იოზილი უფროსი ასევე გაბრაზებული, სატრანსფერო ამბებში მისი როლის გაზვიადების გამო.

## რობერტო კარლოსი: ეტოო ჩელსიში სიტუაციას აურევს

ლეგენდარულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა **რობერტო კარლოსმა** საჯაროდ გააფრთხილა ლონდონის „ჩელსი“, რომ გუნდის ახალწვეულ **სამუელ ეტოოს** სიტუაციის არევა შეუძლია. მახაჭყალის „ანჟის“ ყოფილმა დირექტორმა აღნიშნა, რომ სწორედ ეს გააკეთა ეტოომ რუსულ კლუბში.

2011 წელს კარლოსი „ანჟიში“ იყო, როცა ამ გუნდმა სამუელ ეტოო შეიძინა და მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად აქცია.

*„16 წლის ვიყავი, როცა ეტოო გავიცანი. ის ძალიან კარგი ბიჭი იყო და ყოველთვის პატივს ვცემდი. ახლაც ასეა, მაგრამ არის მასში რაღაც, რომელიც ხშირად ათქმევინებს „მეს“ და არასოდეს „ჩვენს“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპოლი

# ვარგასი ნაპოლისთვის ვარგისია



ედუარდო ვარგასი „გრემიოში" დეკემბრამდე დარჩება

„ნაპოლიმ" **ედუარდო ვარგასი** ჯერ კიდევ გასული სეზონისთვის დაიმატა, მაგრამ ჩილელმა ფორვარდმა თავი ბევრი ვერაფრით წარმოაჩინა და ამ ზაფხულს, იჯარის წესით ბრაზილიურ „გრემიოს" მიაშურა. სამხრეთ ამერიკაში 23 წლის შემტევი შესანიშნავად ათამაშდა, 17 მატჩში 5 გოლი გაიტანა და არა ერთი საგოლე პასი მიითვალა აქტივში. ამასთან, ედუარდომ ჩილეს ეროვნულ ნაკრებში გაიბრწყინა, როდესაც ესპანეთის ეროვნულ გუნდს ამხანაგურ პაექრობაში ორი გოლი გაუტანა. ამ ყველაფერმა „ნაპოლის" მესვეურები დააფაცურა, რომლებმაც უკვე განაცხადეს, რომ იანვარში ვარგასი აუცილებლად დაუბრუნდება ნეაპოლურ კლუბს. აღნიშნული ცნობა „გრემიოს" სპორტულმა დირექტორმა დაადასტურა:

*„ედუარდო იჯარით გვყავს დამატებული და სამწუხაროდ, მისი ბედი „ნაპოლის" ხელშია. იმედი გვქონდა, რომ ვარგასი ერთი წელი მაინც დარჩებოდა ჩვენთან, მაგრამ რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა - იტალიელებმა უკვე გამოგზავნეს წერილი და შეგვატყობინეს, რომ იანვარში ჩილელი შემტევი მათთან უნდა დაბრუნდეს".*

რომა



„რომას" პრეზიდენტი ჯეიმს პალოტა

# რომაელთა გრანდიოზული გეგმები

## ახალი სტადიონი და გრანდობა

**„რომას" ამერიკულ-იტალიური პროექტი გრძელდება. მართალია, დიდი მიღწევებით დედაქალაქელები ვერ დაიკვეხნიან, გულშემატკივრები მაინც ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. სერია A-ს გასულ ტურში, „ჯალოროსის" ტიფოზებმა კლუბის მფლობელის ტომას დი ბენედეტოს მხარდამჭერი ბანერი გამოკიდეს, ამ საერთო პოზიტიურ განწყობას კი გუნდის წარმატებული ასპარეზობა კიდევ უფრო ამყარებს. „რომას" პრეზიდენტმა ჯეიმს პალოტამ საგანგებო ბრიფინგი გამართა და აქტუალურ თემებზე ისაუბრა...**

### გულშემატკივართა მხარდაჭერა

კარგად ვიცი, თუ როგორი კრიტიკულები არიან ტიფოზები და ამ ფონზე, ასეთი მხარდაჭერა განსაკუთრებულად დასაფასებელია. გულშემატკივრები ხედავენ, რომ საქმე სწორად მიგვყავს და კლუბში ვითარება უკეთესობისკენ იცვლება. თუნდაც სატრანსფერო პერიოდი ავიღოთ - მართალია, რამდენიმე ფეხბურთელს შეველიეთ, მაგრამ მათში აღებული თანხა ისევ გასაძლიერებლად დავხარჯეთ. ერთი წლის წინათ, მარკინიოსი 3 მილიონ ევროდ ვიყიდეთ, ამ ზაფხულს კი პსჟ-ში 31 მილიონად გავუშვით. აღებული თანხით რამდენიმე ფეხბურთელი გადავიბირეთ, მათ შორის კევინ სტროტმანი.., ეს იყო სწორი სვლები, რომელიც წარმატებას მოიტანს და ამას ქომაგები კარგად ხედავენ.

### უახლოესი გეგმები

უახლოესი გეგმები და მიზნები უკვე მწვრთნელ-ფეხბურთელებს უნდა მოვკითხოთ, რადგან სეზონი დაწყებულია და შედეგებიც მოედანზე უნდა გამოჩნდეს. სეზონი კარგად დავიწყეთ და მჯერა, რომ კიდევ უკეთესად გავაგრძელებთ. აქ საქმე არა იმდენად ქულებში, რამდენადაც თამაშის მაღალ ხარისხშია. უდანაკარგოდ ჩემპიონატს ვერავინ ჩაამთავრებს, მაგრამ თამაშის მაღალი ხარისხი სტაბილურობის და წარმატების გარანტია. სეზონის პირველ ნახევარში უფრო დაკვირვების ფაზაში ვართ, შემდეგ კი დავისახავთ კონკრეტულ გეგმებს. ვფიქრობ, „რომას" შეუძლია ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება.

### დიდი გეგმები და ახალი სტადიონი

„რომა" ევროპული ფეხბურთის ისეთივე გრანდი უნდა გახდეს, როგორიც მადრიდის „რეალი", „ბარსელონა" და „მანჩესტერ იუნაიტედია". ეს ჩვენი მიზანია იმ დღიდან, რაც კლუბს ჩავუდექით სათავეში. თუ ვინმეს ჰგონია, რომ მიზანი მიუღწეველია, ძალიან ცდება და ამაში მალე დარწმუნდებით. ამ გზაზე, ძალიან მნიშვნელოვანია ახალი სტადიონის მშენებლობა, რომელსაც უახლოეს მომავალში დავიწყებთ. მყარად გვაქვს გადაწყვეტილი, რომ სამ წელიწადში „ჯალოროსი" ახალ არენაზე უნდა თამაშობდეს, რომელიც 60 000 გულშემატკივარზე იქნება გათვლილი. მესმის, რომ ამის შესახებ ადრეც არაერთხელ თქმულა, მაგრამ ამჯერად, უტყუარ ინფორმაციას გეუბნებით. „რომას" აუცილებლად ექნება ახალი, თავისი სტადიონი, რომლის მაკეტსაც უახლოეს დღეებში გავასაჯაროებთ.

პოზიცია

# კვალიარელა ბოლომდე იბრძოლებს

„იუვენტუსის" სპორტულმა დირექტორმა **ჯუზეპე მაროტამ** სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე განაცხადა, რომ **ფაბიო კვალიარელა** ზედმეტი იყო და მას უნდა დაეტოვებინა „იუვენტუსი". 30 წლის თავდამსხმელმა არაერთი წინადადება მიიღო, თუმცა ნაკლებად ამბიციურ გუნდში გადასვლაზე კატეგორიული უარი თქვა და სასურველი შეთავაზების მოლოდინში სატრანსფერო ფანჯარაც დაიხურა. მოგეხსენებათ, ფეხბურთელის მომავალს მისივე ნების გარეშე ვერავინ გადაწყვეტს და ფაბიომაც ერთიმეორეს მიყოლებით იუარა ინგლისური, ფრანგული, არაბული, ამერიკული და თუნდაც იტალიური კლუბები. შედეგად, კვალიარელა „იუვენტუსის" ფეხბურთელია და ჯერჯერობით, ღრმა თადარიგში უწევს ყოფნა - მიუხედავად ამისა, ტურინული გრანდის დატოვებას არ აპირებს და სჯერა, რომ შანსი მასაც მიეცემა:

*„დასამალი არაა, რომ „იუვენტუსიდან" წასვლაზე ვფიქრობდი, მაგრამ სასურველი შეთავაზება ვერ მივიღე და ტურინში დარჩენა გადავწყვიტე. სეზონი გრძელია და დარწმუნებული ვარ, თავის გამოჩენის საშუალება მომეცემა. კონკურენცია მაღალია, მაგრამ ეს არ მაშინებს, რადგან საკუთარი თავის ყოველთვის მჯეროდა. ანტონიო კონტემ იცის ჩემი შესაძლებლობები და ისიც, რომ მზად ვარ თამაშში ნებისმიერ დროს ჩავერთო. გასულ სეზონში, თავდამსხმელები მორიგეობით ვთამაშობდით და როტაციას ჰქონდა ადგილი - იმედია, მიმდინარე სეზონშიც ასე იქნება".*



ფაბიო კვალიარელა იმედოვნებს, რომ შანსი მასაც მიეცემა

მილანი

# ალეგრი რთულ ვითარებაში

## აბატეს და დე შილიოს გარეშე...



ანდრეა პოლი

„მილანის" მთავარი მწვრთნელი **მასიმილიანო ალეგრი** მეტად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან ძირითადი შემადგენლობის ორივე ფლანგის მცველი ჰყავს დაშავებული... დიახ, **ინაციო აბატეს** და **მატია დე შილიოს** ტრავმები აქვთ და ჯერ კიდევ უცნობია, როდის დაუბრუნდებიან მოედანს. ერთი ცხადია, სერია A-ს მესამე ტურს ორივე მათგანი გამოტოვებს და მწვრთნელსაც მათი შემცვლელების შერჩევა მოუწევს. ერთს კიდევ ეშველებოდა და აი, ორივეს შეცვლა მეტად რთული ამბავია, მით უმეტეს, ექსპერტთა მოსაზრებით, „როსონერის" ყველაზე მეტად სწორედ უკანა ხაზში უჭირს.

„გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მასიმილიანო ალეგრი **ანდრეა პოლის** შეუცვლის პოზიციას და დროებით, მას დაცვის ფლანგზე გაამწესებს. პოლი ნომინალური ნახევარმცველია და მართალია, შეტევების ჩაშლა მისი უშუალო მოვალეობაა, დაცვაში აქამდე არასდროს უთამაშია. ამ თემაზე კომენტარი თავად პოლიმ გააკეთა და პრაქტიკულად დაადასტურა, რომ ალეგრი მის დაცვაში გამწესების ვარიანტს განიხილავს:

*„აბატემ და დე შილიომ ერთად მიიღეს ტრავმები და ალეგრის ექსპერიმენტების ჩატარება მოუწევს. დასამალი არაა, რომ ჩემი დაცვაში დაწევის ვარიანტი განიხილება და დიდია შანსი, უახლოეს უქმეებზე ახალ ამპლუაში მიხილოთ. მზად ვარ მწვრთნელის ნებისმიერი დავალება შევასრულო და გუნდს იქ გამოვადგე, სადაც დავჭირდები".*

ბოლოს, დავძინოთ, რომ სერია A-ს მიმდინარე გათამაშების მესამე ტურში „მილანი" „ტორინოს" ესტუმრება. „გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, დაცვის მარჯვენა ფრთაზე ანდრეა პოლი გაირჯება, მარცხენა ფლანგს კი **ურბი ემანუელსონი** გაამაგრებს. ცენტრში სავარაუდოდ **ფილიპ მექსეს** და **კრისტიან საპატას** ვიხილავთ, ამ ყველაფერმა კი „როსონერის" გამოცდილი მცველი **კრიატიან ძაკარდო** აღაშფოთა, რაც არაა გასაკვირი,.. ალეგრი ძაკარდოს საერთოდ საერთოდ არ სწყალობს, ასეთ რთულ ვითარებაშიც კი - კრისტიანმა დაიჩივლა, „მილანში" არ მენდობიან და ზამთარში გუნდი უნდა შევიცვალოო.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

კომენტარი

# კლოზეს ამერიკული ვარიანტები

ერთ-ერთ წინა ნომერში გაცნობეთ, რომ „ლაციოს" მესვეურებს **მიროსლავ კლოზესთან** განშორება არ სურთ და მისთვის ახალ კონტრაქტს ამზადებენ. აქვე ვთქვათ, რომ 35 წლის გერმანელ ფორვარდს რომაულ კლუბთან კონტრაქტის ვადა მომდევნო ზაფხულს ეწურება და ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, სად გააგრძელებს კარიერას - არის ვარიანტი, რომ სულაც ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდოს. საინტერესოა, რას ფიქრობს ამ ყველაფერზე თავად კლოზე? - აქვე მისი კომენტარი:

*„ჯერჯერობით, მთელი ჩემი ფიქრები „ლაციოში" ასპარეზობას და ზაფხულში დაგეგმილ მუნდიალს უკავშირდება. სიმართლე გითხრათ, ამაზე უფრო შორს ჯერჯერობით არ ვიყურები და არც ის ვიცი, სად გავაგრძელებ ასპარეზობას. ამ ეტაპზე, არც კარიერის დასრულებაზე მიფიქრია და შესაბამისად, საინტერესოს ვერაფერს გეტყვით. ერთი ფაქტია, ამერიკიდან ორი მაცდური წინადადება მივიღე და როდესაც ამის დრო დადგება, აუცილებლად განვიხილავ. აშშ-ში ბევრი მოთამაშე ასრულებს კარიერას და გამორიცხული ნამდვილად არაა, მათ რიცხვს მეც შევუერთდე".*



მიროსლავ კლოზე შორეულ გეგმებზე ჯერ არ ფიქრობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2014. შესარჩევი ციკლი. სტატისტიკა და საინტერესო ამბები

# მესი აქაც ბომბარდირია

## 734 მატჩის და 2 084 გოლის ამბავი


ლიონელ მესის ამ შესარჩევ ციკლში 12 გოლი აქვს გატანილი

### ათეულის ამბავი

10 სექტემბრისთვის 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის 32 მონაწილიდან თითქმის მესამედი ცნობილია - 10. მასპინძელ ბრაზილიას ჯერ ამომავალი მზის ქვეყანა შეუერთდა (იაპონიამ მუნდიალის საგზური 4 ივნისს მოიპოვა), შემდეგ სხვა აზიური ნაკრებები (ავსტრალიაც აზიის შესარჩევში მონაწილეობს) - 18 ივნისს საგზურებს ავსტრალია, ირანი და სამხრეთი კორეა დაეუფლნენ.

შემდეგ დადგა პაუზა 10 სექტემბრამდე, როცა მუნდიალზე თამაშის უფლება კიდევ 5-მა გუნდმა მოიპოვა: ჰოლანდიამ, იტალიამ, აშშ-მ, კოსტა რიკამ და არგენტინამ.

■ ■ ■ ამ 10-ეულიდან ბოლო მუნდიალზე მხოლოდ ირანსა და კოსტა რიკას არ უასპარეზიათ. ეს ორი ქვეყანა 8-წლიანი პაუზის შემდეგ უბრუნდება მთავარ საფეხბურთო ფორუმს.

■ ■ ■ ბრაზილიაში გასამართი მუნდიალი მე-20-ეა ისტორიაში და ზუსტად მე-20-ედ ითამაშებს ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე.

■ ■ ■ ამ მაჩვენებლით 10-ეულის გუნდებში შემდეგ მოდიან: იტალია (18), არგენტინა (16), ჰოლანდია, აშშ (10-10), სამხრეთი კორეა (9).

■ ■ ■ შედარებით ნაკლები გამოცდილება აქვთ: იაპონიას (მე-5 მონაწილეობა), ავსტრალიას, ირანს და კოსტა რიკას (4-4).

■ ■ ■ ამ ქვეყნებში ტერიტორიით ყველაზე პატარა ჰოლანდიაა (41,5 ათ. კმ), შემდეგ მოდის კოსტა რიკა - ცენტრალური ამერიკის ქვეყანა საქართველოზე პატარაა (51 ათ. კმ) და ამ ქვეყანაში დაახლოებით იმდენივე მოსახლეობაა, რაც ჩვენთან (4,5 მლნ). მიუხედავად ამისა, კოსტა რიკის ნაკრებმა უკვე სამჯერ ითამაშა მუნდიალზე. 1990 წელს ეს გუნდი სულაც მერვედფინალში გავიდა, სადაც 1:4 დამარცხდა ჩეხოსლოვაკიასთან.

### იცით, თუ არა რომ...

■ ■ ■ მუნდიალის 31 საგზურისთვის ბრძოლა 202-მა ნაკრებმა დაიწყო (მათ შორის, საქართველომ).

■ ■ ■ ყველაზე მეტი ნაკრები უეფას ზონაშია - 53, შემდეგ მოდის აფრიკა - 52, აზია - 43, კონკაკაფი - 35, ოკეანეთი - 11 და სამხრეთ ამერიკა - 9.

■ ■ ■ საგზური უკვე მოიპოვა აზიის 4-მა ნაკრებმა, 2-2-მა კონკაკაფიდან, ევროპიდან და კონმებოლიდან (ბრაზილიის ჩათვლით).

■ ■ ■ აზიის ზონაში ერთადერთი ნაკრებილა დარჩა, რომელსაც კიდევ შერჩა მუნდიალის საგზურის მოპოვების შანსი - იორდანია. ამ გუნდმა ორრაუნდიან ბრძოლაში უზბეკეთი დაამარცხა (1:1, 1:1 და პენალტების სერიაში) და კონმებოლის მე-5 ადგილოსანთან ბრძოლის უფლება მოიპოვა. ეს პლეი ოფი 13 და 20 ნოემბერს გაიმართება.

■ ■ ■ აფრიკაში ჯერ ერთი საგზურიც არ გათამაშებულა, თუმცა იმ ნაკრებთა რაოდენობა, რომელთაც მიზნის მიღწევა შეუძლიათ 10-მდეა ჩამოსული.

■ ■ ■ 10-დან 5 საგზურს მოიპოვებს. 16 სექტემბერს აფრიკული პლეი ოფის წილისყრაა. მონაწილე გუნდები: ეთიოპია, კაბო ვერდე, კოტდივუარი, განა, ბურკინა ფასო, ნიგერია, ეგვიპტე, ალჟირი, კამერუნი და სენეგალი.

■ ■ ■ კონკაკაფის ზონაში კიდევ 4 ნაკრებს შეუძლია 2 (ან 1) საგზურის მოპოვება: ჰონდურასს, პანამას და მექსიკას.

■ ■ ■ ოკეანეთის ზონაში ყველას აჯობა ახალმა ზელანდიამ.

■ ■ ■ ახლა ზელანდია 13 და 20 ნოემბერს პლეი ოფში კონკაკაფის მე-4 ადგილოსანს შეხვდება.

■ ■ ■ სამხრეთ ამერიკაში კიდევ 5 ნაკრებს შეუძლია მუნდიალის საგზურის მოპოვება.

■ ■ ■ მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ბომბარდირია (ყველა ზონაში) **ლიონელ მესი** - 12 გოლი.

■ ■ ■ მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპზე ნათამაშებია 734 მატჩი და დარჩა გასამართი 86.

■ ■ ■ სულ გავიდა 2 084 გოლი.

#### ევროპა

■ ■ ■ ევროპაში დარჩენილი 11 საგზურისთვის ბრძოლა კიდევ 29 ნაკრებს შეუძლია (მათ შორის, აღარ არის საქართველო).

■ ■ ■ 22 ევროპული ნაკრები უკვე გამოეთიშა მუნდიალს.

■ ■ ■ ევროპული გუნდები წილისყრამდე სიძლიერით 6 კალათში გაანაწილეს.

■ ■ ■ მე-6 კალათში მყოფი ნაკრებებიდან მხოლოდ ისლანდიის ნაკრები ინარჩუნებს მუნდიალზე მოხვედრის შანსს.

■ ■ ■ მე-5 კალათის ქვეყნებიდან მხოლოდ სომხეთი იბრძვის.

■ ■ ■ საქართველო მე-4 კალათში იყო განთესილი. ამ კალათიდან 5 ნაკრებს კიდევ შერჩა შანსები.

■ ■ ■ მუნდიალის საგზურთან ყველაზე ახლოს არიან ბელგია და გერმანია. ამ ნაკრებებმა უკვე გაინაღდეს სულ მცირე პლეი ოფში თამაში.

■ ■ ■ მე-2 ადგილი ჯგუფში გაინაღდეს, მაგრამ პლეი ოფი ჯერ ვერ: ხორვატიამ, ბოსნიამ, საბერძნეთმა, ესპანეთმა და საფრანგეთმა.

■ ■ ■ ბრძოლას შემორჩენილი 29 ნაკრებიდან 11-ს მხოლოდ პლეი ოფში გაღწევის იმედი აქვს.

■ ■ ■ ევროპაში ყველაზე მეტი გოლი გერმანიამ გაიტანა - 28, ანდორას ერთიც არ გაუტანია.

■ ■ ■ ბელგიამ და ესპანეთმა ყველაზე ცოტა (2-2) გოლი გაუშვეს, 43 გოლი (!) გაუშვა სან მარინომ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


აშშ-ის ნაკრები მუნდიალზე მეათედ ითამაშებს

კვირა ციფრებში

# რეკორდები ბრაზილიისკენ მიმავალ გზაზე

**დღევანდელი კვირის მიმოხილვა სანაკრებო ბატალიების დროს დამყარებულ რეკორდებს და დასრულებულ სერიებს დაეთმობა...**

**526** - წუთი გოლის გარეშე - საფრანგეთის ნაკრების ეს უილბლო სერია ბელარუსთან შეხვედრაში დასრულდა. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონებს გოლი მარტის შემდეგ არ გაეტანათ და გომელში გამართული მატჩის პირველ ტაიმში საკუთარი ანტირეკორდიც გააუმჯობესეს - 1924 წლის ივნისიდან 1925 წლის მაისამდე ფრანგებს 500-წუთიანი მშრალი სერია ჰქონდათ.

ფრანგების პირველი გოლი ფრანკ რიბერიმ გაიტანა და ამის შემდეგ **დიდიე დეშამის** შეგირდები აღარ გაჩერებულან. საბოლოოდ, 26 წუთში „მამლებმა" 4 გოლი შეაგდეს. **რიბერიმ** დუბლი შეასრულა, **პოლ პოგბამ** კი ეროვნულ გუნდში თავი პირველად გამოიჩინა.

**144** - მატჩი შვედეთის შემადგენლობაში - **ანდერს სვენსონი** საკუთარი ქვეყნის ნაკრებში ჩატარებული მატჩების მიხედვით პირველ ადგილზე გადავიდა. ყაზახეთთან შეხვედრამდე სვენსონი ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩის ჩამტარებელი მინდვრის მოთამაშე იყო, ხოლო ამ შეხვედრის შემდეგ მან **თომას რაველის** გადაასწრო და ერთპიროვნული რეკორდსმენი გახდა. 37 წლის



ნახევარმცველი, რომელსაც ეროვნულ გუნდში დებიუტი 1999 წელს ჰქონდა, შესანიშნავ ფორმაშია - აგვისტოში მან ნორვეგიას გაუტანა, 6 სექტემბერს კი ირლანდიასთან გამარჯვების მომტანი გოლი შეაგდო და შვედებს უმნიშვნელოვანესი მატჩი მოაგებინა.

ახლა, „ელფსბორგის" ნახევარმცველის მიზანი **ლოთარ მათეუსის** შედეგის გაუმჯობესებაა, რომელმაც გერმანიის ნაკრებში 150 მატჩი ჩაატარა. ევროპული რეკორდის მფლობელი კი ლატვიელი **ვიტალის ასტაფიევსია** - 1992-2010 წლებში ასტაფიევსმა ეროვნულ გუნდში 167 შეხვედრა გამართა.

**68** - გოლი გერმანიის ნაკრებში - **მიროსლავ კლოზემ** ავსტრიასთან გამართულ შეხვედრაში (3:0) ანგარიში გახსნა და „ნაციის ბომბარდირ" **გერდ მიულერს** გაუთანაბრდა. „ლაციოს" ფორვარდს დაწინაურების შანსიც ჰქონდა, მაგრამ კლოზემ ფარერების უსუსტეს ნაკრებთან თავის გამოჩენა ვერ შეძლო და ჯერჯერობით თანარეკორდსმენად რჩება.

35 წლის თავდამსხმელის კიდევ ერთი მიზანი კი **რონალდოს** რეკორდის დამხობაა. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი სწორედ ლეგენდარული ბრაზილიელია, რომელმაც მუნდიალებზე 15 გოლი გაიტანა. კლოზეს ანგარიშზე 14 ბურთია და ის იმავე მიულერთან ერთად მეორე ადგილს იყოფს.

**41** - წელი საშინაო გამარჯვების გარეშე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. ლუქსემბურგის ნაკრების ეს ხანგრძლივი წარუმატებელი სერია სამშაბათს, ჩრდილოეთ ირლანდიასთან შეხვედრაში დასრულდა. ჯუჯა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ბრიტანელებს 3:2 სძლიეს და 1972 წლის შემდეგ შინ პირველი მატჩი მოიგეს. მაშინ, ლუქსემბურგმა თურქეთი დაამარცხა (2:0).

სამშაბათამდე, მუნდიალების საკვალიფიკაციო ეტაპზე ბოლო გამარჯვება ბენილუქსელებს ზუსტად ხუთი წლის წინ, შვეიცარიასთან ჰქონდათ მოპოვებული. ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები კი საშინელ ფორმაშია - **ჯორჯ ბესტის** სამშობლოს წარმომადგენლებმა ბოლო 16 მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგეს (რუსეთთან) და 10-ჯერ მინდორი დამარცხებულებმა დატოვეს.

**14** - მუნდიალი ზედიზედ. იტალიის ნაკრებმა ბრაზილია 2014-ის საგზური მოიპოვა და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ზედიზედ მეთოთხმეტედ, სულ კი მეთვრამეტედ მოხვდა. ამ მაჩვენებლით, „სკუადრა აძურა" მხოლოდ ბრაზილიას ჩამორჩება, რომელსაც ყველა ჩემპიონატზე (20) აქვს ნათამაშები.

უკანასკნელ საკვალიფიკაციო მატჩში იტალიამ ჩეხეთთან პირველი ტაიმი წააგო, მაგრამ მეორე ნახევარში **ჯორჯო კიელინის** და **მარიო ბალოტელის** გოლების წყალობით 2:1 იმარჯვა და მეტოქეს ბოლო 6 შეხვედრაში მხოლოდ მეორედ მოუგო. ბალოტელიმ გოლი პენალტით გაიტანა და გააგრძელა ზუსტად შესრულებული 11-მეტრიანების სერია. ახლა „მილანის" ფორვარდს, ნაკრებსა და კლუბში, 20 პენალტი აქვს შესრულებული და ჯერჯერობით მარიოს ერთიც არ გაუფუჭებია.

ეს მატჩი დასამახსოვრებელი იყო **ჯანლუიჯი ბუფონისთვისაც** - „აძურას" კაპიტანმა ნაკრების ღირსება 136-ედ დაიცვა და ყველა დროის რეკორდსმენ **ფაბიო კანავაროს** წამოეწია.

**6** - უპასუხო გოლით მოუგო ბრაზილიამ ავსტრალიას და ამ უკანასკნელს ბოლო 15 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი მარცხი აგემა. ასე ცუდად „მწვანე კონტინენტის" წარმომადგენლებმა ბოლოს 1998 წლის 6 ივნისს ითამაშეს, როდესაც ხორვატიასთან 0:7 დამარცხდნენ. ერთი წლით ადრე კი კონფედერაციათა თასის ფინალში, იმავე ბრაზილიასთან ასევე 0:6 წააგეს.

„სელესაომ" კი ავსტრალიის შემდეგ პორტუგალიასაც მოუგო (3:1). **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ხელში გუნდი შესანიშნავად ათამაშდა - უკანასკნელ 12 შეხვედრაში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებმა 34 გოლი გაიტანეს, საკუთარ კარში კი მხოლოდ 9 მიიღეს.

**ტატო ბაციკაძე**

გერმანია. ბუნდესლიგა. V ტური პარასკევის მატჩის წინ

# ვედო ჰერთასაც ემუქრება!

## არადა, შტუტგარტს ბერლინში უჭირს ხოლმე...



შტუტგარტის თავდამსხმელმა ვედად იბიშევიჩმა წინა ტურში, ჰოფენჰაიმთან 6:2-ზე მოგებულ შეხვედრაში ჰეთ-თრიკი შეასრულა

**13 სექტემბერი**

**ჰერთა–შტუტგარტი 22:30**

დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: ბაუმიოჰანი, მუხტარი, მ. ნდიენგი - ნიდერმაიერი, დიდავი, როხასი, აბდელაუ

ურთიერთშეხვედრები

სულ 56 თამაშში: +21=15-10, (66:75)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დორტმუნდი | 4 | 4 | 0 | 0 | 9-2 | 12 |
| 2. ბაიერნი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-2 | 10 |
| 3. ჰანოვერი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 4. ლევერკუზენი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 5. მაინცი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-7 | 9 |
| 6. ჰერთა | 4 | 2 | 1 | 1 | 9-5 | 7 |
| 7. გლადბახი | 4 | 2 | 0 | 2 | 10-8 | 6 |
| 8. ვოლფსბურგი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-4 | 6 |
| 9. ვერდერი | 4 | 2 | 0 | 2 | 3-5 | 6 |
| 10. აუგსბურგი | 4 | 2 | 0 | 2 | 3-6 | 6 |
| 11. ჰოფენჰაიმი | 4 | 1 | 2 | 1 | 12-12 | 5 |
| 12. ჰამბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 8-9 | 4 |
| 13. შალკე | 4 | 1 | 1 | 2 | 6-9 | 4 |
| 14. შტუტგარტი | 4 | 1 | 0 | 3 | 9-8 | 3 |
| 15. აინტრახტი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-9 | 3 |
| 16. ფრაიბურგი | 4 | 0 | 2 | 2 | 6-9 | 2 |
| 17. ნიურნბერგი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-7 | 2 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-9 | 0 |

**ბომბარდირები:** 5 - იბიშევიჩი (შტუტგარტი), ნ. მიულერი (მაინცი); 3 - ალაგუი (ჰერთა), ობამეიანგი (დორტმუნდი), მოდესტე (ჰოფენჰაიმი), რამოსი (ჰერთა), რობერტო ფირმინო (ჰოფენჰაიმი), სემი (ლევერკუზენი), ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი), ფოლანდი (ჰოფენჰაიმი).

სანაკრებო პაუზა დამთავრებულია, საკლუბო ფეხბურთი ბრუნდება: ბუნდესლიგის მე-5 ტურს დღეს ბერლინის „ჰერტას" და „შტუტგარტის" დაპირისპირება გახსნის.

ბერლინელებს **იოს ლუჰუკაის** ხელში საკუთარ „ოლიმპიაშტადიონზე" არც ერთი მატჩი არ წაუგიათ და თუ ეს სერია დღევანდელი შეხვედრითაც გაგრძელდა, **ლევან კობიაშვილის** გუნდი კვლავინდებურად კარგ პოზიციაში იქნება. ყველაზე კარგი განწყობა კი უდავოდ **მაიკ ფრანცს** ექნება, რომელიც 650-დღიანი (!) იძულებითი პაუზის შემდეგ დღეს, სავარაუდოდ, პირველად ითამაშებს.

ლუჰუკაი დიდი ხნის უთამაშებელ ფრანცს ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში გაამწესებს, თუ **ლანგკამპი** დღეს საღამომდე მომჯობინებას ვერ მოასწრებს. დაცვის მარცხენა ფრთისთვის კი „ჰერტას" **ვან დერ ბერგი** უბრუნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ კობიაშვილს ისევ სათადარიგოთა სკამზე ვიხილავთ.

სტატისტიკას თუ დავეყრდნობით, უნდა ვთქვათ, რომ „შტუტგარტს" ბერლინში უჭირს ხოლმე. შვაბებმა ბოლო 14 სტუმრობიდან გერმანიის დედაქალაქიდან სამი ქულა მხოლოდ ერთხელ წაიღეს - ეს 2010 წლის 10 აპრილს მოხდა: მაშინ „შტუტგარტმა" „ჰერტა" ბერლინში 1:0 დაამარცხა და ის ერთადერთი გოლი **კაკაუმ** გაიტანა. თუმცა გერმანიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი დღეს შვაბენლანდური კლუბის ძირითადი ფორვარდი აღარაა. „შტუტგარტის" წინა ხაზზე ახლა **ვედად იბიშევიჩი** ბრწყინავს. ბოსნიელმა წინა ტურში, „ჰოფენჰაიმთან" ჰეთ-თრიკი შეასრულა, ახლა კი ბერლინელებს ემუქრება. შეგახსენებთ, რომ შვაბებს **თომას შნაიდერის** სახით ახალი მწვრთნელი ჰყავთ, რომლის დებიუტი „ჰოფენჰაიმთან" წარმატებული გამოდგა.

მოსაზრება



# კანი: ბარსა მორჩა!

## ოლის დორტმუნდის და ლევერკუზენისაც სჯერა

ოლივერ კანი

გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" ლეგენდარული მეკარე **ოლივერ კანი** მიიჩნევს, რომ „ბარსელონას" დიდი ერა დამთავრებულია და რომ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების მთავარ ფავორიტად არა კატალონიური კლუბი, არამედ „ბაიერნი" უნდა მივიჩნიოთ.

*„ჩემი აზრით, „ბარსელონას" ბრწყინვალე ერა დასრულებულია,* - უთხრა ოლიმ ჩვენს გერმანელ კოლეგებს, - *ევროპაში აღარ არსებობს ისეთი გუნდი, რომელსაც რომელიმე გერმანული კლუბი უნდა უფრთხოდეს. მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნში" ბევრი რამ შეიცვალა, მაინც მჯერა, რომ რეკორდმაისტერს ჩემპიონთა ლიგის მოგება ხოსეპ გვარდიოლას ხელშიც შეუძლია და თანაც ახლავე. არა მგონია, რომ ევროპაში რომელიმე გრანდი „ბაიერნზე" უკეთაა დაკომპლექტებული."*

კანის აზრით, მიმდინარე სეზონში დორტმუნდის „ბორუსიაც" კარგად იასპარეზებს: *„ვფიქრობ, „დორტმუნდს" ამ სეზონშიც შეუძლია ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა. ევროსარბიელის კუთხით უიმედო სიტუაციაში არც „ლევერკუზენია" - ამ გუნდს ყოველთვის ხელეწიფება ისეთი შედეგის გამეორება, რაც 2002-ში ჰქონდა. აი, „შალკეს" შემთხვევაში კი სკეპტიკურად ვარ განწყობილი."*

ბაიერნი

# ჰიონესი: ფრთხილად!

## ულის აზრით, სექტემბერი ბაიერნისთვის მძიმე თვეა



„ბაიერნის" პრეზიდენტი ული ჰოენესი

მიუნხენის „ბაიერნის" პრეზიდენტ **ული ჰიონესის** აზრით, რეკორდმაისტერისთვის სეზონი სერიოზულად ახლა, ბუნდესლიგის მეხუთე ტურის მატჩით (ჰანოვერთან) იწყება, რადგან მთელი სეზონისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი სწორედ სექტემბერია.

*„ჩემთვის ახალი სეზონი სექტემბრის შუა რიცხვებში, სანაკრებო პაუზის შემდეგ იწყება. ახლა ჩემპიონთა ლიგაც აიღებს სტარტს და გამოჩნდება, რა შეგვიძლია სინამდვილეში და როგორ ავიტანთ კვირაში ორ-ორ მატჩს. თუმცა არ ვნერვიულობ, რადგან ჩვენ სწორედ მაქსიმალური დატვირთვები გვიყვარს,"* - უთხრა „ბაიერნის" 61 წლის პრეზიდენტმა „ბილდს", - *მთავარი ის არის, რომ შედარებით სუსტ მეტოქეებთან არ უნდა მოვდუნდეთ და არ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ მეტოქეებს იოლად დავამარცხებთ. წინა სეზონში კონცენტრაციას ფენომენალურად ვახერხებდით და იმედია, ახლაც ასე იქნება."*

შეგახსენებთ, რომ „ბაიერნი" „ჰანოვერის" შემდეგ, მომდევნო კვირაში ჩემპიონთა ლიგაში მოსკოვის ცსკა-ს ხვდება (17.09), მერე კი ბუნდესლიგაში „შალკეს" (21.09) ხვდება, რის შემდეგაც ისევ „ჰაონვერს" (25.09, გერმანიის თასზე) ეთამაშება.

*„ახლა ისეთი ფაზა იწყება, სადაც შეცდომების დაშვების უფლება არ გვაქვს. შარშან დორტმუნდის „ბორუსიამ" ბუნდესლიგაში ქულები სწორედ ამ დროს დაკარგა და ის ჩამორჩენა სეზონის ბოლომდე ველარ აღმოფხვრა. ეს ჩვენთვის კარგი მაგალითი უნდა იყოს,"* - ეს „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** სიტყვებია.

4 ტურის შემდეგ „ბაიერნი" „დორტმუნდს" 2 ქულით ჩამორჩება.

დაპირისპირება

# პოლიცია შალკეს აღარ დაიცავს?

„შალკეს" გულშემატკივრებსა და ხელმძღვანელებზე განაწყენებულმა გელზენკირხენის პოლიციამ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ პოლიცია აღარ აპირებს „შალკეს" საშინაო მატჩებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფას. *„ამიერიდან უსაფრთხოების მთელი პასუხისმგებლობა თვითონ კლუბს ეკისრება!"* - ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ნორდ რაინ ვესტფალენის მხარის შინაგან საქმეთა მინისტრი **რალფ იეგერი** აწერს ხელი.

ცხადია, პოლიციის გარეშე „შალკე" უსაფრთხოებაზე ზრუნვას ვერ შეძლებს და თუ გელზენკირხენის პოლიციამ მართლაც უარი თქვა „ფელტინს არენა აუფ შალკეს" დაცვაზე, კლუბს სრული ქაოსის საფრთხე ემუქრება.

იეგერის გაბრაზება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის (პაოკ-თან 1:1) მატჩის შემდეგ, გელზენკირხენული კუბის ხელმძღვანელებმა სამართალდამცავები გააკრიტიკეს. შეხვედრაში, რომელიც 21 აგვისტოს გაიმართა, პოლიცია საქმეში აქტიურად მას მერე ჩაერია, რაც „შალკეს" ულტრასებმა ბერძენი ქომაგების პროვოცირება სცადეს. გელზენკირხენელებმა პოლიტიკური შინაარსის ბანერი გადმოკიდეს, რითაც საბერძნეთს მიაყენეს შეურაცხყოფა. იმ მატჩის დროს რამდენიმე გულშემატკივარი დაშავდა, რის შემდეგაც „შალკეს" ხელმძღვანელებმა გელზენკირხენის პოლიცია არაერთხელ გააკრიტიკეს - *„შალკემ" პოლიციას ცრემლსადენი გაზის გამოყენება გადამეტებულ საქციელად ჩაუთვალა. ნორდ რაინ ვესტფალენის შინაგან საქმეთა სამინისტრომ კი ცრემლსადენი გაზის გამოყენება აუცილებლად მიიჩნია.*

*„საბედნიეროდ, კანონებს საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელები არ ადგენენ,"* - ამბობდა გერმანიის პოლიციის კავშირის დირექტორი **რაინერ ვენდტი**.

ახლა კი გელზენკირხენის პოლიცია „შალკეს" არენაზე უსაფრთხოების დაცვაზე უარს აცხადებს. გელზენკირხენული კლუბის მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** გაოცებულია: *„ასეთი რამ წარმოუდგენელია! პოლიცია, რა თქმა უნდა, გვჭირდება!"* - ამბობს ჰელდტი.

უკანასკნელი ინფორმაციით, „შალკეს" ფინანსური დირექტორი პეტერ პეტერსი გელზენკირხენის პოლიციასთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს. კიდევ კარგი, რომ ამ უქმეებზე „შალკე" სტუმრად (მაინცში) თამაშობს...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



პოლიციისა და შალკეს ფანების დაპირისპირება პაოკ-თან მატჩის დროს



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. რეფორმა

# უცნაური ცვლილება

## ჭიდაობა ისევ გვაკვირვებს

**16 სექტემბერს ბუდაპეშტში მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი დაიწყება ჭიდაობაში, თუმცა საერთაშორისო ფედერაცია ტურნირის მასპინძელ ქალაქში მუშაობას მანამდე შეუდგება – ამ უქმეებზე ფილას კონგრესი გაიმართება.**

რაკი ოლიმპიადაზე დარჩნენ ანუ მთავარი საზრუნავი მოილიეს, მოჭიდავეები ახლა სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც იმსჯელებენ და სამომავლოდ ახალ რეფორმებსაც შეიმუშავებენ. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი ახალი წონითი კატეგორიებია, რაც აგრერიგად აღელვებთ მთელი მსოფლიოს ფალავნებს. უკვე გაცნობეთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილების შესახებ – მომავალ ოლიმპიადაზე ვაჟების ორივე ნაკრებს თითო წონითი კატეგორია მოაკლდეს და ამის ხარჯზე ქალებს ორი დაემატოთ, რათა გენდერული ბალანსი გათანაბრდეს – თამაშებში ორივე სქესს 6-6 წონა გაუხდება. ოღონდ სოკ-მა იმთავითვე განაცხადა, რომ არ ჩაერევა ფილა-ს შიდა საქმეში და მთლიანად მისი პრეროგატივა იქნება, წონით კატეგორიებს როგორ დაალაგებს და რომელს შეამცირებს.

ვიდრე ფილა-ს კონგრესი ჩატარდება, სოციალურ ქსელებში უკვე გაჟონა ცნობამ წონითი კატეგორიების ცვლილებათა პაკეტზე. წინასწარ გეტყვით, რომ არ გამართლდა ადრევე გავრცელებული ხმები 55 კილოგრამის ამოგდების შესახებ, საჭიდაო სამყარომ კი კიდევ ერთხელ გაგვაოცა არაორდინალური ნაბიჯით – წარმოდგენილი გეგმა ვაჟებში „თავისუფლებსა“ და ბერძენ-რომაელებში სხვადასხვა წონით კატეგორიას ითვალისწინებს. მაშ ასე, განზრახულია, რომ კონგრესს „თავისუფლებში“ დასამტკიცებლად წარუდგინონ 55, 65, 75, 85, 95 და 125 კილოგრამი კატეგორიები, ბერძენ-რომაელებში – 57, 67, 77, 87, 97 და 130 კილოგრამები, ქალებში – 48, 52, 56, 61, 66 და 72. ქალების ამბავი გასაგებია – იქ ერთი სტილია და არც რამეა ვინმესთან შესადარებელი, მაგრამ ვაჟებში კი სხვაგვარადაა საქმე. ამ პროექტის მთავარი თავისებურება 60 კილოგრამის შევიწროებაა – ორივე სტილში შემცირება მის ხარჯზე განუზრახავთ, თუმცა გაუგებარია, რატომაა განსხვავებული წონები სხვადასხვა სტილში? მაგალითად,



სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი - **ლევან ყიფიანი**, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი - **ლერი ხაბელოვთან** და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ - **ლუკა კურტანიძესთან** ერთად ბორჯომს ეწვია და საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებები მსოფლიო ჩემპიონატისათვის მოსამზადებელ დასკვნით შეკრებაზე მოინახულა.

**თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები:** გიორგი ედიშერაშვილი (55), ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (60), ლევან ქელეხსაშვილი (66), იაკობ მაქარაშვილი (74), დავით მარსაგიშვილი (84), დავით ქერაშვილი (96) , გენო პეტრიაშვილი (120), **მწვრთნელი:** რევაზ მინდორაშვილი.

**ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები:** ბაჩანა ფუტკარაძე (55), რევაზ ლაშხი (60), საჩინო დავითაია (66), ილია გულბათაშვილი (74), გიორგი ცირეკიძე (84), ვასილ იმერლიშვილი (96), ლევან არაბული (120). **მწვრთნელი:** ოთარ ტატიშვილი.

„თავისუფლებში“ თუ 65-ია, ბერძენ-რომაელებში რატომაა 67? 55-ის მერე მომდევნო კატეგორიასთან შედარებით 10-12-კილოგრამიანი სხვაობაც ფრიად უცნაურია. ასევე გასაკვირია, რომ მძიმე წონა ერთგან 125-ია, მეორეგან – 130, თუმცა 1-3-კილოგრამიანი სხვაობა ყველა წონაშია! თავისებურებაა ისიც, რომ ბერძენ-რომაელებში ყველგან გაზრდილია წონები, „თავისუფლებში“ კი ორგან შემცირებულია თითო კილოთი – 66 და 96. ვიმეორებთ – ეს ჯერ მხოლოდ პროექტია, რომელიც დამტკიცებული არაა და, სავარაუდოდ, რაღაც შეიცვლება მასში. თუმცა თუ განვიხილავთ იმ ვარიანტს, რომ მართლაც ასე დაამტკიცონ, საინტერესოა, რამდენად წაადგებათ ეს ჩვენებურებს.

სადაც დამატებულია ის 1-დან 3 კილოგრამამდე, ჩვენებისთვის კარგიც უნდა იყოს – თითქმის ყველა ჩვენი ფალავანი ხომ წონას იკლებს (ქართველთა ტრადიციული სენი ათადან ბაბადან მოყოლებული – გადამეტებული სიყვარული ქეიფისა და დროსტარებისადმი) და თუნდაც ეს ორიოდე კილო მათ უნდა აწყობდეთ. სამაგიეროდ, კიდევ უფრო გაუჭირდებათ წონადაკლებული კატეგორიების ფალავნებს – მათ ახლა დამატებით 1 კილოს დაგდებაც მოუწევთ. ჩვენთვის კარგია, 55 კილოგრამი თუ დარჩება, მაგრამ, ალბათ, აჯობებდა, ეს ამოეღოთ და ათვლა ძიუდოსავით პირდაპირ 60-დან დაეწყოთ. 55-ის დატოვება მოცემულ მომენტში იმითაა კარგი, რომ „თავისუფლებში“ არ იზღუდება ჩვენი ერთ-ერთი სტრატეგიული ფალავანი, ევროპის ჩემპიონი **გიორგი ედიშერაშვილი**. ამ წონის გაუქმების შემთხვევაში ის იძულებული გახდებოდა, 60-ში გადასულიყო, სადაც ასევე ძლიერი ფალავანი გვყავს, ამ წონის ლიდერი და საერთაშორისო რეიტინგის მეორე ნომერი, ევროპის მედალოსანი და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** ანუ უმთავრეს ტურნირებზე ერთ ძლიერ ფალავანს ვკარგავდით. თუმცა წარმოდგენილ ვარიანტს საქართველოსთვის ერთი მკვეთრად უარყოფითი მხარეც აქვს – მცირდება მაინცდამაინც 60 კილოგრამი, რომელიც ორივე ნაკრებში სტრატეგიულია. შეგახსენებთ, რომ ერთგანაც და მეორეგანაც ოლიმპიური ვერცხლის მედალოსნები გვყავს – ხინჩეგაშვილი და **რევაზ ლაშხი**, რომლებსაც ზედა წონაში გადანაცვლების გარდა, სხვა გზა არ რჩებათ. თავის მხრივ, ეს იქ მყოფი ახალგაზრდა ლიდერების შევიწროებას გამოიწვევს, რაც უფრო დასანანი ბერძენ-რომაელებში იქნება, სადაც ლაშხს შედარებით უფრო ძლიერი კონკურენტი ხვდება, **საჩინო დავითაია**. თუმცა ახალ წონაში გადასვლა თავად ამ ლიდერებისთვისაც ძნელი იქნება – ჯერ წონის შეცვლას თავისთავად ახლავს სიძნელეები და ადაპტაცია სჭირდება, ამათ კი, შეიძლება... წონის მომატებაც დასჭირდეთ. როგორც წესი, ყველა წონაში ფალავნები რამდენიმე კილოგრამს იკლებენ ანუ ისინი მოცემული კატეგორიისთვის განკუთვნილზე მძიმეები არიან და მათ დონეზე თუ არ ხარ, ფიზიკურად ყოველთვის ექნებათ უპირატესობა. არ გვგონია, რომ ჩვენი ლიდერებისთვის ადაპტაცია სერიოზული პრობლემა იყოს, მაგრამ მაინც აჯობებდა, ასე სადავიდარაბოდ არ გახდოდათ საქმე. თუმცა დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და საკითხის ოფიციალურად გადაწყვეტას. იმედია, ფილას მაღალჩინოსნები ბევრად უფრო გონივრულად მიუდგებიან ამ საჭირბოროტო საკითხს.

ირაკლი თავაძე

ძიუდო. ნაკრები

# ნოემბრის მოლოდინში

ძიუდოისტებმა სეზონის უმთავრესი ტურნირები კი მოილიეს, მაგრამ სეზონი კვლავაც გრძელდება და წლის ბოლომდე „დიდი მუზარადისა“ თუ „დიდი პრიზის“ რამდენიმე ტურნირი გაიმართება, რომ აღარაფერი ვთქვათ რეგიონულ თასებზე. ასეთ შეჯიბრებებს 14-15 სექტემბერს ხორვატული რიეკა „დიდ პრიზს“ უმასპინძლებს, სექტემბერ-ოქტომბრის მიჯნაზე კი ალმატა და ტაშკენტი. ოღონდ ჩვენები ამათგან არც ერთში არ გამოვლენ, რადგან ისინი საქართველოს ძიუდოს ფედერაციას არც ჰქონდა შეტანილი კალენდარში და არც დაფინანსებას აპირებდა. რიეკაში **ნოდარ მეტრეველს** საკუთარი ხარჯებით კი სურდა წასვლა, მაგრამ საბუთების გაფორმება ვერ მოასწრეს. ლიდერების ამბავი გასაგებია – მათ ახლა დასვენება და ახალი სეზონისთვის ძალების მოკრება სჭირდებათ, მაგრამ ცუდია, იმ შეჯიბრებებზე ახალგაზრდებს, სათადარიგოებსაც რომ ვერ აგზავნიან – ეს ტურნირები ხომ მათ გამოსაცდელადაა მისწრება, თორემ მსოფლიოს ჩემპიონატიდან ერთი კვირის ან თუნდაც ერთი თვის თავზე ლიდერთაგან იქ არავინ იჭიდავებს.



ჩვენები შეჯიბრებებში ნოემბრის ბოლოდან ჩაებმებიან – 22-23-ში აბუ დაბიში იჭიდავებენ იქაურ „დიდ პრიზზე“, ერთ კვირაში კი ტოკიოში გადაინაცვლებენ და „დიდ მუზარადად“ წოდებულ ძიგორო კანოს მემორიალში გამოვლენ. ეს ორი შეჯიბრება თავიდანვე იყო ჩასმული ფედერაციის კალენდარში. ალბათ იმიტომ, რომ ერთ კონტინენტზეა, ერთმანეთის მიყოლებით, რაც ფინანსურადაც მომგებიანი ვარიანტია და ორგანიზაციულადაც – საბუთები ერთად მომზადდება, ოღონდ აქ ერთი ნიუანსია - დაახლოებით იმავე პერიოდში, სავარაუდოდ – ნოემბერში საქართველოს ჩემპიონატიც იგეგმება, თუმცა ეს ჯერ არაა გადაწყვეტილი. ძალიან ცუდი, ქვეყნის პირველობაში ნაკრების ლიდერები თუ არ გამოვლენ. ბოლო წლებში ქართულ სპორტში ეს ლაფსუსი როგორღაც გამოსწორდა და ძალიან ცუდი, პრეცედენტს ისევ თუ დავუშვებთ. იმედია, ქვეყნის პირველობა ნოემბრის დასაწყისში გაიმართება და წამყვანი ფალავნებიც იჭიდავებენ, რათა მერე აზიურ ტურნეში წასვლაც მოასწრონ.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი

# ნახევარი ქულით უსწრებს

ლინარესში მოჭადრაკე ქალთა წრიულ ტურნირში, როგორც გაუწყეთ, ექვსი ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულით თბილისელი **სოფიკო გურამიშვილი** და ფრანგი **სოფი მიე** დაწინაურდნენ. გუშინ მე-7 ტურში სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თეთრი ფიგურებით ქართველი დიდოსტატი თამაშობდა და წარმატებასაც მიაღწია. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: იუდანია ესტევეს ჰერნანდესი (ესპანეთი) - ლაურა ბარბას კოლადო (ესპანეთი) 1:0, ამალია მურილო არანასი (ესპანეთი) - ანა მათნაძე (ესპანეთი) 0.5:0.5, დეიმანტე დაულიტე (ლიტვა) - ლაურა პერეს მარტინი (ესპანეთი) 0.5:0.5, მარინა ბრუნელო (იტალია) - ანასტასია სავინა (რუსეთი) 0:1.

შვიდი ტურის შემდეგ: გურამიშვილი-5.5, სავინა-5, მიე, დაულიტე-4.5-4.5, ბრუნელო-4, ჰერნანდესი-3.5, არანასი, მათნაძე-3-3, კოლადო-1.5, მარტინი-0.5 ქულა.

მე-8 ტურში ითამაშებენ: კოლადო-სავინა, მარტინი-ბრუნელო, მიე-დაულიტე, მათნაძე-გურამიშვილი, ფერნანდესი-არანასი.

ვაჟა დანელია

# სამნი სათავეში

თბილისის ჭადრაკის სასახლეში ნონა გაფრინდაშვილის თასის გათამაშებაზე გუშინ მე-4 ტურში ოლეგ კორნეევმა (ესპანეთი) თეთრი ფიგურებით სომეხ არტურ ჩიბუხჩიანს 59-ე სვლაზე კუ დაათმობინა, 63-ეზე კი - პარტია და გათამაშების ცხრილში მე-4 გამარჯვება ჩაიწერა. მსგავს წარმატებას მიაღწიეს ლუკა პაიჭაძემ (შავი ფიგურებით მაკა ფურცელაძეს აჯობა) და შოთა აზალაძემ (თეთრებით ნიკოლოზ შავთვალაძე დაამარცხა). საამისოდ მათ, შესაბამისად, 37 და 38 სვლა დასჭირდათ. სამქულიანებიდან დაზავდნენ ირაკლი ბერაძე და ნინო ხურციძე, ხოლო მაია ლომინეიშვილმა მერაბ გაგუნაშვილთან წააგო. ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთა დანარჩენი პარტიები ასე დასრულდა: ინგა ჭარხალაშვილი-ლევან ფანცულაია 0:1, დავით ბენიძე-ალიკ ვარდანიანი (სომხეთი) 1:0, გიგა ყუფარაძე-სალიხ აკარ ალ სალიხი (ერაყი) 1:0, გიორგი ბალათუროვი-ტიგრან პეტროსიანი (სომხეთი) 0:1, დავით ლომსაძე-ნინო ბაციაშვილი 1:0, ივერი ჭილლაძე-მირანდა მიქაძე 1:0, თამარ წერეთელი-ვაჰან ხაჩატრიანი (სომხეთი) 0.5:0.5, აჰმედ აბდულსაჰარი (ერაყი)-აკაკი შალამბერიძე 0:1.

ამდენად, ოთხი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ **ლუკა პაიჭაძე, ოლეგ კორნეევი** და **შოთა აზალაძე** მეწინავეობენ. 11 მოჭადრაკეს 3.5-3.5 ქულა აქვს. ლიდერებში ერთადერთი მანდილოსანია - ქალებში საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი ნინო ხურციძე, რომელიც დღეს თეთრი ფიგურებით დავით ლომსაძეს შეხვდება. ასევე, ინტერესს იწვევს შემდეგი ორთაბრძოლები: პაიჭაძე-კორნეევი, ფანცულაია-აზალაძე, შალამბერიძე-გაგუნაშვილი, პეტროსიანი-ბენიძე, ბერაძე-ყუფარაძე, ჩარაგოზიანი (სომხეთი)-ჭილლაძე.

უფროსების გარდა, ტურნირში ნორჩი მოჭადრაკეებიც მონაწილეობენ. 8-წლიან გოგონებში დიანა ლომაიამ და ანა მაჭარაშვილმა გუშინ ლილე გუმბერიძე და სალომე ლოლელიანი დაამარცხეს და 4-4 ქულით ლიდერობას განაგრძობენ. ბიჭებში ამდენივე ქულით რობერტ მურადიანი (სომხეთი) მეწინავეობს; 10-წლიანებში 3.5 ქულით პირველ ადგილზეა თამარ ესაძე, ბიჭებში სამველ ხაჩატრიანმა, მამიკონ ლარიბიანმა, რაფი



შოთა აზალაძე

ლაზარიანმა (სამივე - სომხეთი) და სადიგ მამადოვმა (აზერბაიჯანი) 4-4 ქულა მოაგროვეს; 12-წლიანებში ელენე კოსტავას - 4, ხოლო ლუკა ობოლაძეს და ლუკა გოგიას 3.5-3.5 ქულა აქვთ.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ოქსანა წყვილთა ფინალშია


ოქსანა კალაშნიკოვა

თბილისელი ჩოგბურთელი **ოქსანა კალაშნიკოვა** გუშინდლამდე წარმატებით იბრძოდა ორ ფრონტზე ტრაბზონის საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 50. 000 დოლარი). აი, გუშინ კი ერთეულთა თანრიგში მისი წინსვლა შეაჩერეს — 19 წლის ანა-ლენა ფრიედსამმა, რომელიც მსოფლიო რეიტინგში 175-ეა, კალაშნიკოვას ორ სეტში იოლად აჯობა 6:3, 6:1. მეოთხედფინალის დანარჩენი სამი შეხვედრა ასე დამთავრდა: დალილა იაკუპოვიჩი (სლოვენია) - ანსოფი მესტაჩი (ბელგია, მე-6 ნომერი) 6:4, 7:6, ალექსანდრა კრუნიჩი (სერბეთი, 5) - ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი, 3) 2:6, 6:2, 6:1, იულია ბეიგელზიმერი (უკრაინა) - ანდრეა მიტუ (რუმინეთი) 7:6, 4:6, 6:3. ამდენად, ნახევარფინალში ფრიედსამი-იაკუპოვიჩი, კრუნიჩი-ბეიგელზიმერი ითამაშებენ.

კალაშნიკოვამ სერბ ალექსანდრა კრუნიჩთან ერთად წყვილებში უკეთ ითამაშა. ისინი ტურნირის რეიტინგფავორიტები არიან. მაგდა ლინეტეს (პოლონეთი) და პემრა ოზგენის (თურქეთი) დუეტთან გუშინ ქართულ-სერბულ ტანდემს ძალების დაძაბვა არ დასჭირვებია — ორ სეტში ერთნაირი ანგარიშით — 6:1, 6:1 გაიმარჯვა და ფინალში გავიდა, სადაც მე-2 ნომრად განთესილი სტეფანი ფორე-გაკონისა (საფრანგეთი) და ემილი ვეიბლი-სმიტის (დიდი ბრიტანეთი) მძლეველ (6:3, 6:3) ანი ამირაგიანსა (სომხეთი) და დალილა იაკუპოვიჩს (სლოვენია) დაუპირისპირდება.

ვაჟა **დანელია**

# პირველი წრე დაძლია

კვებეკში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი) ერთეულთა თანრიგს პირველსავე წრეში ჩამოშორდა თბილისელი **ანა ტატიშვილი**. წყვილებში კი ირინა ფალკონისთან (აშშ) ერთად სასტარტო პაექრობა მოიგო - მირიანა ლუჩიჩ-ბარონისა (ხორვატია) და კატალინა კასტანოს (კოლუმბია) დუეტი დაამარცხა - 7:6, 6:4, არადა, ლუჩიჩი წყვილებში 36-ეა, კასტანო - 90-ე, ტატიშვილის კი მე-2 ასეულში 103-ე საფეხური უკავია. მეოთხედფინალში ანა და ირინა ასია მუჰამადსა და ალიე ვილთან (ორივე-აშშ) გაარკვევენ ურთიერთობას.

ვაჟა **დანელია**

კრივი

# კიევიდან უმედლოდ ბრუნდებიან

უკრაინის დედაქალაქში გრძელდება 15-16 წლის მოკრივეთა მსოფლიოს პირველობა, მაგრამ საქართველოს წარმომადგენლებისთვის ეს შეჯიბრება გუშინ დასრულდა. ხუთდღიანი პაექრობების შემდეგ რინგს სამი ჩვენიანი იყო შემორჩენილი, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა გუშინ მეოთხედფინალური ბარიერი ვერ გადალახა: გაგიკ პოზოიანი (ახალქალაქი, 50 კგ) **სტოიან მაზურთან** (ყაზახეთი) დამარცხდა, **ვალერი ბოყოველმა** (ჭიათურა, 52) რუს **აიტალ დიაკონოვთან** დათმო პაექრობა, ხოლო **გიორგი ხარაბაძემ** (ქუთაისი, 66) **ელდარ მერჟანოვთან** (უზბეკეთი) წააგო, არადა, წლეულს გაზაფხულზე ქართველმა მოკრივემ აზიელს ბაქოში ჰეიდარ ალიევის მემორიალში აჯობა.

ასე რომ, საქართველოს თერთმეტკაციანი დელეგაცია შინ უმედლოდ ბრუნდება.

ვაჟა **დანელია**



თარიღები და მოვლენები

## 13-15 სექტემბერი

**13. 1915.** დაიბადა **ილია ბობოხიძე** - ბ\რ ჭიდაობა, მწვრთნელი. გარდაიცვალა 1991 წელს

**13. 1925.** დაიბადა **ლარისა ბერიევა** - თავ. და ბ\რ ჭიდაობა, მსაჯი

**13. 1943.** დაიბადა **ვლადიმერ მესტვირიშვილი** – თავისუფალი ჭიდაობა, მწვრთნელი

**13. 1949.** დაიბადა **ავთანდილ კოკაია** - ფეხბურთი, მსაჯი

**13. 09. 1960 წ.** სსრკ საფეხბურთო ჩემპიონატში **ავთანდილ ღოღობერიძემ** გაიტანა 127-ე გოლი და გახდა კლუბის რეკორდსმენი

**13. 1972 წ.** თბილისის „დინამომ" ევროპის საკლუბო ტურნირის პირველ მატჩში „ლოკომოტივის" სტადიონზე ჰოლანდიის „ტვენტეს"უმასპინძლა და 3:2 დაამარცხა

**14. 1914.** დაიბადა **ვასილ ელაშვილი** - სპორტის მკვლევარი, პროფესორი გარდაიცვალა 1997 წელს

**15. 1925.** დაიბადა **აკაკი ნინიაშვილი** - სამბო, მწვრთნელი გარდაიცვალა 2010 წელს

**15. 1944.** დაიბადა **გიორგი სიჭინავა** - ფეხბურთი

**15. 1979.** დაიბადა **ირაკლი ჭოჭუა** - ბ\რ ჭიდაობა.

# საკვები დანამატები და მის მიღებასთან დაკავშირებული დოპინგის და ჯანმრთელობის რისკები, სპორტსმენთა ჯანსაღი კვება



### უნებლიე დოპინგი

გასულ წლებში გამოვლენილ იქნა მზარდი რიცხვი ისეთი დიეტური დანამატებისა, რომლებიც შეიცავდნენ დაუფიქსირებელ დოპინგურ ნივთიერებებს. ასეთი დიეტური დანამატების მიღება იწვევს უნებლიე დოპინგის შემთხვევებს. მიუხედავად იმისა, რომ გაფრთხილება იქნა მიცემული უნებლიე დოპინგის რისკის შესახებ, უახლესი გამოკვლევების თანახმად, ათლეტთა წარმოდგენა ამ პრობლემების შესახებ არაადეკვატურია. გარდა ამისა ჩანს, რომ იზრდება რისკი ასეთი ფარმაცევტული ნივთიერებების ადვილი ხელმისაწვდომობისა ინტერნეტის საშუალებით, რომელიც სავსეა კრიმინალი მწარმოებლების საკამათო, არაეფექტური დიეტური დანამატების პროდუქტებით.

**ამგზნები საშუალებების შემცველი დიეტური დანამატები**

დიეტური დანამატების ბაზარზე ამგზნები საშუალებების შემცველი უნებლიე დოპინგის მთავარი კანდიდატებია Ephedrine-ს და ანალოგიურად Sibutramine-სა და Methilhexaneamine-ს შემცველი პროდუქტები. ასეთ პროდუქტებს ძირითადად რეკლამას უკეთებენ, როგორც ცხიმების დამწველ ან გამამხნევებელ საშუალებებს და მათი გამოყენებით კი შეიძლება გამოწვეული იქნას დადებითი დოპინგის შედეგები შეჯიბრების დროს. უნებლიე დოპინგის რისკი ასეთი დოპინგური დანამატებით გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით.

Ephedrine-ს შემცველი დიეტური დანამატების შემთხვევაში ეტიკეტზე უფრო ხშირად მოხსენიებულია Ephedrine-ს ისეთი ბუნებრივი წყაროები, როგორებიცაა Ma Huang ან ephedra sinica ვიდრე აქტიური ინგრედიენტების სახელები (ephedrine,pseudoephedrine, methylephedrine და აშ). მიუხედავად იმისა,რომ ათლეტები ფართოდ არიან ინფორმირებული ბუნდოვანი ეტიკეტებისა თუ მრავალფეროვანი სახელწოდებების შესახებ, რომლებითაც აკრძალული ნივთიერებები შეიძლება იქნას წარმოდგენილი , ბევრი სპორტსმენი ჯერ კიდევ ებმება ამ დოპინგის მახეში.

Sibutramine-თ გამდიდრებული დიეტური დანამატების შემთხვევაში, ეს ინგრედიენტი არ არის აღრიცხული ეტიკეტზე და მომხმარებელს მიწოდებული აქვს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომ პროდუქტი შეიცავს „სუფთა, მცენარეულ ინგრედიენტებს", რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი წონაში დასაკლები თვისებები. Sibutramine შეძლება იპოვოთ წონის დასაკლები კაფსულების, ფხვნილების თუ ნაყენების თერაპიულ და სუპერთერაპიულ დოზებშიც კი. Sibutramine არის სინთეტური მადის დასაქვეითებელი მედიკამენტი. დამტკიცებულია, როგორც ფარმაკოლოგიური პრეპარატი და გაიცემა მხოლოდ რეცეპტით. ძალიან ძლიერი გვერდითი მოვლენების გამო (ინფარქტისა და ინსულტის რისკი გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადების ისტორიის მქონე პაციენტებში) 2010 წლის იანვარში ევროპული მედიკამენტების სააგენტოს რეკომენდაციით ეს წამალი უნდა ამოეღოთ ბაზრიდან. Sibutramine შეტანილია აკრძალულ ნივთიერებათა სიაში 2006 წლიდან მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ(WADA).

2006-2009 წლების შემდეგ არსებობს უნებლიე დოპინგის მაღალი რისკი methylhexaneamine-ით, რომელიც დაემატა WADA-ს აკრძალულ ნივთიერებათა სიას 2009 წელს. აზრთა სხვადასხვაობა უნებლიე დოპინგის შესახებ წარმოიშობა იმ ფაქტიდან, რომ Methylhexaneamine შეიძლება იპოვოთ ეტიკეტებზე მრავალი სხვადასხვა ისეთი სახელწოდებებით, როგორებიცაა dimethylaminamine, dimethylpentylamine, pentylamine, geranamine,forthane, და 2-amino-4-methylhexane. WADA-s 2011 წლის აკრძალულ ნივთიერებათა სიაში მხოლოდ სახელწოდებები methylhexaneamine და dimethylpentylamine არის ნახსენები სტიმულატორთა ჯგუფში, რაც ართულებს ამ ნივთიერების, როგორც აკრძალული შენაერთის ამოცნობას.ზოგიერთ დიეტურ დანამატში ნემსიწვერას ძირების ნაყენი ან ნემსიწვერას ზეთი მოხსენიებულია, როგორც methylhexaneamine-ს სავარაუდო ბუნებრივი წყარო. თუმცა, უახლესმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ methylhexaneamine არ არის ნემსიწვერას ზეთის ბუნებრივი ინგრედიენტი, რაც ნიშნავს იმას, რომ სინთეზირებული methylhexaneamine უნდა იყოს დამატებული.მიუხედავად სხვადასხვა სახელმწიფო ანტიდოპინგური სააგენტოების გაფრთხილებებისა, 2009 და 2010 წლებში მრავალი ელიტარული ათლეტი იქნა აღმოჩენილი metylhexaneamine-ს სინჯზე დადებითი პასუხით.

**დაბინძურებული და ფალსიფიცირებული დიეტური დანამატები**

2012 წლიდან ბაზარზე გამოჩნდა დიეტური დანამატები, რომლებიც ალბათ განზრახულად იქნა განზავებული „კლასიკური" ანაბოლური სტეროიდების დიდი რაოდენობით (1მგ/გ-ზე მეტი), რომლებიც არაა შეტანილი ეტიკეტის ჩამონათვალში ან შეტანილია მიუღებელი ან უჩვეულო სახელწოდებებით. მათ შორის ამოცნობილ იქნა ისეთი სტეროიდები, როგორებიცაა stanozolol, metandienone, dehydrochloromethyltestosterone და oxandrolone. ყველა ეს სტეროიდები არის შინაგანად მისაღები ეფექტური საშუალებები, მიეკუთვნება რა 17-alkyl ჯგუფს. ეს საკვები დანამატები რეკლამირებულია, როგორც ისინი იწვევენ ძალ-ღონისა და სხეულის კუნთოვანი მასის საკმაო მომატებას. ანაბოლურ ანდროგენური სტეროიდების კონცენტრაცია თითო ულუფის მიხედვით ხვდება თერაპიულ ან სუპერთერაპიულ არეში და იწვევს დადებით დოპინგურ შემთხვევებს,რომელთა გამოვლენა შეიძლება რამდენიმე დღისა თუ კვირის განმავლობაში, მიღებული სტეროიდის ტიპის შესაბამისად.

რადგანაც ამ ფალსიფიცირებული პროდუქტების მწარმოებლები ამზადებენ სხვა საკვებ დანამატებსაც იგივე წარმოების ხაზზე , ასეთი ანაბოლურ ანდროგენური სტეროიდებით დაბინძურების რისკი ძალიან მაღალია.ამ სახის დაბინძურებები ნაპოვნია C -ვიტამინის შუშხუნა აბებში, მაგნიუმსა და მულტივიტამინებში, რომლებიც დამზადებულია ესპანური და გერმანული სუპერმარკეტებისათვის, რომლებიც შეიცავენ, მაგალითად, მცირე რაოდენობით stanozolol -სა და metandienon-ს დადებითი დოპინგური რეაქციის გამოწვევის პოტენციით.

2002 წლიდან, ეგრეთ წოდებული, დიზაინერი სტეროიდები შეიძლება აგრეთვე აღმოჩენილი იქნას დიეტური დანამატების ბაზარზე. ეს სტეროიდები არ არის აღრიცხული, როგორც ინგრედიენტები არც ერთ ამჟამად ხელმისაწვდომ მედიკამენტზე და არც მათი სახელები ჩანს WADA-ს აკრძალულ ნივთიერებათა სიაში. ამ „დიზაინერი სტეროიდების" უმრავლესობა სინთეზირებულ იქნა 1960-იან წლებში და გამოცდილ იქნა მხოლოდ ცხოველურ გამოკვლევებში ანაბოლური და ანდროგენური ეფექტებისათვის. დღეს ეს სტეროიდული აგენტები წარმოებულია განსაკუთრებით საკვები დანამატების ბაზრისათვის და რეკლამირებულია ანაბოლური ან არომატაზა-შემაფერხებელი უნარისთვის. ადამანებთან მიმართებაში მათი სასარგებლო თუ გვერდითი მოვლენების შესახებ არსებობს ძალიან მცირე მონაცემები. უმეტეს შემთხვევებში ამ პროდუქტების მარკირება ხდება სტეროიდების დაუმტკიცებელი ან უჩვეულო სახელწოდებებით. 40-ზე მეტი ასეთი დიზაინერი სტეროიდი იქნა აღმოჩენილი. ათლეტის შარდის ანალიზში ასეთი სტეროიდის მეტაბოლიტების გამოვლენა იწვევს დადებით დოპინგურ შემთხვევას.

### ახალი წამლები

2009-2010 წლებში პირველი აკრძალული სელექციური ანდროგენების რეცეპტორული მოდულატორები (SARM) და გენის დოპინგური ნივთიერებები AICR და GW1516 გამოვლინდა შავ ბაზარზე. ყველა ეს ნივთიერება კვლავ კლინიკური შემოწმების ფაზაშია და ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, როგორც მედიკამენტი. ჩვენი გამოცდილებით, ვფიქრობთ, რომ ეს ნივთიერებები სულ მალე გამოჩნდება დიეტური დანამატების ბაზარზე რეკლამით, რომ SARM პროდუქტებით მიიღწევა ანაბოლური ეფექტი მაშინ, როდესაც გენის დოპინგური ნივთიერებები გაზრდის ამტანობას. თუ ეს ნივთიერებები დაემატება სხვა დიეტური დანამატების პროდუქტებს ეტიკეტში შეტანის გარეშე, შეიქმნება უნებლიე დოპინგის ახალი წყაროს საფრთხე.

### დასკვნა: რა ჰქნან ათლეტებმა?

ჩვენი გამოცდილების მიხედვით, უნებლიე დოპინგის რისკი ძირითადად დაკავშირებულია იმ დიეტურ დანამატებთან, რომლებიც გატანილია აგრესიულად ბაზარზე ფიზიოლოგიური ეფექტების გამო, მაგალითად, კუნთების გადიდებისა და ცხიმების დაწვის ეფექტის გამო. მაგრამ ის არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ამ პროდუქტებით. ამიტომ, ათლეტებმა უნდა გაითვალისწინონ დიეტური დანამატების სარგებლობა და რისკის ფაქტორები დიდი სიფრთხილით. თუ მათი გამოყენება აუცილებელია, ათლეტებმა უნდა შეიძინონ ისინი მხოლოდ ნაკლებრისკიანი წყაროებიდან. ასეთი წყაროები ოფიციალურად არსებობენ ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა გერმანია, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი და აშშ, სადაც ბაზები აღრიცხავენ დიეტურ დანამატებს იმ კომპანიებიდან, რომელთა პროდუქცია ხშირად და ხარისხიანად კონტროლდება დოპინგური აგენტების არსებობაზე. თუმცა, ეს წყაროები მაინც ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ დიეტური დანამატები უსაფრთხოა, მაგრამ ისინი სთავაზობენ მინიმალურ რისკს. ფარმაცევტული კომპანიების მიერ გამოშვებული დიეტური დანამატები შეიძლება წარმოადგენდნენ ალტერნატივას, რადგანაც ასეთ პროდუქტებში დოპინგური დაბინძურების შემთხვევები ჯერ კიდევ არ არის ცნობილი.

### დასკვნითი კომენტარები

ნათელია, რომ არსებობს რეალური რისკი იმისა, რომ ათლეტები, რომლებიც გამოიყენებენ დიეტურ დანამატებს, გაუთვითცნობიერებლად ღებულობენ აკრძალულ ნივთიერებებს, რაც მათ აძლევთ დოპინგის დადებით შედეგს. არსებობს შემთხვევები, სადაც დოპინგური დარღვევები უკავშირდება დიეტური დანამატების წარსულში მიღებას, რისთვისაც ათლეტმა უკვე მიიღო ზომები რისკის შესამცირებლად. მაგალითად, ათლეტმა მიიღო წერილობითი შეტყობინება დიეტური დანამატის მწარმოებლისაგან, რომ მათი პროდუქცია არ შეიცავს აკრძალულ ნივთიერებებს, მაგრამ დოპინგურ სინჯზე დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, დიეტური დანამატების გაუხსნელი კონტეინერის შემოწმების შედეგად, ნაპოვნი იქნა აკრძალული ინგრედიენტი. საუბედუროდ, მკაცრი პასუხისმგებლობა ეკისრება ასეთ სიტუაციებს და იმ შემთხვევაშიც კი, როცა ათლეტები წარმატებით აღწევენ სპორტიდან მოწყვეტის პირობების შემსუბუქებას, დოპინგური დარღვევები მაინც ჩაიწერება მათი სახელების გასწვრივ. როცა დიეტურ დანამატებს ღებულობს, ათლეტმა მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ ხელფასის, კარიერისა და რეპუტაციის დაკარგვა რისკის ფაქტორებია.

უფრო მეტი იხ. www.gada.ge

**საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო**

®

გაგრძელება იქნება

კალათბურთი. ტრანსფერი



# ბუ ვეფხვებში

საქართველოს ნაკრების კალათბურთელთაგან რამდენიმე ევროპის ჩემპიონატზე თამაშისას უკლუბოდ იყო. მათ შორის პლეიმეიქერი **გიორგი ცინცაძე**, რომელზეც თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ნაკრებში საუკეთესო ციკლი ჰქონდა. თავად განსაჯეთ: საშუალოდ 14.4 ქულასა და 6.8 პასს აგროვებდა. შედეგიანი გადაცემების მიხედვით „ბუ" (ცინცაძის მეტსახელი) ევრობასკეტის მონაწილე 24 გუნდის კალათბურთელთა შორის მეორეა და ნაკლებად სავარაუდოა, შეჯიბრების დასრულებამდე ვინმემ გადაასწროს. პასებში პირველია გერმანელი **შაფარციკი**, საშუალოდ 6.8.

ცინცაძე შარშან უკრაინულ „ბუდიველნიკში" გამოდიოდა, თუმცა ახალი სეზონისთვის მთავარმა მწვრთნელმა **აინარს ბაგაცკისმა** აღარ დაუძახა. არადა, გიორგი გუნდის ლიდერი იყო და დიდი როლი ითამაშა „ბუდიველნიკის" გაჩემპიონებაში. წლეულს ეს კლუბი ევროლიგაში თამაშობს და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ცინცაძე დიდად დაეხმარებოდა, მაგრამ...

როგორც თავად გიორგიმ გვითხრა, ახლოსაა „დონეცკში" გადასვლასთან. შესაბამისად, ქართველ გამთამაშებელს წლეულს კიდევ მიეცემა „ბუდიველნიკის" მწვრთნელისთვის საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცების საშუალება. „დონეცკელი ვეფხვები" უკრაინის ჩემპიონატის გასულ გათამაშებაში პირველობისთვის ბრძოლას მეოთხედფინალიდან გამოეთიშნენ და წლეულს ძველი პოზიციების დაბრუნებას აპირებენ. უკრაინის ჩემპიონატის ახალი წესების თანახმად, თუ რომელიმე გუნდი „ვითიბი ლიგაზე" თამაშს გადაწყვეტს, ევროთასებზე გამოსვლის უფლება აღარ აქვს. „დონეცკი" სწორედ „ვითიბიზე" იასპარეზებს, რაც ცინცაძისთვის დიდი გამოწვევა იქნება.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ „ბუ" დონეცკურ კლუბში 2009-10 წლებშიც თამაშობდა: „ვეფხვებში" დეკემბერში ჩაირიცხა და იანვარში გუნდს დაემშვიდობა. მიზეზი კლუბის ხელმძღვანელების გადაწყვეტილება იყო, რომლებმაც ბიუჯეტის სეკვესტრის მომიზეზებით ყველა ლეგიონერი დაითხოვეს. ევროჩელენჯის გათამაშებაში „დონეცკის" მაისურით ცინცაძე საშუალოდ 4.5 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

# კარგად, ძმაო!

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის შესახებ, ოპერატიულად ვატანდით სლოვენიიდან ინფორმაციებს თანამედროვე მტრედებს „სკაიპსა" და „იმეილს". კიდევ ერთხელ დავწერთ, რომ ჩვენს გუნდს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ცოტა დააკლდა და იძულებული გახდა 10 სექტემბერს მწვანე ქვეყანა, სლოვენია დაეტოვებინა.



მედია-ტურნირი 3X3

■ ■ ■

ნაკრები დილას, 11 საათზე ევრობასკეტის ემბლემიანი ავტობუსით ლაშკოს სასტუმრო „ტერმანადან" ლიუბლიანისკენ გაემგზავრა, საიდანაც თბილისში გამოფრინდა. 10 სექტემბრის დილას „ტერმანას" მივაშურე. ჯერ **მანუჩარ მარკოიშვილი** და **გიორგი შერმადინი** ჩამოვიდნენ. მანუს „გალათასარაიზეც" ველაპარაკე, თუმცა მთავარი თემა მაინც ევრობასკეტი იყო:

- მინდა მადლობა გადავუხადო ქომაგს, რომელიც მხურვალედ გვქომაგობდა. დასანანია, რომ საქართველოდან გულშემატკივართა ორგანიზებულად ჩამოყვანა ვერ მოხერხდა, მაგრამ ვინც ცელიეში მოვიდა, დიდი დახმარება გაგვიწია, - თქვა მარკოიშვილმა.

**იგორ კოკოშკოვი** და **რიკი ჰიკმანი** სასტუმროში აღარ იყვნენ, როგორც ჩანს, მათ უფრო ადრე დატოვეს ლაშკო. **ვიქტორ სანიკიძემ** კი ჩვენთან ერთად გააცილა ნაკრების ავტობუსი. რომ შეიტყო, იმავე დღისით ლიუბლიანაში ჟურნალისტებს შორის 3X3-ზე კალათბურთიაო, დაინტერესდა. ვიქტორის დახმარებით ჩემპიონებიც გავხდებოდით, მაგრამ ჯერ ერთი, შეჯიბრების წესები არ აძლევდა მოქმედ სპორტსმენს მონაწილეობის უფლებას და მეორეც - პროფესიონალები მოყვარულებთან არ თამაშობენ, მით უმეტეს ისეთ ტურნირში, რომელშიც არც ერთმანეთს ზოგავდნენ და მსაჯებისკენაც იწევდნენ. ვიქტორი არა, მაგრამ მისი, **საყვარელიძისა** და **ათანელიშილის** მეგობარი დროულად რომ მოსულიყო (მას ქვემოთ შევხვდებით), უთუოდ ჩემპიონები გავხდებოდით...

■ ■ ■

მოკლედ, ლიუბლიანაში ჟურნალისტთა ტურნირი 16:30 საათზე დაიწყო. იქამდე ჯერ მატარებლით ვიმგზავრე და 11 სექტემბრის „ლელოში" დაბეჭდილი იგორ კოკოშკოვის ინტერვიუც სწორედ ვაგონში დავწერე, მე თქვენ გეტყვით და ვინმეს ხმაური შემაწუხებდა, თუ შეძახილი - „აბა ცივი სასმელები". სლოვენიელები უხმაურო ხალხია და მატარებელი მეოთხედადაც არ იყო სავსე. ყოველი მგზავრობისას ასეთი სურათი მხვდებოდა. შემდეგში ამიხსნეს, რომ სლოვენიაში რკინიგზა მოგებაზე კი არ მუშაობს, მისი მთავარი ფუნქცია ხალხის დროულად გადაყვანაა. ამიტომაცაა, მთელი სლოვენია რელსებით დაქსელილი და მატარებლები ჭიანჭველებივით შეუჩერებლად მოძრაობენ.

ტრანსპორტის თემა ტაქსებით უნდა განვაგრძოთ. რკინიგზის სადგურის მეორე გასასვლელიდან რომ გამოვედი, ბარგით ვიყავი დატვირთული და დანიშნულების ადგილამდე ტაქსით გამგზავრება გადავწყვიტე. ზუსტად 45 წუთი ველოდე! რამდენადაც ბევრია ტაქსი თბილისში, იმდენად ნაკლები - სლოვენიაში. რითი უნდა იყოს ეს გამოწვეული? - ალბათ, იმით, რომ სლოვენიაში უმუშევრები ნაკლებად არიან და თავის სარჩენად ტაქსაობაც არ სჭირდებათ. ერთმა მძღოლმა მითხრა, ფარმაცევტულ ფირმა კრკა-ში ვმუშაობ და ტაქსზე მხოლოდ მოცალეობის ჟამს ვჯდებიო.

■ ■ ■

ბოლოს და ბოლოს, ქალაქის ცენტრში მდებარე ამფითეატრ „კრეჟანსკას" მივაღწიე, სადაც მედია-ტურნირი უნდა გამართულიყო. გამოგიტყდებით, ცელიეში შეჯიბრებაში იმ იმედით დავრეგისტრირდი, რომ კარგად მოთამაშე ქართველ ჟურნალისტებს გვერდიდან გავამხნევებდი, მაგრამ ეროვნული ნაკრების ევრობასკეტიდან გამოთიშვამ ბევრს დასწყვიტა გული და დავრჩით მხოლოდ ოთხი ქართველი მედიელი. ერთი მანდილოსანი, ერთი ტრავმირებული... არადა, თითო გუნდში ოთხს უნდა ეთამაშა. მეორე დღეს სწორედ საქართველოს მედია-ნაკრებზე დაწერა ფიბა-ევროპის ოფიციალურმა საიტმა: „3X3-ზე ტურნირში 10 ნაკრები მონაწილეობდა, რომელთაგან ზოგიერთს ნატურალიზებული კალათბურთელები ჰყავდაო", - ორი სლოვენიელი დაგვეხმარა და ღირსეულადაც ვიბრძოლეთ, თუმცა, ისევე როგორც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, ჯგუფიდან გასასვლელად ცოტა დაგვაკლდა.

ჩემპიონი ინტერნაციონალური გუნდი „მაჟესტიკ ფლოპერსი" გახდა, რომელშიც ლიტველი, სერბი და ლატვიელი კალათბურთელები გამოდიოდნენ.

■ ■ ■

ამასობაში მოსაღამოვდა და პარკეტზე ლიუბლიანის მერი ავიდა, რომელიც დამსწრე საზოგადოებას შაბლონური სიტყვებით მიესალმა და ჩვენს ნაკრებებს წარმატება უსურვა. მერის სიტყვებში მოულოდნელად ქართულიც გამოერია - „გამარჯობა ბიჭო!" მალევე მივხვდი, რომ ეს სცენიდან არ იყო ნათქვამი, ჩემს გვერდით ტანმაღალი ახალგაზრდა აღიმართა და ღიმილით განაგრძო: „როგორა ხარ?"

გაკვირვებულმა ავხედე, სლოვენიური შესახედაობისა, ასე, 207-208 სმ სიმაღლისა იქნებოდა. ქართულად მოვიკითხე და ჩვენებურსავე ენაზე მითხრა - კარგად სლოვენიელმა, რომელიც თურმე „სლოვენში" რეზოს გვერდით თამაშობდა. თუმცა, ათანელიშვილისგან განსხვავებით, ალიაჟ ვრაბეცმა კარიერა ნაადრევად დაასრულა და ჟურნალისტობას მიჰყო ხელი. ამჟამად გაზეთ „დნევნიკის" კორესპონდენტია. მისი სიმაღლისა ჟურნალისტებში ერთი არ მოიძებნებოდა.


ნაკრები ლაშკოს ტოვებს

დავარო. ლოგიკური კითხვა გამიჩნდა: საიდან იცი ქართული?

- რეზო ათანელიშვილის მეგობარი ვარ. მასთან შარშან საქართველოშიც ვიყავი და მანუჩარ მარკოიშვილის ქორწილი დაემთხვა. ასე რომ, ქართველებსაც შესანიშნავად ვიცნობ და თქვენი სუფრის ტრადიციებსაც, - მითხრა და. დანანებით ვუთხარი - ცოტა ადრე რომ მოსულიყავი, ქართველ ჟურნალისტთა ნაკრებში ნატურალიზებულის სტატუსით ითამაშებდი და მედლებისთვისაც ვიბრძოლებდით-მეთქი. გაიკვირვა: რატომ ნატურალიზებული - ნახევრად ქართველი ვარ, წინადადების გამართვა მიჭირს, თორემ ბევრი თქვენი სიტყვა ვიცი, ჟარგონიან-სასაუბრო სიტყვებიანადო. ამაში მალე დავრწმუნდი.

ჟარგონები სლოვენიაშიც უხვად ჰქონიათ, თუმცა ხალხის ხასიათიდან გამომდინარე, აგრესიას მხოლოდ სიტყვიერად გამოხატავენ. ალიაჟმა ისეთი საინტერესო ამბავი გაიხსენა, დღევანდელი „ტაიმლაინი" სწორედ ამით უნდა დავამთავრო:

- სლოვენიაში ერთი მეორეს თუ შეაგინებს, პასუხად გინებასვე მიიღებს. არ ბრაზდებიან. კარგად ვიცი, რომ საქართველოში ასე არ არის. არ იცოდა „სლოვენის" მოწინააღმდეგე გუნდის კალათბურთელმა, რომელმაც ათანელიშვილს შელაპარაკებისას შეაგინა. უნდა გენახათ, რეზო როგორ გაბრაზდა, მოწინააღმდეგეს გასახდელამდე სდია. თუ არ ვცდები, ათანელას ამ ინციდენტის გამო ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

ალიაჟ ვრაბეცს არც დამშვიდობება შეშლია:

- კარგად ძმაო.


საქართველოს დროშა ლიუბლიანის პარკს დღესაც ამშვენებს

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ნომინაციები

# საუკეთესო მარბიელები მსოფლიო რაგბის ისტორიაში

სპეციალისტთა და ჟურნალისტთა მიერ არაერთგზის დასახელებულა მსოფლიო რაგბის ისტორიაში სხვადასხვა პოზიციაზე მოთამაშე საუკეთესო მორაგბეები. თუმცა, აარჩიო საუკეთსო მარბიელი (№8) რაგბის ისტორიიდან, ეს ყოველთვის ურთულესი საქმეა და ხშირად იწვევს ცხარე დებატებს. ამ პოზიციაზე თამაში უაღრესად საპასუხისმგებლოა და საკუთარი მოთხოვნები გააჩნია: მოთამაშე უნდა იყოს ფიზიკურად ძლიერი, უნდა გააჩნდეს მაღალი სათამაშო ინტელექტი, სხარტი აზროვნება, გამოირჩეოდეს სისწრაფით, შეეძლოს აუტში კარგად ახტომა და ბურთის მოგება, დაცვითი ფუნქციების შესრულებისას კი ევალება ყველა მოთამაშის დაჭერა, რომელიც მოახერხებს და თავდაცვითი ზღუდის პირველ ეშელონს გადმოლახავს. ქართული დასახელება „მარბიელი" ნამდვილად მიესადაგება მის პირდაპირ მნიშვნელობას და საქმიანობას უშუალოდ მოედანზე. აღსანიშნავია, რომ ქართულ რაგბიში ამ პოზიციაზე რამდენიმე, მართლაც გამორჩეული მოთამაშე გვყავდა. ჩვენ უცხოელ მარბიელებთან ერთად მათზეც მოგითხრობთ.



მარცხნიდან მეორე თემურ ბენდიაშვილი

### დინ რიჩარდსი

დინ რიჩარდსი გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს და 90-იანების დასაწყისში ბრწყინავდა „ბრიტანელი ლომების", ინგლისის ნაკრებისა და "ლესტერ თაიგერზის" რიგებში.

„დინო" არასდროს გამოირჩეოდა მაღალი სისწრაფით და დღესდღეობით რომ ეთამაშა, აუცილებლად მოუწევდა რამდენიმე ზედმეტი კილოგრამის დაკლება. თუმცა, ბუნებით მინიჭებული უდიდესი ძალა, ხისტი სათამაშო სტილი და ლიდერის თვისებები ნებისმიერ სარაგბო ერაში მას მაინც ვარსკვლავად აქცევდა.

მოთამაშის აქტიური კარიერის დასრულებისთანავე რიჩარდსმა პოლიციელად იმუშავა რამდენიმე წელი, მოგვიანებით წარმატებული მწვრთნელი გახდა („ლესტერი", "ჰარლიქვინზი)"), თუმცა შემდეგ „ბლადგეითის სკანდალში" გაეხვა და იძულებით მოუხდა დროებით ჩამოშორებოდა საყვარელ სპორტს.

### სერჟიო პარისე

წარმოშობით არგენტინელი სერჟიო პარისე 18 წლისა გახლდათ, როდესაც პირველად მოირგო იტალიის ნაკრების კვართი და ამჟამად 2 კეპილა აკლია, რათა საიუბილეო, მეასე მატჩი გამართოს ეროვნული გუნდის რიგებში. მიუხედავად „სკუადრას" არადამაჯერებელი თამაშისა და არცთუ ისე წარმატებული შედეგებისა, პარისე ყოველთვის გუნდის ლიდერი გახლდათ და გამოირჩეოდა მებრძოლი სულით, მის მიერ ჩაგდებული თამაში იშვიათად თუ ვინმეს ახსოვს. სერჟიო ერთნაირად ბრწყინვალეა როგორც დაცვითი, ასევე შეტევითი ფუნქციების შესრულებისას (10 სანაკრებო ლელო). უნიჭიერესი მოთამაშე ამავდროულად საფრანგეთის ჩემპიონატში მოასპარეზე „სტად ფრანსეს" წამყვანი ფიგურაა, ტურის სიმბოლურ ნაკრებებშიც ხშირად ხვდება და საკუთარ პოზიციაზე ერთ-ერთი საუკეთესოა.

### მარვინ დევისი

ლეგენდარული მარვინ დევისი მსოფლიო ჩემპიონატების ერამდე, (1987 წლამდე) ასპარეზობდა, თუმცა ეს არანაირად არ აკნინებს მის მიღწევებს.

მარვინმა სპორტული კარიერის განმავლობაში უელსის ნაკრებთან ერთად დიდი სლემის შეასრულებაც მოახერხა და სამეფო თასიც დაისაკუთრა, 1971 და 1974 წლებში მან წარმატებით ულიდერა ბრიტანელი ლომების „ლაშქრობას" ახალ ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკაში.

საერთაშორისო არენაზე ჩატარებულ 46 შეხვედრაში მარვინმა მხოლოდ 9 მატჩი დათმო და იმითაც გახლდათ განსაკუთრებული, რომ აქტიური სპორტული კარიერის განმავლობაში სანაკრებო მატჩი ტრავმის გამო არასდროს გაუცდენია.

29 წლის ასაკში დევისს უმძიმესი დაავადება შეეყარა, რის გამოც იგი იძულებული გახდა ნაადრევად დაესრულებინა სარაგბო კარიერა.

2012 წლის მარტში მარვინი ავადმყოფობასთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გარდაიცვალა 65 წლის ასაკში. საერთაშორისო რაგბის ფედერაციამ იგი დიდების დარბაზში შეიყვანა.



მარვინ დევისი

### თემურ ბენდიაშვილი

პროფესიით ფიზიკოსმა თემურ ბენდიაშვილმა რაგბის თამაში საკმაოდ გვიან დაიწყო. მან სამეცნიერო მოღვაწეობა უეცრად მიატოვა. გადაწყვეტილება მყისიერად მიიღო და მთელი ცხოვრება ოვალური ბურთით თამაშს მიუძღვნა. მისი პირველი და ბოლო გუნდიც თბილისის „ლოკომოტივია", რომელშიც ჯერ მარბიელად ირჯებოდა, მერე კი მწვრთნელი გახდა და დღემდე რკინიგზელთა დამრიგებელია. „ლოკომოტივს" თუ რაიმე მნიშვნელოვანი და ხელშესახები მიღწევა აქვს, ყველა თემურ ბენდიაშვილის სახელს უკავშირდება.

ის ქართული რაგბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მარბიელი (№8) იყო. შეუპოვარი, სწაფი, სხარტი აზროვნებით, ხშირად იღებდა ორიგინალურ, მოწინააღმდეგისთვის სრულიად მოულოდნელ გადაწყვეტილებებს, შეეძლო ფეხით თამაშიც. უთამაშია საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც.

ჯერ კიდევ მოთამაშეობისას მწვრთნელობას მიჰყო ხელი და მთელი თავისი ნიჭი და უნარი „ლოკომოტივს" მოახმარა. სწორედ მისი ძალისხმევის დამსახურებაა, ეს გუნდი დღესაც რომ არსებობს და ქართულ რაგბიში ყველაზე ტიტულოვანია. რკინიგზელებს არაერთხელ ჰქონია ძნელბედობის ჟამი, მაგრამ თემურ ბენდიაშვილს ის არასდროს მიუტოვებია და მუდამ საჭირო რელსებზე აყენებდა. „ლომომოტივის" თავკაცი გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ნაკრების მწვრთნელიც იყო.

### ილია ზედგინიძე

ილია ზედგინიძე რაგბიში წყალბურთიდან მივიდა. ის დიდი ხნის განმავლობაში მარბიელად თამაშობდა, თუმცა სარაგბო კარიერის ბოლო ოთხი წელიწადი ეროვნულ ნაკრებში მეორეხაზში გაატარა. თბილისის „უნივერსიტეტიდან" მან 2000 წელს საფანგეთს მიაშურა და იქ საკმაოდ ბევრ კლუბში გაისარჯა. ზედგინიძემ 11 წელიწადში ექვს ფრანგულ და ერთ იტალიურ გუნდში მოასწრო თამაში. ესენია: „ბეზიე", „ტულონი", „როვიგო", „ორლეანი", „ექსი", „ოში" და „კარკუირანი".

ზედგინიძემ მსოფლიოს თასის სამ გათამაშებაში იასპარეზა „ბორჯღალოსნების" შემადგენლობაში 2003, 2007 და 2011 წლებში. ახალ ზელანდიაში გამართული მატჩები ბოლო იყო მის სპორტულ კარიერაში. ეროვნულ ნაკრებში 64 კეპი მოიხვეჭა და გუნდს 65 ქულა მოუტანა. ამჟამად ილია ზედგინიძე საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტია.

**გიორგი ბარბაქაძე**
**ბესიკ ჯანგავაძე**

ამბები



მარჯვნივ დავით კაჭარავა

## ქართველები რუსულ ბარბაროსებში

რუსული რაგბის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით 15 სექტემბერს, მოსკოვში "სლავას" სტადიონზე ყველა ვარსკვლავთა მატჩი გაიმართება, სადაც რუსეთის ნაკრები ("დათვები") ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ლეგიონერთა ნაკრებს დაუპირისპირდება ("ბარბაროსებს").

"ბარბაროსთა" რიგებში ერთბაშად 5 ქართველი მორაგბეა გამოძახებული: **ირაკლი კვანტიძე, ზურაბ ერისთავი, პავლე კვერნაძე** (ყველა -სპარტაკი), **რატი ურუშაძე** და **დავით კაჭარავა** (ორივე-ენისეი). სამწვრთნელო შტაბში **დარენ მორისთან** და **ალექსანდრ პერიუხინთან** ერთად იქნება **მამუკა ლოსაბერიძეც.**

რუსეთის ნაკრების ღირსებას დაიცავს ქართული წარმოშობის მორაგბე **გრიგოლ ცნობილაძე.**

## რაგბის წესებში ცვლილებაა

რაგბის საერთაშორისო ფედერაციამ (IRB) საბოლოოდ დააკანონა ახალი წესი, რომლის თანახმადაც, თამაშის დროს შექმნილი სადავო მომენტისას მატჩის მთავარ მსაჯს ექნება უფლება, სტადიონზე დამონტაჟებულ დიდ მონიტორზე განმეორებით ნახოს სადავო სიტუაცია და თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

მიუხედავად ამ კანონის ამოქმედებისა, ვიდეო რეფერი მაინც შეინარჩუნებს თავის ფუნქციას და თუ სტადიონზე ტექნიკური პრობლემების გამო ვერ მოხერხდება მომენტის გამეორება, ან დიდ ეკრანზე ჩვენების შედეგად გამოსახულება ბუნდოვანი იქნება - ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას სწორედ ვიდეო მსაჯი მიიღებს.

ახალი წესი უკვე დაეგზავნათ ყველა ქვეყნის რაგბის ფედერაციებს და ძალაშიც შევიდა. ასე რომ, მიმდინარე ოთხი ერის გათამაშებაში ეს ნოვაცია განხორციელდება.

## ფლუდით ფრანგული გრანდები დაინტერესდნენ



ბურთით ტობი ფლუდი

ინგლისის ნაკრების მგეზავის, **ტობი ფლუდის** გადაბირებით ერთბაშად სამი ფრანგული გრანდია დაინტერესებული. "ტულონი" დიდი ხანია ეძებს **ჯონი ვილკინსონის** ღირსეულ შემცვლელს, რადგან „ვილკო", სავარაუდოდ, სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებაზე გააკეთებს განცხადებას.

„კლერმონმა" ჯერჯერობით ვერ მოახერხა კონტრაქტის გახანგრძლივება გუნდის ძირითად მგეზავ **ბრუკ ჯეიმსთან** და მგეზავის პოზიცია შეიძლება პრობლემატურად ექცეს, ხოლო „ტულუზის" ხელმძღვანელობას სურს, საკუთარ ვარსკვლავურ შემადგენლობას, **ლიონელ ბოქსის** და **ლუკ მაკალისტერს** ტობი ფლუდიც დაუმატოს და უფრო გაზარდოს შიდა კონკურენცია.

შეგახსენებთ, რომ 27 წლის ფლუდი ამჟამად ინგლისური „ლესტერის" ღირსებას იცავს და კლუბთან მოქმედი კონტრაქტი ზამთარში უმთავრდება, თუმცა მოთამაშე აღარ აპირებს ამ გუნდთან თანამშრომლობის გაგრძელებას.

## ტომ კროფტი სეზონს გამოტოვებს

ინგლისის ნაკრებისა და „ლესტერის" წამყვანმა მორაგბემ **ტომ კროფტმა** მუხლის მყესები გაიწყვიტა და მისთვის მიმდინარე სეზონი ნაადრევად დასრულდა.

27 წლის სპორტსმენმა მძიმე ტრავმა ინგლისის პრემიერლიგის პირველი ტურის მატჩში მიიღო „ვორსტერის" წინააღმდეგ და გუშინ სასწრაფო ოპერაცია გაიკეთა. შეგახსენებთ რომ გასული სეზონის ნახევარი კროფტმა კისრის ტრავმის გამო გამოტოვა.

*„ტომი ამჯერადაც დაიმტვრა. ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია როგორც ჩვენთვის, ასევე ინგლისის ნაკრებისათვის, ახლა მთავარია სარეაბილიტაციო პერიოდმა წარმატებით ჩაიაროს და კროფტი სრულიად ჯანმრთელი დაგვიბრუნდეს 2014-15 წლების სეზონში"* - განაცხადა პრესკონფერენციაზე „ლესტერის" მწვრთნელმა **რიჩარდ კოკერილმა.**

**გიორგი ბარბაქაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ნუ ნერვიულობთ, მეტ წავაგებ

**ესპანელი რაფაელ ნადალი ფანტასტიკურ სეზონს ატარებს პროფესიულ ტურში დაბრუნების შემდეგ. ამერიკის ღია პირველობაზე გამარჯვება მისი მეათე ტიტული იყო ამ წელს. გრუნტზე ჩვეულებრივი წარმატებების გარდა, რაფაელი დაუმარცხებელია ჰარდზე. ამ ზაფხულზე მან მოიგო ამერიკული სერიის ტურნირები, გაიმარჯვა მონრეალისა და ცინცინატის მასტერსებზე. სხვათა შორის, ეს არის მესამე შემთხვევა ისტორიაში, როცა ერთმა ჩოგბურთელმა ზაფხულში სამი მთავარი ამერიკული ტურნირი მოიგო. ადრე ეს შეძლეს პატრიკ რაფტერმა და ენდი როდიკმა.**
**და კიდევ ერთი მიღწევაა აღსანიშნავი. ნადალი პირველი ჩოგბურთელია ისტორიაში, ვინც ზედიზედ ცხრა წლის განმავლობაში ახერხებს სეზონში "დიდი სლემის" მინიმუმ ერთი ტურნირის მოგებას. შეგახსენებთ, რომ ესპანელმა პირველ დიდ გამარჯვებას 2005 წელს მიაღწია, როცა საფრანგეთის ღია პირველობა მოიგო.**
**ნიუ იორკში ტრიუმფის შემდეგ, ნადალმა ილაპარაკა ამ ტიტულის მნიშვნელობაზე, ტრავმის შემდეგ დაბრუნების სირთულეებზე და სამომავლო გეგმებზე...**

**- როგორ მოახერხეთ მესამე სეტის მოგება?**

- ეს იყო უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი. ნოვაკი იმ მომენტისთვის ბრწყინვალედ თამაშობდა. როცა ის ასეთ დონეზე მოქმედებს, წინ ვერავინ დაუდგება. ვგრძნობდი, რომ არ შეიძლებოდა მისი შორს გაშვება. თუ მას კიდევ ერთი ბრეიკის შესრულების საშუალებას მივცემდი, უნდა გამოვთხოვებოდი მესამე სეტის მოგებაზე ფიქრს. ამიტომაც, უბრალოდ ვცადე ყოველი ბურთისთვის მებრძოლა, კონცენტრირებული ვყოფილიყავი მატჩის მნიშვნელოვან ეპიზოდებზე და დავლოდებოდი საკუთარ შანსს. და ეს შანსი მოვიდა, თუმცა მანამდე, ჩემს მოწოდებაზე იყო 0:40. თავიდან ეისი შევასრულე, შემდეგ მარცხნიდან ხაზის გასწვრივ დარტყმა გამომივიდა... შემდეგ გეიმში კი ბრეიკი შევასრულე.

**- ნახევარ წელზე მეტი გაატარეთ თამაშგარეთ. რამდენად ძლიერი იყო გამარჯვებებისადმი შიმშილის გრძნობა?**

- ასეთი გრძნობა არ მქონია. არასოდეს მიფიქრია, რომ ამდენ მატჩს მოვიგებდი - მთელი ეს მასტერსები, ორი სლემი... ჩემთვის ეს ოცნებაზე მეტი იყო, ამიტომაც ვარ ბედნიერი. ძალიან გამიმართლა, რომ ყველაფერი სწორედ ასე მოხდა. მართალია, ძალიან ბევრს ვმუშაობდი, მაგრამ ამდენი გამარჯვებისთვის იღბალიც საჭიროა.

**- ამაყობთ იმის გამო, რომ ისევ და ისევ ახერხებთ საკუთარი თამაშის გაუმჯობესებას?**

- ამას არ აქვს დიდი მნიშვნელობა. მე უფრო ის მახარებს, რომ ამდენმა შრომამ შედეგი მოიტანა.

**- "მეიჯორებზე" 13 გამარჯვებით თქვენ შემდეგი ხართ სიაში როჯერ ფედერერისა და პიტ სამპრასის შემდეგ. რას ფიქრობთ ამაზე? შეგიძლიათ ამ ლეგენდების გასწრება? თქვენ ხომ სულ რაღაც 27 წლის ხართ.**

- მე უკვე მივაღწიე იმას, რაზეც ვერასდროს ვიოცნებებდი. ამას ჯერ კიდევ მაშინ ვამბობდი, როცა გაცილებით ნაკლები მქონდა მოგებული. მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: გავაგრძელებ ბევრ მუშაობას. მინდა ისევ ვითამაშო დიდ ტურნირებზე და მივაღწიო გამარჯვებებს.

**- თქვენ გაქვთ გამარჯვებები მელბურნში, ლონდონში, ნიუ იორკში, მაგრამ ამას გარდა, რვაჯერ აიღეთ მთავარი პრიზი პარიზში. გულშემატკივრებს დღემდე მიაჩნიხართ გრუნტის სპეციალისტად. თქვენთვის მნიშვნელოვანია იმის დამტკიცება, რომ ჰარდზეც ერთ-ერთი საუკეთესო ხართ?**

- მე ისედაც ვიცოდი, რომ ჰარდზე კარგად ვთამაშობ. იმის გაცნობიერება, საუკეთესო ვარ თუ უარესი, გავლენას არ ახდენს ჩემს კარიერაზე. ამიტომაც, მნიშვნელობა არ ჰქონდა, მოვიგებდი თუ არა ამ ტურნირს.

**- მაგრამ თქვენ არასოდეს ყოფილხართ ასეთი წაუგებელი ჰარდზე, როგორც წელს.**

- ნუ ნერვიულობთ. მე წავაგებ. ოდესღაც ყველა მარცხდება.

**- მუხლებთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად, წელს დაუმარცხებელი ხართ. როგორ მოხდა ეს? რა შეცვალეთ თქვენს თამაშში?**

- განსაკუთრებული არაფერი შემიცვლია. უბრალოდ, ახლა კარგად ვთამაშობ. ეს არის მთავარი მიზეზი. გარდა ამისა, უფრო აგრესიულად დავიწყე მოქმედება. ვცდილობ სწორედ ასეთ სტილში ვიმოქმედო, რადგან ყველაფერი კარგად გამომდის, საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ. თუ თქვენ ბევრს ცდებით და საკუთარ თავში დარწმუნებული არ ხართ, გაგიჭირდებათ აგრესიულად მოქმედება.

**- ჯოკოვიჩის მწვრთნელმა ერთხელ განაცხადა, რომ ჩოგბურთში ყველაზე რთულია ნადალის პარიზში დამარცხება. ახლა შეიძლება მისი სიტყვების შეცვლა - ყველაზე დიდი სირთულეა ნადალის დამარცხება. რა არის თქვენთვის მომავალი წლის გამოწვევა? იქნებ, ნადალს "დიდი სლემის" შეგროვება სურს?**

- არა. ახლა ჩემი ამოცანაა – სეზონის კარგად დასრულება, თამაშის გაგრძელება პოზიტიური შეგრძნებებით და შემდეგ, კარგად მომზადება მომავალი სეზონისთვის. ეს წელი დაუვიწყარი გამოვიდა, ამიტომაც ვაგრძელებ მუშაობას და ყველანაირი შანსის გამოყენებას. მიმაჩნია, რომ ერთ წელიწადში ოთხივე "სლემის" მოგება დღეს არავის შეუძლია. ეს ჩემი აზრია. როცა ოდნავ ვარდება თამაშის დონე, აუცილებლად წააგებ როჯერთან, ნოვაკთან ან ენდისთან. ჩემი მიზანია გავაგრძელო თამაში, მივიღო სიამოვნება და ვიყო ჯანმრთელი. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

**- ფინალამდე ამბობდით, რომ გერჩივნათ ტიტულისთვის ვინმე სხვასთან გებრძოლათ და არა ნოვაკთან. ამის გამო, ეს ჩემპიონობა უფრო განსაკუთრებული გახდა?**

- ბოლოს და ბოლოს, მთავარია, რომ მე მაქვს ეს ტიტული. დღეისთვის, ნებისმიერ დიდ მეტოქესთან გამარჯვება ტიტულს განსაკუთრებულს ხდის. ისე კი შემიძლია დადებითი პასუხი გაგცეთ კითხვაზე: გამარჯვება მართლაც უფრო მნიშვნელოვანია, როცა ფინალში ისეთ მეტოქეს ამარცხებ, როგორიც ნოვაკია. მაგრამ თუ მკითხავთ, ვის ვისურვებდი მოწინააღმდეგედ შემდეგ ფინალში, გეტყვით, რომ არ მინდა ეს ჯოკოვიჩი იყოს. მე არ ვგავარ იმ სულელს, რომელიც ისურვებდა საუკეთესოთა შორის საუკეთესოსთან შეხვედრას. არ მინდა უძლიერესებთან თამაში. მინდა უფრო სუსტებს შევხვდე.

**- 3.6 მილიონი დოლარი – ეს არის სარეკორდო თანხა, რომელიც სამი ტურნირის მოგებისთვის მიიღეთ. რას ფიქრობთ ამაზე? აპირებთ თანხის ნაწილი დახარჯოთ ინდოეთში სკოლების მშენებლობაზე? თქვენ ხომ ამით ხართ დაკავებული.**

- სინამდვილეში, ჩვენ უფრო მეტი პროექტი გვაქვს, ვიდრე ინდოეთში სკოლების მშენებლობა. ბევრი გეგმა გვაქვს ესპანეთში, და საერთოდაც, ჩემი ფონდი სულ უფრო მეტად ვითარდება. ამ საქმეში აქტიურად ვარ ჩართული და სეზონის დასრულების შემდეგ, რამდენიმე საგამოფენო მატჩს ჩავატარებ ფონდის დასახმარებლად. რაც შეეხება საპრიზო თანხებს, კარგია, რომ ჩოგბურთში ამ მხრივ ყველაფერი კარგადაა. ამით სპორტის ჩვენი სახეობა უფრო პოპულარულია. მართლაც დიდი თანხა მივიღე. მხოლოდ მადლობის გადახდა შემიძლია ამერიკული ტურნირების ორგანიზატორებისთვის. ისინი ძალისხმევას არ იშურებენ საპრიზო თანხების გასაზრდელად. თუმცა ამ ფულს სრულად ვერ მივიღებ. გადასახადი ესპანეთში 56 პროცენტს შეადგენს, მაგრამ მაინც დიდი თანხა გამოდის.

**- რამდენად დიდია შემაჯამებელ ტურნირზე მოგების შანსი? დღემდე რატომ არ გაქვთ წლის ბოლო ჩემპიონატი მოგებული?**

- დიახ, ეს სწორედ ის ტურნირია, რომელზეც ადრე არასოდეს მიმართლებდა. არასოდეს მომიგია შემაჯამებელი ჩემპიონატი, რადგან ის ყოველთვის დახურულ ჰარდზე იმართებოდა. ეს ყველაზე რთული საფარია ჩემთვის. დღეს, შესაძლოა, ასეთ კორტზე თამაში აღარ მიჭირს, მაგრამ მაინც ეს ყველაფერი უსამართლობად მიმაჩნია. ეს არის სეზონის დასასრული, წლის ბოლო ტურნირი, სადაც რვა საუკეთესო ჩოგბურთელი იკრიბება. ისინი მთელი წელი თამაშობდნენ დარბაზში, ღია ცის ქვეშ, ჰარდზე, გრუნტზე, ბალახზე... მაგრამ შემაჯამებელი ტურნირი, ყოველთვის რატომღაც სწორედ დარბაზში ჰარდის კორტზე იმართება. რატომ არ შეიძლება ყოველ წელს საფარის შეცვლა? ჩემი აზრით, ასეთი მიდგომა ყველა მოთამაშის შანსებს გაათანაბრებდა.



## ყველაზე დიადი დაბრუნების ისტორია

სეზონის დასაწყისში, როცა რაფაელ ნადალი ფრთხილად ბრუნდებოდა ტურში, ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, რომ ის უკვე ნახევარ წელიწადში იბრძოლებდა მსოფლიოს პირველი ჩოგანის ტიტულისთვის. ბრიტანული პორტალის The Tennis Space-ის მიმომხილველი **მარკ ჰოჯკინსონი** ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე ხმაურიანი დაბრუნების საშუალედო შედეგებს აჯამებს.

*"შეძლებს თუ არა რაფაელ ნადალი, რომელსაც ამ მომენტისთვის "დიდი სლემის" 13 ტურნირი აქვს მოგებული, უფრო მეტი "მეიჯორის" მოგებას და როჯერ ფედერერის რეკორდის დამხობას, რომელიც "დიდ სლემზე" 17 გამარჯვებას უტოლდება?*

*ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ბევრი ფიქრობდა, რომ "სლემებზე" ესპანელის მოგებების ისტორია დასრულებული იყო. მაგრამ ახლა, როლან გაროსზე და ამერიკის ღიაზე ბრწყინვალე გამარჯვებების შემდეგ, ის ერთი ტიტულით ჩამორჩება პიტ სამპრასს და მხოლოდ ოთხი "მეიჯორი" აშორებს როჯერ ფედერერამდე, რომელიც, სავარაუდოდ, ველარ შეავსებს თავის კოლექციას.*

*თუ ნადალის მუხლები ნორმალურ მდგომარეობაში დარჩება, იოლი სავარაუდოა, რომ მინიმუმ კიდევ ორჯერ მოიგებს როლან გაროსის ტიტულს. ასე რომ, მას ექნება 15 გამარჯვება. იმისთვის, რომ შვეიცარიელს გაუთანაბრდეს, რაფას კიდევ ორი ტიტული დასჭირდება მელბურნში, ლონდონში ან ნიუ იორკში.*

*"თუ ის ჯანმრთელი იქნება, იოლად მოიგებს კიდევ ოთხ ან ხუთ "სლემს" - ეს ეჭვგარეშეა. პირადად მე მიმაჩნია, რომ დღეს რაფა თავის საუკეთესო ფორმაში იმყოფება, - მიაჩნია ჯონ მაკინროის. – გასაოცარია ის, თუ როგორ ძლიერ სურს მას მოგება. მსგავსი არაფერი მინახავს. მოდით იმედი ვიქონიოთ, რომ ის ჯანმრთელი დარჩება, რადგან ეს მხოლოდ წაადგება სპორტის ჩვენს სახეობას".*

*შეიძლებოდა ასეთი რამის წარმოდგენა ჯერ კიდევ იანვარში, როცა ნოვაკ ჯოკოვიჩმა ავსტრალიის ღიას ფინალში დაამარცხა ენდი მარეი? მაშინ ბევრი სერიოზულად ფიქრობდა, რომ სწორედ სერბი და შოტლანდიელი დიდი ხნით გაბატონდნენ მსოფლიო ჩოგბურთში.*

*ახლა, ნადალმა ნიუ იორკი მსოფლიოს მეორე ჩოგანის რანგში დატოვა, მაგრამ, დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ის სეზონს მსოფლიოს რეიტინგის პირველ ადგილზე დაასრულებს. მას წლის ბოლომდე არ სჭირდება სარეიტინგო ქულების დაცვა, ასე რომ, რაფა მხოლოდ საკუთარი უპირატესობის გაზრდით იქნება დაკავებული.*

*ჩოგბურთის ისტორიას არასოდეს უნახავს ასეთი დაბრუნება. ნადალის გრანდიოზული გამარჯვებების ფონზე, მას შეიძლება ვაპატიოთ უიმბლდონის პირველ წრეში წაგება, რადგან სხვა დანარჩენ ტურნირზე ის უბრალოდ ბრწყინვალედ გამოვიდა.*

*ნოვაკ ჯოკოვიჩი ჩავიდა ნიუ იორკში და აშშ-ის ღიას სტარტის წინ მოაწყო უგლუტენო დიეტის შესახებ თავისი წიგნის პრეზენტაცია. მისი თქმით, კვების ახალმა სისტემამ და წვრთნებმა შეცვალეს მისი ცხოვრება. თუმცა ახლა სერბ ჩოგბურთელს მოუწევს ისევ შეცვალოს თავისი მიდგომა თამაშის მიმართ, რათა გაუსწორდეს აღორძინებულ ნადალს შემდეგ საჰარდო მეიჯორზე – ავსტრალიის ღიაზე".*

## ნოვაკის გუნდი რაფაზე

სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა და მისი გუნდის წევრებმა კომენტარი გაუკეთეს იმ ფაქტს, რომ **რაფაელ ნადალმა** "დიდი სლემის" ტურნირებზე 13 გამარჯვებას მიაღწია.

*"13 "სლემი" ადამიანისთვის, რომელიც მხოლოდ 27 წლისაა - ეს დაუჯერებელია. ეს არის მიღწევა, რომელსაც პატივი უნდა ვცეთ. ეს ეჭვგარეშეა. მე ადრეც ვამბობდი, რომ ის ერთ-ერთი საუკეთესოა იმათგან, ვისაც ოდესმე უთამაშია ჩოგბურთი. საკმარისია თვალი გადაავავლოთ მის მიღწევებსა და მის ასაკს. მას კიდევ მრავალი წელი შეუძლია თამაში. სხვა არაფრის თქმა არ შემილია", - ამბობს მსოფლიოს პირველი ჩოგანი.*

■ ■ ■

პოლონელმა მწვრთნელმა **ვოიცეხ ფიბაკმა**, რომელიც აშშ-ის ღიას დროს ჯოკოვიჩის გუნდში შევიდა, რაფაელ ნადალისთვის საინტერესო შედარება იპოვნა.

*"როგორც შოპენი იყო დაბადებული იმისთვის, რომ მუსიკა შეექმნა, ნადალი დაბადებულია იმისთვის, რომ საჩოგბურთო მატჩები მოიგოს. ფინალის მსვლელობისას თავში მუდმივად მიჩნდებოდა აზრი იმის შესახებ, რომ გენიოსის მუშაობას ვადევნებდი თვალს",* - განაცხადა პოლონელმა სპეციალისტმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# დღეს ნახევარფინალები იწყება


სერბებს ჯოკოვიჩი გაუძლვება

ამ კვირას, მამაკაცთა ტურნირები არ იმართება, რადგან დაგეგმილია დევისის თასის ნახევარფინალური მატჩები. სწორედ ამ უქმეებზე გაირკვევა ამ ტურნირის ორი ფინალისტი. პრალაში მოქმედი ჩემპიონი ჩეხეთის ნაკრები არგენტინას უმასპინძლებს, ბელგრადში კი სერბეთი კანადას მიიღებს.

არგენტინა შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდა ჩეხეთში (აკლიათ **ხუან მარტინ დელ პოტრო** და **დავიდ ნალბანდიანი**), ამიტომაც, უფრო საინტერესო ბრძოლა ბელგრადშია მოსალოდნელი. სერბებმა და კანადელებმა უძლიერესი შემადგენლობები შეკრიბეს - ერთ მხარეს არის **ნოვაკ ჯოკოვიჩი**, მეორე მხარეს - **მილოშ რაონიჩი**, ასევე საინტერესოა წყვილთა თამაშის ოსტატების - **ნენად ზიმონჯიჩისა** და **დანიელ ნესტორის** დაპირისპირება.

გუშინ, პრალასა და ბელგრადში გაიმართა წილისყრა და დადგინდა თამაშების განრიგი:

**ჩეხეთი-არგენტინა**

**13 სექტემბერი. პარასკევი**
რადეკ შტეპანეკი-ხუან მონაკო
ტომაშ ბერდიხი-ლეონარდო მაიერი

**14 სექტემბერი. შაბათი**
როსოლი/ვესელი-ბერლოკი/სებალიოსი

**15 სექტემბერი. კვირა**
ტომაშ ბერდიხი-ხუან მონაკო
რადეკ შტეპანეკი-ლეონარდო მაიერი

**სერბეთი-კანადა**

**13 სექტემბერი. პარასკევი**
ნოვაკ ჯოკოვიჩი-ვაშეკ პოსპიშილი
იანკო ტიპსარევიჩი-მილოშ რაონიჩი

**14 სექტემბერი. შაბათი**
ბოჟოლიაკი/ზიმონჯიჩი-ნესტორი/პოსპიშილი

**15 სექტემბერი. კვირა**
ნოვაკ ჯოკოვიჩი-მილოშ რაონიჩი
იანკო ტიპსარევიჩი-ვაშეკ პოსპიშილი

# ერთი მიდის, მეორე ბრუნდება

მსოფლიოს ყოფილმა მეხუთე ნომერმა, რუსმა **ანა ჩაკვეტაძემ** პროფესიული კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა.

*„საკუთარ თავს ველარ ვხედავ პროფესიულ ჩოგბურთში, ამიტომაც მზად ვარ გამოვაცხადო: ჩემი კარიერა დასრულებულია. რა თქმა უნდა, ეს საკმაოდ რთული გადაწყვეტილებაა, ოდნავ ვაწვალე საკუთარი თავი, მაგრამ, ახლა, საბოლოოდ გონს მოვეგე. მივხვდი, რომ უკან დაბრუნება შეუძლებელია. მე ზურგის ქრონიკული ტრავმა მაქვს. ასე რომ, გაჩერება და ახალი ცხოვრების დაწყება გადავწყვიტე“*, - ამბობს 26 წლის ჩაკვეტაძე.

რუს ჩოგბურთელს კარიერაში WTA-ის რვა ტურნირი აქვს მოგებული, „დიდი სლემის“ ჩემპიონატებში კი საუკეთესო შედეგი 2007 წელს ჰქონდა, როცა აშშ-ის ღიას ნახევარფინალში გავიდა.

■ ■ ■

24 წლის ჩეხმა ჩოგბურთელმა **ნიკოლ ვაიდიშოვამ** ვარჯიშები განაახლა და უახლოეს პერიოდში აპირებს პროფესიულ ჩოგბურთში დაბრუნებას, - წერს ჩეხური პრესა. ვაიდიშოვამ კარიერა მრავალრიცხოვანი ტრავმების გამო 2010 წელს დაასრულა.


ანა ჩაკვეტაძე

ნიკოლი მსოფლიოს ყოფილი მეშვიდე ნომერია. მას უთამაშია როლან გაროსისა და ავსტრალიის ღიას ნახევარფინალებში.

ველოსპორტი

# არმსტრონგს ტყუილის უფლება აქვს


ლენს არმსტრონგი

სკანდალურად ცნობილ ამერიკელ ველომრბოლს **ლენს არმსტრონგს** ჰქონდა თავის წიგნებში ტყუილის უფლება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მორისონ ინგლენდის საოლქო სასამართლომ საქმის მოსმენის შემდეგ, რომელიც საკრამენტოში გაიმართა. მოსამართლემ უარყო მკითხველთა სარჩელი, რომლებიც სპორტსმენს თაღლითობაში ადანაშაულებდნენ. ამის შესახებ წერს USA Today.

სასამართლომ დაადგინა, რომ თუ არმსტრონგის წიგნებში ყალბი და გაურკვეველი ფაქტებია მოყვანილი, ის ამის გამო პასუხს არ აგებს, რადგან წიგნის შინაარსი დაცულია აშშ-ის კონსტიტუციით, რომელიც სიტყვის თავისუფლების გარანტიას იძლევა.

მკითხველთა ჯგუფმა არმსტრონგს სასამართლოში 2013 წლის იანვარში უჩივლა. მკითხველები მოითხოვდნენ 5 მილიონი დოლარის კომპენსაციას მცდარი ფაქტებისთვის, რომლებსაც სპორტსმენის წიგნები შეიცავდნენ, მათ შორის, მისი ავტობიოგრაფია - „ჩემი ცხოვრებაში დაბრუნება“. თავის წიგნებში ლენსი წერდა, რომ არასოდეს მიუღია დოპინგი და გამარჯვებები უდიდესი შრომის შედეგად მოიპოვა.

მკითხველები ირწმუნებოდნენ, რომ არმსტრონგის განცხადება იყო ტყუილი რეკლამის ფორმა, რათა აეძულებინა ეყიდათ წიგნები მათ, ვისაც სურს წარმატებას მიაღწიოს დოპინგის გარეშე. სპორტსმენის ადვოკატები მიუთითებდნენ იმაზე, რომ მკითხველები, რომლებმაც სარჩელი შეიტანეს, ვერ წარმოადგენდნენ მტკიცებულებას იმაზე, რომ მათ წიგნების შეძენისკენ სწორედ არმსტრონგის სიტყვებმა უბიძგეს.

კრივი

# მეტოქე კენჭისყრით

სუპერმძიმე წონაში უკრაინელი მოკრივის **ვიტალი კლიჩკოს** შემდეგი მეტოქე გაირკვევა არჩევნების მეშვეობით. შესაბამისი პროცედურა მსოფლიოს საკრივო საბჭოს (WBC) ყრილობაზე გაიმართება, თავად ყრილობას კი 3-9 ნოემბერს ტაილანდი უმასპინძლებს.

WBC-ის პრეზიდენტმა **ხოსე სულეიმანმა** განაცხადა, რომ კლიჩკო უნდა შეხვდეს მის ტიტულზე აუცილებელ პრეტენდენტს, კანადელ **ბერმეინ სტივერნს**. თავად კლიჩკომ კი არ გამორიცხა ვარიანტი, რომლის მიხედვითაც მისი მეტოქე იქნება ბრიტანელი **დევიდ ჰეი**, რომელიც ადრე ვიტალის უმცროს ძმას - **ვლადიმერს** შეხვდა და დამარცხდა.

*„ჩვენ ჩავატარებთ კენჭისყრას. როცა დევიდ ჰეიზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ვიტალის ტიტულს ჰყავს აუცილებელი პრეტენდენტი - სტივერნი. მიმაჩნია, რომ ყრილობა მას WBC-ის ტიტულისთვის ბრძოლის შესაძლებლობას მისცემს“*, - აცხადებს სულეიმანი.

უფრო ადრე, ძმები კლიჩკოების პრომოუტერული კომპანია K2 Promotions-ის დირექტორმა **ტომ ლეფლერმა** განაცხადა, რომ მომავალი ორთაბრძოლა ბოლო იქნება 42 წლის ვიტალი კლიჩკოს კარიერაში.


ვიტალი კლიჩკო

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ბელგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ტუბეკე-ანტვერპენი | 0:2 |

**პორტუგალია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბეირა მარი-პორტიმონენსე | 0:1 |

**დანია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰორსენსი-ვეილე | 2:3 |

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სუნდსვალი-იორგრიტე | 1:1 |
| იონჩოპინგი-ლიუნგსკილე | 0:1 |
| ერებრო-ასირისკა | 2:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| მიუპა-იარო | 1:0 |
| იუვიასკიულა-ვაასა | 1:3 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| ფილკირი-ჰაფნარი | 0:1 |
| ვიკინგური-რეიკიავიკი | 0:1 |
| კეფლავიკი-აკრანესი | 5:4 |
| სტიარნანი-ტორი | 3:1 |

**კალათბურთი**

**ევრობასკეტი**

| | |
|---|---|
| ფინეთი-ხორვატია | 63:88 |
| საბერძნეთი-ესპანეთი | 79:75 |
| სლოვენია-იტალია | 84:77 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ატლანტი | 4:3 |
| ავტომობილისტი-ლოკომოტივი | 0:4 |
| ბარისი-სკა | 2:5 |
| იუგრა-სევერსტალი | 3:1 |
| აკ ბარსი-მეტალურგი (მ) | 3:2 |
| ვიტიაზი-ს. იულიაევი | 2:3 |
| ტორპედო-ნეფტეხიმიკი | 0:2 |
| სპარტაკი-ცსკა | 3:2 |
| დინამო (მნ)-ლევი | 1:3 |
| დონბასი-დინამო (რ) | 2:4 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ბლუზი-ტპს | 4:3 (ო) |
| სეიპა-კალპა | 3:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ლიტვინოვი-ზლინი | 2:3 (ბ) |
| პლზენი-ვიტკოვიცე | 5:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ციურიხი-ფრიბურგი | 2:0 |

**ჩოგბურთი**

**WTA. კვებეკი**

| | |
|---|---|
| დევისი-ჰლავაჩკოვა | 6:1, 2:6, 6:3 |
| მატეკი-ტომლიანოვიჩი | 5:7, 6:3, 1:4 უარი |
| ლუჩიჩი-საფაროვა | 6:7, 6:7 |

**WTA. ტაშკენტი**

| | |
|---|---|
| მოისბურგერი-ტორრო ფლორი | 3:6, 0:6 |
| კადანტუ-გოვორცოვა | 3:6, 2:6 |
| მინელა-ბურნეტი | 7:6, 7:5 |
| იოვანოვსკი-ვოსკობოევა | 1:6, 6:4, 7:6 |

TV პროგრამა

**13 სექტემბერი. პარასკევი**

**I არხი**

22:55 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-ლატვია. სლოვენია (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ფეიენოორდი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ბორუსია (მ).
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-უტრეხტი.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ვერდერი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 გერმანიის ჩემპიონატი. V ტური. ჰერტა-შტუტგარტი (LIVE).
00:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვეენი-აიაქსი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. შოტლანდია-ბელგია.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ბრუკლინი.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
17:15 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ტულონი-ლესტერი.
19:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ლოს ანჯელეს ლეიკერსი. 1986-87 წლები.
20:00 ფეხბურთი. ევროპის სუპერთასი. ბაიერნი-ჩელსი.
23:00 NBA ACTION.
00:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ბრუკლინი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა.
12:45 სპორტ NEWS
13:15 ძიუდო. მსოფლიო ჩემპიონატი. VII დღე.
18:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი. სერბეთი-კანადა (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 15 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 14 | 30 | (მზე) |
| ბათუმი | 17 | 28 | (მზე) |
| ფოთი | 16 | 28 | (მზე) |
| ზუგდიდი | 13 | 30 | (მზე) |
| გორი | 11 | 27 | (მზე) |
| თელავი | 15 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| სიღნაღი | 14 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბაკურიანი | 5 | 20 | (მზე) |
| ბორჯომი | 9 | 26 | (მზე) |
| მესტია | 5 | 22 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2055 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6595 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6250 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0791 |

ავტომოტოსპორტი

# უქმეების ანონსი

უახლოეს უქმეებზე ფორმულა 1-ის ეტაპი არ ტარდება, თუმცა ავტომოტოსპორტის მოყვარულებს მოსაწყენად არ ეცლებათ, რადგან იმართება რბოლები მოტოგრანპრისა და რალიში.

მოტოგრანპრიში სან მარინოს ეტაპია დაგეგმილი, რომელიც ხსნის ამ ჩემპიონატის საშემოდგომო ნაწილს. **მარკ მარკესი** 30 და 39 ქულით უსწრებს **დანი პედროსასა** და **ხორხე ლორენსოს** და მისთვის აუცილებელი არ არის ყველა რბოლაში მოგება. მაგრამ, მაინც საინტერესოა, შეეცდება თუ არა ახალგაზრდა ესპანელი ლორენსოსთვის რევანშის აღებას სილვერსტოუნში წაგების გამო.

**სან მარინოს გრანპრი**

**ჩატარების ადგილი:** მიზანო (იტალია)
**წრის სიგრძე:** 4226 მ
**წრის რეკორდი:** 1:33,906 (ხორხე ლორენსო, 2011)

**საერთო ჩათვლა**

1. მარკესი (Honda) - 233 ქულა
2. პედროსა (Honda) - 203
3. ლორენსო (Yamaha) - 194
4. როსი (Yamaha) - 156
5. კრატჩლოუ (Yamaha) - 136
6. ბრადლი (Honda) - 113
7. ბაუტისტა (Honda) - 103
8. დოვიციოზო (Ducati) - 96

**უქმეების განრიგი**

13 სექტემბერი, 11:55 - I პრაქტიკა
13 სექტემბერი, 16:05 - II პრაქტიკა
14 სექტემბერი, 11:55 - III პრაქტიკა
14 სექტემბერი, 16:10 - კვალიფიკაცია
15 სექტემბერი, 16:00 - რბოლა

■ ■ ■

მოკლედ, მოტოგრანპრიში ჯერ ისევ დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი, სამაგიეროდ, ნელ-ნელა უნდა მოემზადოს ზეიმისთვის **სებასტიან ოჟიე**. რალის მსოფლიოს ჩემპიონატში ყველა მისი კონკურენტი დიდი მანძილით ჩამორჩა და სასურველი სცენარის შემთხვევაში, ფრანგს უკვე კვირას შეუძლია ჩემპიონობის გაფორმება.

**ავსტრალიის რალი**

**შტაბი:** კოფს-ჰარბორი (ავსტრალია)
**საფარი:** ღორღი
**სპეცმონაკვეთების რაოდენობა:** 22
**დისტანცია:** 352.36 კმ

**საერთო ჩათვლა**

1. ოჟიე (Volkswagen) - 184 ქულა
2. ნოივილი (Ford) - 109
3. ლატვალა (Volkswagen) - 98
4. სორდო (Citroen) - 96
5. ჰირვონენი (Citroen) - 88
6. ლოები (Citroen) - 68
7. ოსტბერგი (Ford) - 67
8. პროკოპი (Ford) - 49

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

europe-bet.com
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუპერმატჩი ლიუბლიანაში

**გუშინ, ევრობასკეტზე მთლიანად ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი გაიმართა. საბერძნეთმა და ესპანეთმა სუპერშეხვედრა შემოგვთავაზეს, რის შემდეგაც, ბერძნებმა გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა.**

| | |
|---|---|
| **საბერძნეთი** | **79** |
| 16:26, 25:12, 11:19, 27:18 | |
| **ესპანეთი** | **75** |

ს: სპანულისი (20), კაიმაკოგლუ (11+5 მოხსნა), ბურუსისი (10), პრინტეცისი (10+5 მოხსნა).
ე: ფერნანდესი (20+4 პასი), მ. გასოლი (20+5 მოხსნა), კლავერი (9+11 მოხსნა+2 დაფარება).
**ორქულიანები:** 12/33 (36,4%) - 17/35 (48,6%)
**სამქულიანები:** 9/20 (45,0%) - 8/20 (40,0%)
**საჯარიმოები:** 28/38 (73,7%) - 17/18 (94,4%)
**მოხსნები:** 28-34. **პასები:** 13-15. **შეცდომები:** 6-17.

**გადამწყვეტი მომენტი:** საფინალო სირენამდე ოთხი წუთითა და ცხრა წამით ადრე, **იანის ბურუსისმა** ორი ზუსტი საჯარიმოთი თავისი გუნდი დააწინაურა - 66:64. მანვე ესპანელთა საპასუხო შეტევაში **სერხიო როდრიგესს** დაუფარა და იქვე თავისიანების იერიში ზუსტი ტყორცნით დაასრულა - 68:64 სირენამდე სამი წუთითა და 31 წამით ადრე.

**მატჩის გმირი:** საბერძნეთმა მეორე და მეოთხე მეოთხედში დაჩაგრა ესპანეთის ნაკრები. ორივე მეოთხედში ბერძნების რიგებში გამორჩეული იყო **ვასილის სპანულისი**. საბოლოოდ, მან თავის გუნდში ყველაზე მეტი ქულა (20) მოიპოვა, რასაც სამი პასი და ოთხი მოხსნა დაუმატა.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ესპანეთის ნაკრებმა თამაშიდან უკეთესი პროცენტით ისროლა, თითქმის არ ცდებოდა საჯარიმოს ხაზიდან, მაგრამ ბერძნებმა კარგად გამოიყენეს ესპანელების 17 შეცდომა (19 ქულა მოიპოვეს), თან შედეგიანად ითამაშეს მისმა სათადარიგო მოთამაშეებმა.

საბერძნეთისა და ესპანეთის მატჩი შემთხვევით არ მიიჩნეოდა გუშინდელი დღის ცენტრალურ შეხვედრად. გარდა იმისა, რომ მოედანზე გავიდნენ ევროპული კალათბურთის გამორჩეული გრანდები, თამაშის ფასიც ძალიან მაღალი იყო - საბერძნეთი მეორე ეტაპზე ნული მოგებით გადავიდა და გუშინდელ მატჩში წაგების შემთხვევაში, ძალიან ირთულებდა პლეი ოფში გასვლის შანსს.

მიუხედავად ამისა, თამაშის სასტარტო მონაკვეთმა აჩვენა, რომ მოგება უფრო მეტად ესპანეთს სურდა. ისევე, როგორც წინა მატჩებში, ესპანელები საიმედოდ და აგრესიულად თამაშობდნენ დაცვაში. ბერძნების ნებისმიერი პოზიციური შეტევა წარუმატებლად სრულდებოდა, მცველები **ზისისი** და **სპანულისი** თავიანთი იერიშებისას იბნეოდნენ და ქულებს, ძირითადად, ბურუსისი და **პრინტეცისი** აგროვებდნენ.

საბერძნეთი 5:10 ჩამორჩა. ესპანეთი არა მხოლოდ დაცვაში ყოჩაღობდა, არამედ შეტევაშიც. ისე ჩანდა, რომ მოქმედი ჩემპიონისთვის ქულების დაგროვება პრობლემას არ წარმოადგენდა - ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ჩააგდეს სამქულიანები **ფერნანდესმა და კალდერონმა**, შემდეგ იმავე ფერნანდესს სამქულიანი შეტევა ჰქონდა... საბერძნეთს პირველ მეოთხედში ბოლო მოუღო **სლუკასის** არასპორტულმა ჯარიმამ **ლიულზე**. „რეალის" მცველმა ორი საჯარიმო გამოიყენა, შემდეგ შეტევაში კი **ვიქტორ კლავერმა** სამქულიანი გაუშვა ბერძნების კალათში - 24:14.

ესპანელთა წარმატების უნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო **მარკ გასოლი**. ჯერ კიდევ პირველ მეოთხედში ის ცენტრალური ფიგურა გახლდათ ესპანელთა ტაქტიკურ სქემებში. „მემფისის" ცენტრი მოხსნებს აგროვებდა დაცვაშიც და შეტევაშიც, გარდა ამისა, ლამაზი გადაცემებით ამარაგებდა პარტნიორებს. მეორე მეოთხედის დასაწყისში, ესპანეთი იგებდა მოხსნებში - 15:6. ამ დროისთვის გასოლს უკვე ცვლიდა **ხავი რეი**.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ სწორედ მარკის გასვლამ იმოქმედა ნეგატიურად ესპანეთის თამაშზე, მაგრამ ბერძნებმა თანდათან ანგარიშის შემცირება დაიწყეს. **ანდრეა ტრინკიერი** დროულად მიხვდა, რომ მის გუნდს პოზიციურ შეტევაში ბევრი არაფერი გამოსდიოდა და თავის შეგირდებს დავალება მისცა - პირველივე შესაძლებლობისთანავე შორიდან ესროლათ. მით უმეტეს, რომ პირველ მეოთხედში დამაჯერებელი თამაშის შემდეგ, ესპანეთმა მოადუნა კონცენტრაცია, რითაც მეტოქემ კარგად ისარგებლა. შეტევების გათამაშებისას, ესპანეთი ცდილობდა ფარქვეშიდან სროლამდე მიეყვანა საქმე, მაგრამ ამან არ გაამართლა. ესპანეთის 10 შეცდომა საბერძნეთის 10 ჩაქრად გადაიქცა.

**ბრამოსმა**, ზისისმა, **კაიმაკოგლუმ**, ბურუსისმა, სპანულისმა (ორჯერ) და ისევ კაიმაკოგლუმ მეორე მეოთხედში შვიდი სამქულიანი ჩააგდეს, რამაც ბერძნებს წინ გასვლის საშუალება მისცა - 40:34. დიდი შესვენებისთვის ესპანეთმა შეძლო სხვაობის სამ ქულამდე შემცირება, მაგრამ უკვე მაშინ ჩანდა, რომ წინ საინტერესო მეორე ტაიმი გველოდა.

მესამე მეოთხედში მოედანზე დაბრუნდა მარკ გასოლი, რუდი ფერნანდესმა კი თავისი სამქულიანით სწრაფად აღადგინა თანაფარდობა. ამის შემდეგ, ორივე გუნდს უჭირდა ქულების დაგროვება, ასეთ თამაშში კი ლიდერები გახდნენ ცენტრები - **პრინტეცისი** და გასოლი. ესპანელმა 11 ქულა დააგროვა მესამე მეოთხედში და თავისი გუნდის გაქცევის სულისჩამდგმელი გახდა. ყველაფერი დაიწყო ფერნანდესისა და გასოლის ბრწყინვალე პიკ-ნ-როლით, გაგრძელდა იმავე მარკის სამქულიანით და ბერძნებით მორიგი არასპორტული ჯარიმით, რომელიც ისევ გასოლმა მოიპოვა. მეოთხედის ბოლოსთვის პირეენელებმა 57:50 წაიყვანეს ანგარიში და ბოლო 10-წუთეულს ფავორიტის რანგში შეხვდნენ.



მაიკლ ბრამოსი ბოლო სამქულიანის შემდეგ

მეოთხე მეოთხედი ნერვების თამაში იყო. ორივე გუნდის ძლიერი დაცვა გაქცევის საშუალებას არ იძლეოდა. შორიდან აგროვებდნენ ქულებს სპანულისი, ფერნანდესი, **სერხიო როდრიგესი**, ახლოდან საფრთხე მოდიოდა ბურუსისგან და გასოლისგან. გადამწყვეტ მომენტზე კი ზემოთ მოგიყევით, როცა ბრწყინვალედ მოთამაშე ვიქტორ კლავერმა საეჭვო სიტუაციაში მიიღო მეხუთე პერსონალური და ბურუსისის დრო დადგა...

64:68-ზე ესპანეთს ხასიათის სიმტკიცის გამოვლენა სჭირდებოდა, მაგრამ გუნდი სწორედ ლიდერებმა დაალალატეს. თავიდან **რიკი რუბიომ** ვერ გამოიყენა მარტივი ორქულიანი, შემდეგ გასოლმა იოლად გაატარა კაიმაკოგლუ. ამ ორმა ეპიზოდმა საბერძნეთს დამატებითი ენერგია მისცა და ახლა უკვე ის აკონტროლებდა შეხვედრას.

საფინალო სირენამდე წუთით ადრე, ანგარიში იყო 72:68 და სწორედ ამ დროს გატეხეს ბერძნებმა საბოლოოდ მეტოქე. სპანულისმა მოედნის კუთხეში თავისუფალი ბრამოსი მონახა და მაიკლის სამმა ქულამ ყველაფერი გაარკვია.

# დაუმარცხებელი აღარავინაა

**პირველი ეტაპის სიურპრიზებად მონათლული გუნდები მეორე რაუნდში ჯერ ვერ უმკლავდებიან სერიოზულ მეტოქეებს - ბელგიისა და უკრაინის შემდეგ, ფინეთმა წააგო პირველი მატჩი F ჯგუფში. დღის ბოლოს მატჩში კი მასპინძელმა სლოვენიამ ამ ტურნირზე პირველი მარცხი აგემა იტალიას...**

| | |
|---|---|
| **ფინეთი** | **63** |
| 11:17, 9:22, 18:24, 25:25 | |
| **ხორვატია** | **88** |

ფ: პუფი (10).
ხ: რუდეზი (17), ბოგდანოვიჩი (15+5 მოხსნა), უკიჩი (11), ტომიჩი (11+7 მოხსნა), მარკოტა (4+11 მოხსნა).
**ორქულიანები:** 10/28 (35,7%) - 25/37 (65,6%)
**სამქულიანები:** 10/32 (31,3%) - 10/31 (32,3%)
**საჯარიმოები:** 13/20 (65%) - 8/12 (66,7%)
**მოხსნები:** 30-47. **პასები:** 14-19. **შეცდომები:** 11-10.

**გადამწყვეტი მომენტი:** პირველი მეოთხედის დასრულებამდე წუთითა და 44 წამით ადრე ანგარიში თანაბარი იყო - 11:11. სწორედ ამ დროს ჩააგდო **ბოიან ბოგდანოვიჩმა** ორქულიანი, რომლითაც დაიწყო ხორვატების 19:1 გაქცევა, რომელიც მეორე მეოთხედის ბოლოსკენ დასრულდა. პირველ ტაიმში ხორვატია დომინირებდა - 29 მოხსნა ჰქონდა 11-ის წინააღმდეგ, გარდა ამისა, ფინეთმა 11 სამქულიანიდან მხოლოდ ერთი ჩააგდო.



შეტევაზე სლოვენია

**მატჩის გმირი:** **დამირ მარკოტამ** პირველი ტაიმის დაახლოებით ათწუთიან მონაკვეთში ცხრა მოხსნა მიითვალა. ასევე გამოსარჩევია **დამიან რუდეზის** თამაში, რომელიც პირველი ტაიმის შუაში სათადარიგოთა სკამიდან შევიდა თამაშში და რვა ქულა შეტევაში მის მიერვე მოხსნილი ბურთების შემდეგ მოიპოვა, გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანი ორი სამქულიანი ჩააგდო.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ფინეთს პირველ ტაიმში სიზუსტის კატასტროფული პროცენტი ჰქონდა - 19 პროცენტი თამაშიდან. ხორვატიამ 44 ქულა ჩააგდო სამწამიანიდან, თავად კი ამ მხრივ პრობლემა არ ჰქონია, რადგან ამ ზონიდან მხოლოდ 10 ქულა გაუშვა.

პირველივე წუთებიდან ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა - არც ერთ მეტოქეს არაფრის დათმობა არ სურდა. თუმცა ხორვატები უფრო იოლად აგროვებდნენ ქულებს სამწამიანში აქტიურობის წყალობით. თამაშის სურათი მაშინ შეიცვალა, როცა მოედანზე გავიდა დამიან რუდეზი. მისმა გუნდმა თანდათან დაიწყო ანგარიშის თავის სასარგებლოდ გაზრდა.

როგორც გითხარით, პრაქტიკულად მატჩის ბედი 19:1 გაქცევის შემდეგ გადაწყდა. მეორე მეოთხედში თავისი პირველი ქულები ფინეთმა მეხუთე (!) წუთზე აილო - **ლიმ** ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო. ფინეთმა სიტუაციის გამოსწორება სამქულიანებით სცადა და **კოივისტომ** და **რანიკომ** თითო შორეული ტყორცნა ჩააგდეს, მაგრამ **იასმინ რეპეშას** მანქანას უკვე კარგი სვლა ჰქონდა აღებული და მისი შეჩერება ძალიან რთული იყო. გასახდელში გუნდები ხორვატიის 19-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ.

მეორე ტაიმში თამაშის სურათი არ შეცვლილა. სკანდინავები საცოდავი სანახავები იყვნენ. ბოგდანოვიჩი და კომპანია ყველა პოზიციიდან ბომბავდა მეტოქეს, მაგრამ ყველაზე კარგად მაინც სამწამიანიდან შეტევა გამოსდიოდათ, რაც იმის ბრალიც იყო, რომ ფინელებს კვლავ აკლდათ **ჰანო მოტოლა**. მესამე მეოთხედის ბოლოს მოედანზე ისევ გამოვიდა რუდეზი და მისი მორიგი ორი სამქულიანის შემდეგ, სხვაობა 30 ქულამდე ავიდა. მეოთხე მეოთხედში რეპეშამ მოედანზე რეზერვისტები გამოიყვანა და ფინელებმა ოდნავ შეამცირეს სხვაობა.

| | |
|---|---|
| **სლოვენია** | **84** |
| 18:21, 27:18, 15:15, 24:23 | |
| **იტალია** | **77** |

ს: გ. დრაგიჩი (22+6 პასი), ზ. დრაგიჩი (15+11 მოხსნა), ნახბარი (13+6 მოხსნა).
ი: ჯენტილე (20), დატომე (16+6 მოხსნა), ბელინელი (11), კუსინი (10+5 მოხსნა+3 დაფარება), არადორი (10).
**ორქულიანები:** 25/51 (49.0%) - 14/39 (35.9%)
**სამქულიანები:** 6/18 (33.3%) - 10/21 (47.6%)
**საჯარიმოები:** 16/21 (76.2%) - 19/20 (95.0%)
**მოხსნები:** 45-28. **პასები:** 14-12. **შეცდომები:** 8-7.

**გადამწყვეტი მომენტი:** **ლუიჯი დატომემ** მესამე მეოთხედის დასრულებამდე გაათანაბრა ანგარიში - 48:48, რასაც მოჰყვა სლოვენიის 10:0 გაქცევა. საერთო ჯამში, მატჩი თანაბარი იყო - შვიდჯერ შეიცვალა ლიდერი შეხვედრაში და ამდენჯერვე ფრე დაფიქსირდა.

**მატჩის გმირი:** **ზორან დრაგიჩმა** დიდი სარგებლობა მოუტანა თავის გუნდს. საკუთარი ენერგიული თამაშით მან ორმაგ დუბლს მოუყარა თავი - 15 ქულა და 11 მოხსნა.

**სტატისტიკა არ ტყუის:** იტალია კარგად ისროდა სამქულიანებს (21-დან 10), მაგრამ სლოვენიამ ძალიან დაჩარგა მეტოქე მოხსნების რაოდენობით (45-28). შეტევაში სლოვენიის 15-მა მოხსნამ, ამ გუნდს მეორე ტემპით შეტევებისას 17 ქულა მოუტანა.

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 3 | 2 | 1 | 220-200 | 5 |
| 2. სლოვენია | 3 | 2 | 1 | 236-222 | 5 |
| 3. ხორვატია | 3 | 2 | 1 | 204-205 | 5 |
| 4. ესპანეთი | 3 | 1 | 2 | 212-197 | 4 |
| 5. საბერძნეთი | 3 | 1 | 2 | 228-242 | 4 |
| 6. ფინეთი | 3 | 1 | 2 | 193-227 | 4 |

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9772233382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44; 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608